

# რელიგიურ გაერთიანებათა საჭიროებების პლავა საქართველოში

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი



სისტემური და მასშტაბური ინიციატივები



თოლერაციონალის და მრავალფეროვანების ინსტიტუტი

რელიგიურ გაერთიანებათა საზოროებების  
კვლევა საქართველოში



თბილისის და მრავალფეროვანების ინსტიტუტი

თბილისი, 2014



კვლევა მოამზადა ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში“ პროექტის მცირე გრანტების მექანიზმის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებენ საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG) და ფონდი „დია საზოგადოება საქართველო“ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევის შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI). ის შესაძლოა არ გამოხატვდეს საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG), ფონდ „დია საზოგადოება საქართველოსა“ და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) შეხედულებებს.

მავლევართა ჯუფი:	ეკატერინე ჭითანავა ნანა ჭაბუკიანი
რედაქტორი:	ზაალ ჩხეიძე
ექსპერტი:	ბექა მინდიაშვილი
თარგმანი:	ანა თევზაძე სოფო ასათიანი
კორექტორი:	ელისო გაზდელიანი
დაჯაბადონება:	ლევან პაპალაშვილი
ყდა:	გიორგი გაგოშიძე, კომპოზიცია 2014

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)

გრანტი: 400

ISBN: 978-9941-0-7054-9

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) წერილობითი ნებართვის გარეშე.

## შინაარსი

შესავალი	5
მეთოდოლოგია	6
კვლევის შედეგები	9
1. რელიგიური შეუცხარებლობის ნიადაგზე ჩადენილი სამართალდარღვევები	9
რეკომენდაციები	17
2. საკუთრებასთან დაკავშირებული საპიროები	19
2.1. საბჭოთა დროს ჩამორთმეული ქონების რესტიტუცია	19
2.1.1. სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის ეპარქია	23
2.1.2. ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია	28
2.1.3. ევანგელიურ-ლუთერული ეკლესია	33
2.1.4. მუსლიმური თემი	34
2.1.5. იუდაური თემი	37
რეკომენდაციები	39
2.2. საკულტო და არარელიგიური დანიშნულების ნაგებობების მშენებლობა	40
2.2.1. თვითმმართველობის ორგანოებში შექმნილი სირთულეები	40
2.2.2. ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობა	43
2.2.3. პათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობა	47
რეკომენდაციები	48
2.3. ქონების საკუთრების უფლებით გადაცემა/რეგისტრაცია	49
2.3.1. საკანონმდებლო რეგულირების საფუძვლით შეზღუდვა	50
2.3.2. იურიდიული დახმარების საჭიროება	52
რეკომენდაციები	54
3. დისპრიმინაცია საჯარო საგანვითლებლო დაწესებულებებში	55
რეკომენდაციები	60
4. სახელმწიფო რელიგიური პოლიტიკა	63
4.1. რელიგიის საკითხზე მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურების ფორმირება	64
4.2. მუსლიმური თემის შიდა საქმეებში ჩარევა	65

4.3. საზღვრის გადაკვეთის პრობლემა	66
4.4. რელიგიური ლიტერატურის გავრცელებასთან დაკავშირებული პრობლემები	67
რეკომენდაციები	68
5. რელიგიური მოგანიზაციების დაცინასება	70
5.1. რელიგიური გაერთიანებებისთვის საბჭოთა პერიოდში მიყენებული მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ხარვეზები	70
5.2. საქართველოს საპატიოარქოსთვის მინიჭებული ფინანსური პრივილეგიები	73
რეკომენდაციები	77
6. საგადასახადო უთანასწორობა	78
რეკომენდაციები	81
7. რელიგიური მოგანიზაციების კომუნალური გადასახადები	82
რეკომენდაციები	84
8. საჯარო სივრცის შეზღუდვა	85
რეკომენდაციები	89
9. მართლადიდებელი სასულიერო პირების მიერ გამოვლენილი შაუცხნარებლობა	90
რეკომენდაციები	93
კვლევის მთავარი აქცენტები	94
დანართი	98

## შესავალი

წინამდებარე კვლევა საქართველოში რელიგიური გაერთიანებების საჭიროებებისა და მათ წინაშე არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და იმ პოლიტიკის შეფასებას ისახავს მიზნად, რომელსაც სახელმწიფო ატარებს რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებით.

ბოლო წლების განმავლობაში რელიგიისა და საერო სფეროების ურთიერთგადაკვეთაზე მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების ანალიზი ცხადყოფს, რომ დომინანტი რელიგიისადმი სახელმწიფოს პრეფერენციული დამოკიდებულება რელიგიის თავისუფლების ხელყოფისა და დისკრიმინაციის სისტემური პრობლემის გაჩენის საფუძველი გახდა.

როგორც წესი, რელიგიური უმცირესობების წინააღმდეგ შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი სამართალდარღვევები სახელმწიფოს მხრიდან ეფექტური რეაგირების გარეშე რჩება, თუმცა, ესა თუ ის სახელმწიფო სტრუქტურა, რიგ შემთხვევაში, თავადაც ერთვება დისკრიმინაციის პროცესში.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული სხვადასხვა რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენელთა შეფასებები საქართველოში რელიგიის თავისუფლების დარღვევის სხვადასხვა ტენდენციას აჩვენებს.

პრობლემების ერთი, მნიშვნელოვანი ნაწილი რელიგიურ გაერთიანებებს წლებია ანუხებს და სახელმწიფოს მათ გადასაჭრელად ქმედითი ნაბიჯები არასდროს გადაუდგამს, ნაწილი კი, რელიგიის საკითხზე მომუშავე ახალი საჯარო სტრუქტურების შექმნასთან, ბოლო პერიოდში გამოვლენილ ისლამოფობიასა და რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი სამართალდარღვევების რიცხვის მკვეთრ ზრდასთან არის დაკავშირებული.

აღნიშნული პრობლემატიკის მიმოხილვასთან ერთად, კვლევაში მოცემულია სახელმწიფო უწყებებისთვის შეთავაზებული კონ-

კრეტული რეკომენდაციები, რომელთა შესრულება ხელს შეუწყობს რელიგიის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრას და უფრო მყარ გარანტიებს შექმნის საქართველოში რელიგიის თავისუფლების დაცვისა და თანასწორუფლებიანი, ტოლერანტული გარემოს განვითარებისთვის.

## მეთოდოლოგია

საკვლევი პრობლემის კომპლექსურობიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში გამოყენებულია ტრიანგულაციის მეთოდი, რაც გულისხმობს შედეგების მოპოვებას როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით.

კვლევის თვისობრივი ნაწილი მოიცავს ნახევრადსტრუქტურირებულ ჩაღრმავებულ ინტერვიუებსა და სამაგიდო კვლევას. ნახევრადსტრუქტურირებულმა ინტერვიუებმა მკვლევარებს საშუალება მისცა, ერთი მხრივ, მიჰყოლოდნენ წინასწარ შემუშავებულ სადისკუსიო გეგმას, ხოლო, მეორე მხრივ, რესპონდენტებისთვის მიეცათ შესაძლებლობა, ესაუბრათ საკითხებზე, რომლებსაც თავად მიიჩნევენ მნიშვნელოვნად და პრობლემურად.

სამაგიდო კვლევის ფარგლებში მკვლევარებმა დაამუშავეს რელიგიური გაერთიანებების მიერ მოწოდებული ანგარიშები, სასამართლო საქმეები, შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია, სახალხო დამცველის, საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ რელიგიის თავისუფლების დაცვის კუთხით მომზადებული კვლევები და ანგარიშები, სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

რაოდენობრივი მონაცემები მიღებულია ანკეტირების მეთოდის გამოყენებით. აღნიშნულმა მიღვიმამ კვლევით ჯგუფს შესაძლებლობა მისცა, დაებალანსებინა თითოეული მეთოდის

სუსტი და ძლიერი მხარეები, ინფორმაცია შეევსო სხვადასხვა მეთოდზე დაყრდნობით მიღებული მასალით და რელიგიური უმცირესობების საჭიროებები წარმოეჩინა.

## ემპირიული მასალის მოპოვების პროცესი

კვლევის ჯგუფმა ნახევრადსტრუქტურირებული ჩაღრმავე-ბული ინტერვიუები ჩატარა საქართველოში 33 რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენელთან, რაც საქართველოში რელიგიური გაერთიანებების აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს (სრული ჩამონათვალისთვის იხ. დანართი 1). შერჩეული რელიგიური ორგანიზაციები ერთმანეთისგან განსხვავდებიან მასშტაბით, აღმსარებლობით, მრევლის რაოდენობით, გეოგრაფიული განაწილებითა და სამართლებრივი სტატუსით.

რელიგიური მრავალფეროვნების ასახვის მიზნით, საველე სამუშაოები ჩატარდა საქართველოს ოთხ რეგიონში, სადაც რელიგიური უმცირესობები მასშტაბურად არიან წარმოდგენილი: აჭარა (ქ. ბათუმი, ხულოს მუნიციპალიტეტი), სამცხე-ჯავახეთი (ქ. ახალქალაქი, ქ. ახალციხე, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლები ივლიტა და ვალე, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლები არალი და უდე), ქვემო ქართლი (მარნეული), კახეთი (ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. დუისი).

ემპირიული მასალის მოპოვების პირველი ეტაპი მოიცავდა ოთხ თვეს (2013 წლის ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, 2014 წლის იანვარი). რამდენადაც კვლევის მიზანს წარმოადგენდა რელიგიური ორგანიზაციების საჭიროებათა გამოვლენა, ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა ორგანიზაციების ლიდერებთან, წარმომადგენლებთან და მრევლის წევრებთან. მრევლის წევრები შეირჩნენ „თოვლის გუნდის“ პრინციპით, რელიგიური გაერთიანების ლიდერებთან ინტერვიუში აღნერილი კონკრეტული ფაქტებისა და მაგალითების განვრცობის, დაზუსტებისა და პირველწევრობისთან გასაუბრების მიზნით. სულ კვლევის ფარგლებში ჩატარდა 70 ჩაღრმავებული ინტერვიუ.

ემპირიული მასალის მეორე ეტაპზე, ერთი თვის განმავლობაში, ზოგ შემთხვევაში, ერთსა და იმავე რელიგიურ ორგანიზაცია-სთან ინტერვიუ განმეორებით ჩაიწერა (მაგალითად, ქართველ მუსლიმთა კავშირი, იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია, მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისთა ეკლესის ტრანსკავკასიური იუნიონი, ევანგელიურ-ლუთერული ეკლესია და აშ). ინტერვიუების განმეორებით ჩატარების საჭიროება განპირობებული იყო რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებით (რელიგიის საკითხზე მომუშავე ახალი სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბება, მუსლიმური თემის ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილება, მთავრობის ინიციატივა ოთხი კონფესიისთვის საბჭოთა პერიოდში მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ). ანგარიშში ასევე მოხვდა რელიგიის სფეროში საკვლევი პერიოდის შემდეგ მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები 2014 წლის მაისის ჩათვლით.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები მიღებულია ანკეტირების გზით - გამოიყითხა რელიგიური ორგანიზაციების 70-მდე წარმომადგენელი. მიღებული შედეგები, თვისობრივ მასალასთან ერთად, მნიშვნელოვან ტენდენციებს აჩვენებს.

## მასალის დამუშავების პროცესი

ემპირიული მასალის დამუშავების ეტაპი მოიცავდა ორ თვეს, რომლის განმავლობაშიც ინტერვიუების კონტენტ-ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა რელიგიური ორგანიზაციების ძირითადი პრობლემები და საჭიროებები. საკითხების თემატიკიდან გამომდინარე, კვლევა ციტატის სახით იმოწმებს კონკრეტული რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლების მონათხობს. ზოგ შემთხვევაში, პრობლემა სისტემურია და ეხება რელიგიურ ორგანიზაციათა აბსოლუტურ უმრავლესობას, ასეთ დროს კონკრეტული რელიგიური გაერთიანება არ არის მითითებული. ზოგ შემთხვევაში კი პრობლემა სპეციფიკურია და შესაბამისად, დასახელებულია კონკრეტული რელიგიური გაერთიანებები. რაოდენობრივი მონაცემები თვისობრივი მასალის კატეგორიზაციისა და აქცენტების გამოკვეთისთვის დამზარე საშუალებად იქნა გამოყენებული. სამაგიდო კვლევის პროცესში

მოპოვებული მასალა ემპირიული მონაცემების განზოგადების და კონტექსტუალიზაციის საშუალებას იძლევა.

ტექსტში, ქვეთავებად გამოყოფილი პრობლემების შესაბამისად, წარმოდგენილია აღნიშნული პრობლემების მოგვარების გზები და კონკრეტული რეკომენდაციები.

## პვლევის შედეგები

### 1. რელიგიური შეურყოცნარეგლობის ნიადაგზე ჩადენილი სამართალდარღვევები

**პრობლემა:** რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ რელიგიური ნიშნით დევნა, ფიზიკური და სიტყვიერი ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე მნვავე პრობლემაა. ამავდროულად, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ სამართალდარღვევაზე სამართალდამცველების რეაგირება არაეფუძვლით და უმეტეს შემთხვევაში, არაადეკვატურია - ისინი ხშირად ამჟღავნებენ გულგრილ, ირონიულ, ზოგჯერ კი აგრესიულ დამოკიდებულებას დაზარალებულთა მიმართ.

გამოვლენილია შემთხვევები, როცა შეუწყნარებლობის საფუძველზე თავად სამართალდამცველები ძალადობენ და არღვევენ მორნბუნეთა უფლებებს. გარდა ამისა, საგამოძიებო სტრუქტურები გამოძიებას ხშირად იმ მუხლებით ნარმართავენ, რომლებიც რელიგიური ნიშნით დევნის, რელიგიური რიტუალებისთვის ხელის შემლისა და თანასწორუფლებიანობის დარღვევისთვის პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებენ. ამასთან ერთად, როგორც წესი, გამოძიება ან ჭიანურდება, ან სამართლებრივი შედეგი მას საერთოდ არ მოსდევს.

2012-2014 წლებში განსაკუთრებით პრობლემური, სისტემური და მასშტაბური გახდა მუსლიმებისა და იეჰოვას მოწმეების დევნა და შეზღუდვა, მათდამი დისკრიმინაციული მოპყრობა.

კვლევის პროცესში გამოკითხული რელიგიური უმცირესობების ნარმომადგენელთა აზრით, წინა წლებთან შედარებით რელიგიურ ნიადაგ ზე ჩადენილი სამართალდარღვევების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო რელიგიის თავისუფლების დაცვის კუთხით სიტუაცია გაუარესდა, ამის უმთავრეს მიზეზად კი ხელისუფლებისა და სამართალდამცველების მხრიდან არა-ადეკვატური, არაეფექტური, დისკრიმინაციული და ზოგჯერ შეუწყნარებლობის ნამახალისებელი მოქმედება შეიძლება ჩაითვალოს.

**პროგლემის აღწერა.** სისტემური ხასიათი მიიღო მუსლიმთა დევნისა და შევიწროვების ფაქტებმა. გამოუძიებელია 2012-2013 წლებში სოფელ ნიგვზანში, წინწყაროსა და სამთანყაროში მუსლიმების უფლებათა დარღვევის შემთხვევები, რომლებშიც სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები იკვეთება. ძიება არ დაწყებულა 2013 წლის 26 აგვისტოს სოფელ ჭელაში მინარეთის უკანონო დემონტაჟისა და ადგილობრივი მუსლიმების ფიზიკური შეურაცხყოფის, ცემის ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც ხელისუფლების მხრიდან მუსლიმთა კონსტიტუციური უფლებების დარღვევის აშკარა მაგალითს წარმოადგენს. ყოველივე ამასთან ერთად, მუსლიმებზე თავდასხმებისას სახელმწიფო თანამდებობის პირების მხრიდან კეთდებოდა საჯარო განცხადებები, რომლებშიც ისინი არ აღიარებდნენ მუსლიმი მოქალაქეების უფლებების დარღვევის ფაქტებს და კონფლიქტს „ხელისუფლად ინსპირირებულს“ უწოდებდნენ.<sup>1</sup>

იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2012 წელს იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ სამართალდარღვევის 11 შემთხვევა, 2013 წელს - 46, 2014 წელს კი, ხუთი თვის განმავლობაში (იანვარი-მაისი), 40-

1. „სეულარიზმის კრიზისი და ლოიალობა დომინანტი ჯგუფის მიმართ, სახელმწიფოს როლი 2012-2013 წლებში საქართველოში გამოვლენილი რელიგიური

მდე შემთხვევა გამოვლინდა.<sup>2</sup> ჩადენილ სამართალდარღვევებს შორის ხშირია იეპოვას მოწმეთა საკულტო ნაგებობების - სამეფო დარბაზების დაზიანების, მორწმუნების სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის, მუქარის, რელიგიური შინაარსის ლიტერატურის განადგურებისა და თავდასხმის შემთხვევები. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ იეპოვას მოწმების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებში მართლმადიდებელი სასულიერო პირები მონაწილეობენ.

2013 წელს იეპოვას მოწმეთა ქრისტიანულმა ორგანიზაციამ განაცხადა ფიზიკური შეურაცხყოფის 20 შემთხვევის შესახებ (თბილისი (7), ლანჩხუთი (3), ვანი, გარდაბანი, ზესტაფონი, აბაშა, წალკა, კასპი, ბათუმი, მარტვილი, სენაკი, რუსთავი), სიტყვიერი შეურაცხყოფის 22 შემთხვევა გამოვლინდა (თბილისი (6), ლანჩხუთი (4), სენაკი (2), ვანი, გარდაბანი, ზესტაფონი, ლაგოდები, აბაშა, კასპი, ბათუმი, მარტვილი, წყალტუბო, რუსთავი), ხოლო სამეფო დარბაზები 16-ჯერ გახდა თავდასხმის ობიექტი (რუსთავი (4), თბილისი (3), ვანი (2), ბორჯომი, წყალტუბო, დუშეთი, ლაგოდები, ბათუმი, ზუგდიდი, ქუთაისი). იეპოვას მოწმეთა თქმით, 2013 წელს ჩადენილი 46 სამართალდარღვევიდან თბილისში 14 შემთხვევა მოხდა. რეგიონებიდან სამართალდარღვევების რაოდენობით გამოიჩინა ლანჩხუთი, სადაც გასული წლის განმავლობაში 6 ფაქტი გამოვლინდა. უნდა აღინიშნოს, რომ იეპოვას მოწმების წინააღმდეგ ჩადენილ სამართალდარღვევებში მართლმადიდებელი სასულიერო პირებიც მონაწილეობდნენ. 2013 წელს სამი ასეთი შემთხვევა მოხდა თბილისში, კასპსა და წყალტუბოში (იხ. მე-9 თავი). ხშირად კონკრეტული პირები ხელს უშლიან იეპოვას მოწმების სამისიონერო მსახურებაში, რასაც ახლავს მუქარა და ქუჩის სტენდების დაზიანება მაშინ, როცა იეპოვას მოწმები მსურველებს ნებაყოფლობით აცნობენ რელიგიური შინაარსის ლიტერატურას. მაგალითად, 2013 წლის 25 ოქტომბერს, თბილისში იუსტიციის სახლის წინ,

<sup>2</sup> კონფლიქტების მოგვარებაში“, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2013, ხელმისაწვდომია: <http://emc.org.ge/2013/12/05/25/>

2. წარმოდგენილი მონაცემები მთლიანად ეფუძნება იეპოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაციის მიერ ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტისთვის (TDI) მოწოდებულ ანგარიშს.

იეპოვას მოწმეებს ერთ-ერთმა გამვლელმა დაუხია სტენდის პოსტერი და ბანერის დამტვრევას შეეცადა.

2013 წელს მომხდარი 46 სამართალდარღვევიდან, ერთის გარდა, ყველა სხვა შემთხვევაში დაზარალებულმა პირებმა მიმართეს შესაბამის სამართალდამცველ და უფლებადამცველ უწყებებს: პოლიციას, ადგილობრივ პროკურატურას, მთავარ პროკურატურას ან სახალხო დამცველს. იეპოვას მოწმეთა იურისტის, მანუჩარ ციმინტიას თქმით, ბევრ ისეთ ფაქტზე, რომელიც, სავარაუდოდ, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, გამოძიება შესაბამისი მუხლით არ დაწყებულა; სამართალდამცვები ხშირად ერიდებიან სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე (რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა) და 156-ე (რელიგიური ნიშნით დევნა) მუხლების გამოყენებას და ამ ნიშნით დანაშაულის კვალიფიკაციას.<sup>3</sup>

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით,<sup>4</sup> 2013 წელს ჩადენილი სამართალდარღვევებიდან 10 საქმეზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის დანაშაულისთვის გათვალისწინებული მუხლებით და შეწყდა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის „ა“ ქ/პუნქტით), ამ შემთხვევებიდან არც ერთს არ მიენიჭა რელიგიური მოტივით ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაცია.

სამართალდამცავების მიკერძოებულობის საილუსტრაციოდ, იეპოვას მოწმეებმა რამდენიმე საქმეზე სტრატეგიული სამართალნარმოება განახორციელეს და სცადეს, სამართლებრივი პროცესი ბოლომდე მიეყვანათ. საქმის გამოძიების გაგრძელე-

3. სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლი: რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა – ღვთასმისხურების ან სხვა რელიგიური წესისათუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ანდა თუ მას ახლდა მოწმუნის ან ღვთის მსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა. სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლი: დევნა – ადამიანის დევნა სინდისის, აღმარტინობის ან წმინდის გამო, ანდა მის რელიგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

4. შს სამინისტროს მიერ საქართველოს იეპოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაციისთვის გაგზავნილი წერილი MIA 81400949196 (20/052014)

ბაზე უარი გასაჩივრდა ჯერ საოლქო, შემდეგ მთავარ პროკურატურაში, რის შედეგადაც საქმე დაუბრუნდა ისევ რაიონულ პროკურატურას. საბოლოოდ, გამოძიება კონკრეტული სამართლებრივი შედეგით არ დასრულდებულა.

2013 წლის 10 მარტს, ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარში ქ. მ. და არასრულნლოვანი ს. ხ. ერთად ასრულებდნენ რელიგიურ მსახურებას - მსურველებს ნება-ყოფლობით გადასცემდნენ ბიბლიურ ინფორმაციას. მსახურებისას იეჰოვას მონმეს ადგილობრივმა მცხოვრებმა ა.ს-მ მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. მან ორჯერ ფეხი დაარტყა ქ.მ-ს, რის გამოც დაზარალებულმა ადგილობრივ სამკურნალო დაწესებულებაში სამედიცინო შემონბება გაიარა. ქ. მ.-მ მიმართა ვანის შეს რაიონულ სამმართველოს. გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით (ცემა). იეჰოვას მონმის თქმით, გამომძიებელი მას მოუწოდებდა ჩვენებაში ფიზიკური შეურაცხყოფა არ ეხსენებინა. ქ.მ-ის ადვოკატები საქმის კვალიფიცირებას სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე (რელიგიური წესის აღსრულების-თვის უკანონო ხელის შეშლა) და 156-ე (დევნა) მუხლებით ითხოვდნენ. 2013 წლის 28 მარტის დადგენილებით გამოძიება შეწყდა. 2013 წლის 21 ივნისს რელიგიურმა გაერთიანებამ საქმე გასაჩივრა სამტრედიის რაიონულ პროკურატურაში. 2013 წლის 2 ივლისს მათ ჩაბარდა 26 ივნისის დადგენილება საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებით. აღნიშნული გადაწყვეტილება ადვოკატებმა 2013 წლის 12 ივლისს დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორთან გაასაჩივრეს, რომლისგანაც მიიღეს უარი. გადაწყვეტილება მთავარ პროკურატურაში გასაჩივრდა. 2013 წლის 23 სექტემბერს იეჰოვას მონმეებმა საჩივრის დაკავყოფილებაზე მიიღეს წერილობითი უარი.

2013 წელს მომხდარი სამართალდარღვევებიდან 10 შემთხვევაში გამოძიება არ დაწყებულა სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ნიშნების არარსებობის გამო.

იეპოვას მოწმეთა თქმით, ხშირად მათ წინააღმდეგ ჩადენილ სამართალდარღვევებზე შსს-ს რეაგირება არააღეკვატურია, პოლიციის თანამშრომლები დამცინავ და დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას იჩენენ, რაც, საბოლოოდ, საქმის განხილვის შედეგზეც აისახება. მაგალითად, 2013 წლის 12 ოქტომბერს თბილისში, გლდანის რაიონში მსახურებისას იეპოვას მოწმეებს, დ.კ.-სა და ლ. ს.-ს, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. დაზარალებულებმა გამოიძახეს პოლიცია, ამის შემდეგ, მოწმეები დაკითხეს განყოფილებაში. იეპოვას მოწმეების თქმით, დაკითხვისას ინსპექტორი მათ დამცინავად და აგრესიულად მიმართავდა, რელიგიურ მრნამსზე ამახვილებდა ყურადღებას. საბოლოოდ, ბრალდებულს მისცეს გაფრთხილება. შსს-ს ინფორმაციით, სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულა.

ამჟამად გამოძიება მიმდინარეობს 10 სამართალდარღვევასთან დაკავშირებით, რომელთა შორის 2-ზე საქმე აღძრულია საქართველოს სსკ-ის 156-ე მუხლით (დევნა – ადამიანის დევნა სინდისის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, ანდა მის რელიგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით) და ერთზე 155-ე მუხლით (რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა). დანარჩენ შემთხვევებში საქმე აღძრულია სამეფო დარბაზის გაქურდვის (სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით), სამეფო დარბაზისთვის ცეცხლის გახსნის (187-ე მუხლის პირველი ნაწილი), ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების (სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით), ცემის (125-ე მუხლით) და სამ შემთხვევაში შენობის მინის დაზიანების ფაქტებზე.

გამოძიების პროცესი, როგორც წესი, ჭიანურდება. 2013 წელს მხოლოდ სისხლის სამართლის 3 საქმის გამოძიებას მოჰყვა კონკრეტული სამართლებრივი შედეგი, ხოლო 1 შემთხვევაში უფლებადამრღვევს დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი.<sup>5</sup>

5. 2013 წლის 13 აგვისტოს თბილისში იეპოვას მოწმის ცემის ფაქტზე გ.ბ-ს წაეყენა ბრალი სსკ-ს 125-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და შეეფარდა გირაო 1500 ლარის ოდენობით. 2013 წლის ოქტომბერს

2014 წლის იანვარი-მარტის პერიოდში იქვემდებას მონაცემებით, სამართალდარღვევის 25 შემთხვევა გამოვლინდა. შეს-მ ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ რელიგიურ გაერთიანებას 18 ფაქტთან დაკავშირებით მიაწოდა. ამ ფაქტებიდან 10 სამართალდარღვევასთან დაკავშირებით გამოძიება არ დაწყებულა სსკ-ის მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის. მიზეზად ხშირად სახელდება, რომ მორწმუნებს რელიგიური რიტუალის შესრულებისას ხელი არ შეშლიათ ან ფიზიკურად არავინ დაზარალებულა. ასეთ შემთხვევაში სამართალდამრღვევი იღებს სიტყვიერ გაფრთხილებას ან წერს ხელნერილს. 1 შემთხვევაში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმეზე სსკ-ის 187-ე მუხლის 1 ნაწილით, 2014 წლის 1 იანვარს იქვემდებას მონაცემების კუთვნილი მანქანის დაზიანების ფაქტზე. საბოლოოდ, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა, რადგან დაზარალებულს აუნაზღაურდა მატერიალური ზიანი. ამჟამად, გამოძიება მიმდინარეობს 3 ფაქტთან დაკავშირებით. აქედან 2 დაკვალიფიცირებულია როგორც რელიგიური სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი ქმედება.<sup>6</sup>

წალკაში იქვემდებას მიმართ განხორციელებული სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე, სსკ-ის 156-ე მუხლის პირველი ნაწილით და მეორე ნაწილის აქტუალურით, ს.გ მუხლის პასუხისმგებაში, გაფორმდა საპროცესო შეთანხმება - ერთი წლილი პირობითი მსჯავრი და 1000 ლარი ჯარიმი.

2013 წლის 19 დეკემბერს სოფელ დიდ ჭიმში იქვემდებას მოწმეების ცემის ფაქტზე მარტვილის რაიონის შეს სამართლებულოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე 156-ე მუხლით და სამართალდამრღვევი პირი დაჯარიმდა 1000 ლარით. თუმცა, პროცესურობა გამოიყენა განრიდების უფლებამოსილება და ბრალდებულს სასჯელი მოუქსნა. დაზარალებულთან შედეგა კონსულტაციის ოქმი.

ერთ შემთხვევაში, იქვემდებას ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტთან დაკავშირებით, წინასაგამოძიებო ქმედებების შედეგად, სასამართლომ სამართალდამრღვევს დაკისრა ადმინისტრაციული სახდელი - 100-ლარიანი ჯარიმა.

6. 2014 წლის 5 იანვარს სამართალდამრღვევა ქუთაისში რელიგიური სიძულვილის ნიადაგზე ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა იქვემდებას. დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე სსკ-ის 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (რელიგიური ნიშნით დევნა ძალადობით ან ძალადობის მუქარით).

2014 წლის 20 მარტს სოფელ თერნალში იქვემდებას მოწმეებს რელიგიური აღმსარებლობის გამო მიაყენეს შეურაცხყოფა, წყალტუბოს რაიონულ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

2014 წლის 9 იანვარს იქვემდებას მოწმეს თბილისში მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მიმდინარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმეზე საქ. სსკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით.

3 შემთხვევის გამოძიება დასრულდა კონკრეტული სამართლებრივი შედეგით, აქედან ერთი რელიგიური მოტივით ჩადენილი სამართალდარღვევა იყო.<sup>7</sup>

მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2013 წელს, 2012 წელთან შედარებით, სამართალდარღვევების რიცხვი ოთხჯერ გაიზარდა. 2014 წელს კი ხუთი თვის განმავლობაში გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა 2013 წლის 12 თვის მონაცემებს უასლოვდება. იეჰოვას მოწმეთა მიმართ სამრთალდარღვევების მკვეთრი ზრდა ქვეყანაში რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის შემაშფოთებელ ტენდენციაზე მიუთითებს. აუცილებელია, სახელმწიფომ, რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის მიზნით, უზრუნველყოს რელიგიური მოტივით ჩადენილი სამართალდარღვევების დროული და ეფექტური გამოძიება და ტოლერანტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით ქმედითი ღონისძიებები გაატაროს.

„პუნქტით“. 7. 2014 წლის 3 იანვარს სენაკის რაიონულ სასამართლოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, იეჰოვას მოწმეთა დარბაზზე რელიგიური მოტივით ძალადობის მუქარის ფაქტზე, საჭ. სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის პუნქტით. საბოლოოდ, პროკურორსა და დაზარალებულს შორის შედგა საპროცესო შეთანხმება და დაზარალებულმა განაცხადა, რომ თანახმაა სამართალდამრღვევს გაუფორმდეს განრიცება.

2014 წლის 11 თებერვალს ქ. ჭიათურაში პოლიციამ ადმინისტრაციული წესით დააკავა სამართალდამრღვევი, რომელიც იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში და იეჰოვას მოწმეს აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას. მან პოლიციას წინააღმდეგობა გუწია, რის შემდეგაც იგი დაკავეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევთა კოდექსის 173- მუხლით. საჩხერის რაიონულმა სასამართლომ მას დააკისრა ჯარიმა 1100 ლარის ოდენობით.

2014 წლის 18 მარტს სამართალდამრღვევმა გორში იეჰოვას მოწმეებს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და ლიტერატურა სანაღვრე არხში გადაუყარა. აღნიშნულ ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ასკ-ის 166-ე მუხლით და გორის რაიონულმა სასამართლომ გ.ი-ის დააკისრა ჯარიმა 100 ლარის ოდენობით.

## რეკომენდაციები

### საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს; საქართველოს მთავარ პროკურატურას

- შინაგან საქმეთა სამინისტრო დროულად და ეფექტურად უნდა რეაგირებდეს შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ სამართალდარღვევებზე;
- სამართალდამცველი სტრუქტურებისთვის უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს სტრატეგიული გეგმა: ა)რელიგიური შეუწყნარებლობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის; ბ)ამ ტიპის შემთხვევებისას სამართალდამცველთა ქცევისა და მოქალაქეებთან მართებული კომუნიკაციის შესწავლისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის;
- რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულისადმი გამოყენებულ იქნას „ნულოვანი ტოლერანტობის“ პრინციპი, რათა: ა)რეაგირებისა და აღკვეთის გარდა ეფექტური პრევენციაც გახდეს შესაძლებელი; ბ)შემცირდეს რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა;
- საგამოძიებო სტრუქტურებმა უნდა უზრუნველყონ სამართალდარღვევებისთვის სათანადო კვალიფიკაციის მინიჭება და დროული გამოძიება; რელიგიური სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი სამართალდარღვევისას აუცილებელია, საგამოძიებო სტრუქტურებმა გამოძიება წარმართონ შესაბამისი მუხლებით, რომლებიც რელიგიური ნიშნით დევნის, რელიგიური რიტუალებისთვის ხელის შეშლისა და თანასწორუფლებიანობის დარღვევისთვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.
- აუცილებელია, შსს-სა და პროკურატურის თანამშრომლებსა და გამომძიებლებს სახალხო დამცველის, ავტორიტეტული ადგილობრივი არასამთავრობო და სა-

ერთაშორისო თრგანიზაციების წარმომადგენელთა  
მონაწილეობით ჩაუტარდეთ სასწავლო ტრეინინგი რელი-  
გიური ხეიტრალიტეტის დაცვის, რელიგიის თავისუფ-  
ლების, თანასწორუფლებიანობისა და ტოლერანტობის  
საკითხებთან დაკავშირებით;

- აუცილებელია, პროეურატურამ გამოიძიოს 2012 წელს  
ნიგვზიანსა და წინწყაროში, 2013 წელს სამთანყაროში  
და ამავე წლის 26 აგვისტოს ჭელაში მომხდარი მუს-  
ლიმთა უფლებების დარღვევის ფაქტები, რომლებშიც,  
ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, შესაძლოა, ჩარ-  
თული ყოფილიყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარ-  
მომადგენლები და შსს-ს თანამშრომლები.

## 2. საკუთრებასთან დაკავშირებული საპიროები

### 2.1. საგზოთა დროს ჩამორთებული ქონების რესტიტუცია

**პროგლემა:** კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საბჭოთა დროს ჩამორთმეული ქონების რესტიტუცია რელიგიურ უმცირესობათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. ხუთი რელიგიური გაერთიანება: სომეხთა სამოციქულო ეკლესიის ეპარქია საქართველოში, კათოლიკე ეკლესია, მუსლიმთა თემი, ევანგელიურ-ლუთერული ეკლესია და იუდაური თემი 20 წელზე მეტისა საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობებისა და სხვა ქონების დაპრუნებას სხვადასხვა მიზეზით ვერ ახერხებს.

რესტიტუციის გაჭიანურების გამო, ისტორიული, კულტურული და რელიგიური ფასეულობის მქონე ნაგებობებისადმი სახელმწიფო არ ან ვერ იჩენს სათანადო მზრუნველობას, მათი რესტავრირება/კონსერვირება/დასუფთავება და დაცვა, უმეტესწილად, არ ხდება, რის შედეგადაც საკულტო შენობა-ნაგებობების უმრავლესობა, რომლებიც, ამავდროულად, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს, დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად ზიანდება ან/და ინგრევა. იმ შემთვევაში კი, თუ ისინი საქართველოს საპატრიარქოს მფლობელობაშია გადასული, მათი ისტორიული იერსახე მიზანმიმართულად იცვლება.

ამავდროულად, კვლევის პროცესში გამოკითხული რესპონდენტების აზრით, რესტიტუციის პრობლემა ხელს უწყობს მუდმივი დაახაბულობის შენარჩუნებას უმრავლესობისა და უმცირესობის ეთნიკურ თუ რელიგიურ ჯგუფებს შორის და მნიშვნელოვნად აფერხებს სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესს.

პროგლემის აღმოჩენა. მე-20 საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს, საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს სარგებლობის უფლებით გადაეცა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩამორთმეული ქრისტიანული საკულტო

ნაგებობები. სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 12 აპრილის #183 დადგენილებით კი, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, საქართველოში არსებული ყველა რელიგიური გაერთიანება გაუქმდებულად გამოცხადდა.

საპატრიარქოსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემულ ტაძრებს შორის, მართლმადიდებლურთან ერთად ის საკულტო ნაგებობებიც აღმოჩნდა, რომლებიც ისტორიულად სხვა რელიგიურ გაერთიანებებს ეკუთვნოდა. ამასთანავე, დაუბრუნებელი დარჩა საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ის რელიგიური ნაგებობებიც, რომლებიც საპატრიარქოს ინტერესის საგანს არ წარმოადგენდა, სახელმწიფო ან კერძო მფლობელობაში ირიცხებოდა და სხვადასხვავარად ფუნქციონირებდა (თეატრი, სპორტული დარბაზი, საცეკვაო დარბაზი, ბიბლიოთეკა და ა.შ.).

2002 წლის 14 ოქტომბერს, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე, „საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებლური ტაძრები, მონასტრები (მოქმედი და არამოქმედი), მათი ნანგრევები, აგრეთვე მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ისინია განლაგებული“, საპატრიარქოს საკულტო ნაგებობების გამოცხადდა.<sup>8</sup>

მაგრამ ანალოგიური ნაბიჯი საქართველოს სახელმწიფოს არც ერთ სხვა რელიგიურ გაერთიანებასთან მიმართებით არ გადაუდგამს; სახელმწიფოს არ მიუღია კანონი რესტიტუციის შესახებ; უმცირესობათა რელიგიურ გაერთიანებებს არ დაუბრუნდა არა მარტო ის ნაგებობები, რომლებზეც საპატრიარქოს პრეტენზია ჰქონდა გაცხადებული, არამედ ისინიც, რომლებიც საპატრიარქოს ინტერესის საგანს წარმოადგენდა. მართალია, სადაც საკულტო ნაგებობების წარმომავლობისა და ისტორიული მესაკუთრის დადგენის მიზნით, ფორმალურად, სამთავრობო ან ინტერრელიგიური კომისიები რამდენჯერმე შეიქმნა, მაგრამ მათ რეალურად არასდროს უმუშავია.

8. კონსტიტუციური შეთანხმება, მუხლი 7. 1-2.

უმცირესობების ისტორიული მემკვიდრეობის დაბრუნებაზე „დავა“ რელიგიურ გაერთიანებებს, ხელისუფლებას და საპატრიარქოს შორის წლების წლების გრძელდება და სახელმწიფოს მხრიდან რელიგიურ-ეთნიკური ნიშნით სისტემური დისკრიმინაციის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს.

საქართველოს სახალხო დამცველი და საერთაშორისო ორგანიზაციები ხელისუფლებას მუდმივად მოუწოდებენ, გადახედოს ისტორიული მემკვიდრეობის დაბრუნებასთან დაკავშირებულ უსამართლო მიდგომას, მოაგვაროს ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის საკითხი და აღადგინოს ისტორიული სამართლიანობა.

პრობლემას, საკითხის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, თითოეულ რელიგიურ გაერთიანებასთან მიმართებით ინდივიდუალურად განვიხილავთ.

- 2014 წლის 21 მაისს საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა, ნავი პილაიმ, სამოქალაქო საზოგადოებასთან შეხვედრისას, რესტიტუციასთან დაკავშირებულ კითხვაზე პასუხად განაცხადა, რომ იგი შეშფოთებულია სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური უმცირესობებისადმი შერჩევითი დამოკიდებულებით და მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, პატივი სცეს საერთაშორისო საზოგადოების ნინაშე ნაკისრ ვალდებულებებსა და საკუთარი კონსტიტუციის ანტიდისკრიმინაციულ დებულებებს.<sup>9</sup>
- 2014 წლის 25 იანვარს საქართველოში ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა, ნილს მუჟნიეკსმა აღნიშნა, რომ ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის პროცესი, რელიგიურ უმცირესობებთან მიმართებით, ერთმნიშვნელოვნად უსამართლოდ მიმდინარეობს. ბევრი რამ არის გასაკეთებელი სომებთა ეპარქიის ტაძრების დასაბრუნებლად, ამ ეკლესიებიდან ბევრი წარმოდგენს კულტურულ ძეგლს, რომლებიც დანგრევის პირასაა და

9. United Nations High Commissioner for Human Rights, Navi Pillay Tbilisi, Georgia / 21 May 2014, შეხვედრის ვიდეო ჩანაწერი: <https://www.youtube.com/watch?v=DEQ8IeWddFs>

აუცილებელია, ხელისუფლების ნარმომადგენლებმა იზ-  
რუნონ მათ შენახვა-რეაბილიტაციაზე.<sup>10</sup>

- ქონების რესტიტუციის პრობლემაზე ამახვილებს ყურად-  
ღებას ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპის  
საბჭოს ჩარჩო კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტი  
2009 წლის ანგარიშში. კომიტეტის თქმით, მაგინ, როცა  
საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას დაუბრუნდა  
საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონება, რელიგიური  
უმცირესობების შემთხვევაში, ეს პროცესი ყოვნდება.  
ამასთან ერთად, საქართველოს საპატრიარქო შეეცადა,  
ხელში ჩაეგდო სხვა კონფესიების კუთვნილი ქონება, მათ  
შორის სომხური მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლე-  
სიის ტაძრები, მაგალითად, ნორაშენი, რომელიც მე-15  
საუკუნიდან სომხური სათვისტომოს რელიგიური მსა-  
ხურების ადგილს ნარმოადგენდა.
- გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი ჯერ კიდევ  
2007 წლის ანგარიშში მოუწოდებს საქართველოს ხელი-  
სუფლებას: „გადაწყვიტოს რელიგიური უმცირესობე-  
ბის საკულტო ნაგებობების და მათთან დაკავშირებული  
ქონების კონფისკაციასთან დაკავშირებული პრობლემე-  
ბი“!<sup>11</sup>
- რესტიტუციის პრობლემაზე მუდმივად მახვილდება ყუ-  
რადღება სხვადასხვა ანგარიშში: საკითხი მუდმივად  
ხვდება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო  
დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშში მსოფლიოში  
რელიგიის თავისუფლების დაცვის მდგომარეობასთან და-  
კავშირებით;<sup>12</sup> პრობლემა ასახულია ნატოს საპარლამენტო  
ასამბლეის ანგარიშში შავი ზღვის რეგიონში სახელმწიფო-

10. გაზეთი „არმაგანქ“, №2, 2014 წლის 3 ოქტომბერი, შეხვედრის ვიდეო ჩანაწერი  
ხელმისაწვდომია: <http://www.youtube.com/watch?v=nRFPHE7KWGU&list>

11. Concluding observations of the Human Rights Committee on Georgia concerning the  
third periodic report, CCPK/C/GEO/CO/3, 15 November 2007, para. 15, available at: [http://www.univie.ac.at/bimtor/dateien/georgia\\_ccpr\\_2007\\_concobi91.pdf](http://www.univie.ac.at/bimtor/dateien/georgia_ccpr_2007_concobi91.pdf)

12. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და  
შრომის ბიურო - რელიგიის თავისუფლების საერთაშორისო ანგარიში 2012, ხელ-  
მისაწვდომია: <http://www.state.gov/documents/organization/208528.pdf>

სა და რელიგიის ურთიერთმიმართების თაობაზე (2008);<sup>13</sup> რელიგიური ქონების დაბრუნების აუცილებლობას ხაზს უსვამს რასიზმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) ანგარიშები და რეკომენდაციები;<sup>14</sup>

რელიგიური გაერთიანებებისთვის ისტორიული ქონების დაბრუნების აუცილებლობაზე გამუდმებით საუბრობს საქართველოს სახალხო დამცველი საპარლამენტო ანგარიშებსა და შესაბამის რეკომენდაციების;<sup>15</sup> საქართველოს ხელისუფლებას ამ პრობლემის მოგვარების მიზნით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულმა რელიგიათა საბჭომაც.<sup>16</sup>

### 2.1.1. სომხეთა სამოციქულო მართლებადიდებები და ისტორიის მიმართა

საქართველოს სახელმწიფო არქივის მონაცემებით, მე-20 საუკუნის დამდეგს მხოლოდ თბილისში სომებთა ეპარქიის 26 ტაძარი მოქმედდება. მათი ნანილი გასული საუკუნის მიწურულს საქართველოს საპატრიარქომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიითვისა.

ამჟამად სომებთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფოსგან ექვსი ტაძრის დაბრუნებას ითხოვს, რომელიც უფრუნქციორა და მათ „სადავო ტაძრებს“ უწოდებენ, რადგან მათზე საკუთრების პრეტენზიას საქართველოს საპატრიარქოც აცხადებს. ამ ტაძრებიდან ხუთი თბილისში მდებარეობს, ერთი კი - ახალციხის მუნიციპალიტეტში<sup>17</sup> (თბილისში: „სურბ მინას“, მისამართი: გელათის ქ. 13; „შამხორეცოც სურბ ასტვაწანინ“,

13. 2008 წლის ანგარიში ხელმისაწვდომია:

<http://www.nato-pa.int/Default.aspx?SHORTCUT=1164>

14. ევროპის კომისია რასიზმის და შეუწყარებლობის წინააღმდეგ (ECRI), 2010 - ხელმისაწვდომია: <http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/country-by-country/georgia/GEO-CbC-IV-2010-017-ENG.pdf>

15. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები ხელმისაწვდომია:  
<http://www.ombudsman.ge/ge/saparlamento-angarishebi>

16. საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები ხელმისაწვდომია:

[http://tolerantoba.ge/index.php?id=1281619877&sub\\_id=1345202134](http://tolerantoba.ge/index.php?id=1281619877&sub_id=1345202134)

17. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება #3/181-ის მიხედვით, ეკლესიებს - „მუღნეცოც სურბ

მისამართი: ფერისცვალების ქ. 21; „მულნეცოც სურბ გევორგ“, მისამართი: ბეგლარ ახოსპირელის ქ. 6; „სურბ ნშან“, მისამართი: აკოფ აკოფიანის ქ. 6; „ნორაშენ“, მისამართი: კონსტანტინე ლესელიძის ქ. 41; „ახალციხის სურბ ნშან“ - ახალციხე).

აღნიშნული ეკლესიები სახელმწიფოს ბალანსზეა აღრიცხული. სომებთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქია მთავრობის წარმომადგენლებთან ოცი წლის განმავლობაში აწარმოებს მოლაპარაკებებს ტაძრების დაბრუნების თაობაზე. თუმცა, ოფიციალურ წერილებზე პასუხს ვერ იღებს. ეკლესიის წარმომადგენლების აზრით, რესტიტუციის საკითხში მთავარ წინააღმდეგობას საქართველოს საპატრიარქო ქმნის, ხელისუფლებას კი ამ მიმართულებით არც ერთი ქმედითი ნაბიჯი არ გადაუდგამს.

„საპატრიარქოს ერთ-ერთი არგუმენტია, სომხეთშიც გვაქვს ეკლესიები დასაბრუნებელიო. მაშინ აწარმოონ მოლაპარაკება სომხეთის ხელისუფლებასთან, გამოდის, რომ ჩვენი ტაძრები, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, საპატრიარქოს მძეველად ჰყავს აყვანილი.“ - სომებთა სამოციქულო მართლმადიდებელი ნმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის იურიდიულ საკითხთა, სახელმწიფოსთან ურთიერთობისა და ინტერრელიგიური თანამდებობობის განყოფილების ხელმძღვანელი ლევონ ისახანიანი.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ „ნორაშენი“, „სურბ ნშანი“ და „მულნეცოც სურბ გევორგი“ საქართველოს მთავრობამ 2012 წელს ოფიციალურად მოიხსენია სომხურ ეკლესიებად.

„ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის“ შესრულების პერიოდულ ანგარიშში, რომელიც მთავრობამ 2012 წლის 30 მაისს წარუდგინა ევროპის საბჭოს, აღნიშნულია, რომ „2011 წელს მომზადდა თბილისის სომხური

---

გევორგ“, „სურბ მინას“, „სურბ ნშან“, „სურბ ემიაძინ“, „ნორაშენ“, „შამხორეცოც სურბ ასტვაწინინ“ და ვანქის ეკლესიის სამრეკლოს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი მეგლის სტატუსი.

ეკლესიების - „მოღნისის“, „სურბ ნშანის“ და „ნორაშენის“ რესტავრაციის საპროექტო დოკუმენტაცია.“<sup>18</sup>

სომხური სამოციქულო ეკლესის წარმომადგენელი სასული-ერო პირები გამოთქვამენ წუხილს, რომ წლების განმავლობაში შეიცვალა ძეგლების ინტერიერი და ექსტერიერი: ფრესკებიდან და საფლავის ქვებიდან წაშალეს სომხურენოვანი წარწერები და სომხური საეკლესიო არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ელემენტები.

დღესდღეობით, სომხური წარმომავლობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების უმეტესობა მძიმე მდგომარეობაშია და რეკონსტრუქციას საჭიროებს. მაგალითად, 2009 წლის 19 ნოემბერს ჩამოინგრა მე-14 საუკუნის ეკლესია „მუღნეცოც სურბ გევორგ“. <sup>19</sup> საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, 1980 წლამდე, ეკლესიაში სახალხო ხელოვნების მუზეუმი იყო განთავსებული. შემდეგ ყველა ექსპონატი სხვა შენობაში გადაიტანეს, ეკლესია კი ავარიულ მდგომარეობაში დარჩა.

ამჟამად თითქმის მთლიანად დანგრეულია ეკლესია „შამხორეცოც სურბ ასტვაწანინი“, რომელიც ავლაბრის ცენტრში მდებარეობს. შემორჩენილია მხოლოდ აღმოსავლეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთ მხარეთა ნაწილები. ეკლესია 1989 წლის 14 აპრილს დაინგრა. ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, ეკლესიის ნგრევის მიზეზი ოთხბალიანი მიწისძვრა იყო.

როგორც აღინიშნა, სახელმწიფოს მიერ ევროპის საბჭოში გაგზავნილი დოკუმენტის თანახმად, 2011 წელს მომზადდა თბილისის ეკლესიების - „მოღნეცოც სურბ გევორგ“, „სურბ ნშანის“ და „ნორაშენის“ რესტავრაციის საპროექტო დოკუმენტაცია. „მიუხედავად ამისა, 2012 წლის 6 იანვარს „სურბ ნშანში“, შიდა

18. Second Report Submitted by Georgia Pursuant to Article 25, Paragraph 2 of the Framework Convention for the Protection of National Minorities, ACFC/SR/II(2012)001, 30 May 2012, para. 109, page 49, available at: [http://www.coe.int/t/dghl/monitoring/minorities/3\\_FCNMdocs/PDF\\_2nd\\_SR\\_Georgia\\_en.pdf](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/minorities/3_FCNMdocs/PDF_2nd_SR_Georgia_en.pdf), p.52 – “Project documentation for restoration of the Armenian Moghnisi Church, Surbnishani and Norasheni Churches in Tbilisi were finalized in 2011.”

19. იხ. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შესრულების 2011 წლის ანგარიშში

სივრცეში წლობით დაგროვებული ნაგვის მიზეზით, ხანძარი გაჩნდა, ხოლო 10 იანვარს გუმბათის საყრდენი ოთხი სვეტი-დან ერთ-ერთი ჩამოიქცა.<sup>20</sup> საბჭოთა პერიოდში ტაძარი ჯერ მაკარონების საწყობად, შემდეგ კი ეროვნული ბიბლიოთეკის სომხურენოვანი წიგნების ფონდის არქივად გამოიყენებოდა. ამ შემთხვევამდე ტაძარს ხანძარი 2002 წელსაც გაუჩნდა, რის შემდეგაც „სურბ წმანის“ იატაკი ერთ მეტრამდე ნაგვით იყო მოფენილი; ტაძარს უსახლკაროები და უპატრონო ძალები აფარებდნენ თავს.<sup>21</sup> განმეორებითი ხანძრისა და სამრეკლოს ჩამონგრევის შემდეგ თბილისის მერიამ ტაძარზე აღდგენითი სამუშაოები დაიწყო.

რეაბილიტაციას საჭიროებს ტაძარი „ნორაშენი“, მაგრამ, ამ ეტაპისთვის სარესტავრაციო სამუშაოები არ დაწყებულა, ეკლესიიდან მხოლოდ წიგნები გაიტანეს და შიდა ინტერიერი დაასუფთავეს. ტაძარი საბჭოთა პერიოდამდე სომხურ სამოციქულო ეკლესიას ეკუთვნოდა, საბჭოთა პერიოდში მასში მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა იყო განთავსებული. 1995 წლის 15 თებერვალს კი, საპატრიარქოს გადაწყვეტილებით, „ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების ეკლესიად“ აკურთხეს და მართლმადიდებლური წესით წირვა ჩატარეს. სომხური მხარის პროტესტის შემდეგ საპატრიარქოს წარმომადგენლებს ეკლესიაში ღვთისმსახურება აღარ ჩატარებიათ, თუმცა, ტაძარი სომხური ეკლესიის ეპარქიას სახელმწიფომ არ დაუბრუნა.

2008 წელს მართლმადიდებელმა სასულიერო პირმა, ტარიელ სიკინგილაშვილმა, „ნორაშენის“ ტაძრის ეზოში დასაფლავებული სომეხი მეცენატების საფლავის ქვები გადაადგილა. ამ ფაქტს შეესწრნენ საქართველოს სომხური წარმოშობის მოქალაქეები, რომლებმაც გააპროტესტეს აღნიშნული ქმედება. ამის შემდეგ სასაფლაო ქვა დააბრუნეს თავდაპირველ ადგილას.<sup>22</sup> სომხური ეკლესიის წარმომადგენლების თქმით, ვანდა-

20. სახალხო დამცველმა სურბ წმანის ტაძარი მოინახულა. სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი: [http://www.tolerantoba.ge/index.php?news\\_id=131](http://www.tolerantoba.ge/index.php?news_id=131)

21. სურბ წმანი - საზოგადოების გულგრილობის წმანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი, რადიო თავისუფლება <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/24457831.html>

22. მოვლენების ამსახველი ვიდეო-მასალა იხ. ბმულზე: [http://www.youtube.com/watch?v=UP\\_SdA\\_kuLc](http://www.youtube.com/watch?v=UP_SdA_kuLc)

ლური ქმედების მიზანი სომხურენოვანი წარწერების წაშლა და ამ გზით ტაძრის ქართული წარმომავლობის დასაბუთება იყო. საქართველოს სხვადასხვა ადგილიდან სასაფლაოს ქვები მოიტანეს ქართულენოვანი წარწერებით. ტაძრის შიგნით კი დაანგრიეს სომხური საეკლესიო არქიტექტურისთვის დამახასიათებელი საკურთხეველი.<sup>23</sup>

2013 წლის 28 ივნისს, მთავრობის #671 განკარგულების საფუძველზე,<sup>24</sup> შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა ეკლესიების „მულნეცოც სურბ გევორგ“, „სურბ მინას“ და „სურბ წმანის“, „მომიჯნავედ კერძო საკუთრებაში/ მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხები.“ განკარგულების თანახმად, კომისიას ორი თვის ვადაში მთავრობისთვის შესაბამისი ანგარიში უნდა წარედგინა. 2013 წლის 23 სექტემბერს მთავრობამ გამოსცა განკარგულება (#1387)<sup>25</sup> უწყებათაშორისი კომისიის მოქმედების ვადის ორი თვით გაგრძელების შესახებ (2013 წლის 30 ნოემბრამდე). 2013 წლის 25 ნოემბერს მთავრობამ გამოსცა ახალი განკარგულება (#1587),<sup>26</sup> რომლის მიხედვითაც ივნისში შექმნილ უწყებათაშორის კომისიას დაევალა სამუშაო ჯგუფის შექმნა და მიენიჭა ქონებაზე ექსპერტიზის დამკვეთი უწყების განსაზღვრის უფლებამოსილება.

სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას კომისიის თავმჯდომარის, ალექსანდრე მარგარიშვილის განცხადებით, სამუშაო ჯგუფს აღნიშნული საკითხი 2014 წლის გაზაფხულამდე უნდა შეესწავლა, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნებოდა ეკლესიების რეაბილიტაცია. ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) წარმომადგენელთან საუბარში მარგიაშვილმა აღნიშნა, რომ სომხური ტაძრების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, ამ

23. ვიდეომასალა ხელმისაწვდომია: <http://www.youtube.com/watch?v=oH2kf-XDwuw>

24. მთავრობის განკარგულება ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=2220229&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2220229&lang=ge)

25. მთავრობის განკარგულება ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=2032565&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2032565&lang=ge)

26. მთავრობის დადგენილება ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=2103372&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2103372&lang=ge)

ეტაპზე, არსებითი სიახლეები არ არის. სამუშაო ჯგუფი ივნისის შუა რიცხვებში უნდა შეიკრიბოს, „დაგეგმილია, რომ გაფართოვდეს სამუშაო არეალი და საკითხი კომპლექსურად შეფასდეს“.

### 2.1.2. ლათინ კათოლიკოთა პავპასიის სამოცირულო აღმინისტრაცია

კათოლიკე ეკლესია ვერ იბრუნებს ხუთ ტაძარს, რომლებიც გასაბჭოებამდე მის საკუთრებას წარმოადგენდა, ესენია: ქუთაისის, გორის, ბათუმის, ივლიტასა (ახალციხის მუნიციპალიტეტი) და უდეს (ადიგენის მუნიციპალიტეტი) ეკლესიები. მათი დღევანდელი მესაკუთრე საქართველოს საპატრიარქოა.

ხუთიდან მხოლოდ ერთ, ივლიტას ტაძარში კათოლიკე მრევლს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებმა კვირაში ერთხელ, ერთი საათის განმავლობაში ლოცვის უფლება მისცეს.

„ხალხი შეჩვეული იყო კომუნისტების დროს ჩუმად ლოცვას და ახლაც ისე ლოცულობენ ამ ტაძარში. კათოლიკეებმა სცადეს მოლაპარაკება, რომ მათი ტრაპეზიც დაედგათ ტაძარში, მაგრამ მართლმადიდებლებმა უპასუხეს, რომ თქვენს მერე ტაძრის განწმენდის ლოცვას ვკითხულობთ, ტრაპეზს როგორ დაგადგმევინებთო“, - მამა აკაკი ჭელიძე.

ტაძრების დაბრუნებისთვის ბრძოლა კათოლიკე ეკლესიამ 80-იანი წლების მიწურულს დაიწყო. ეკლესიების სარგებლობის უფლებით გადაცემის თხოვნით მათ ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს რამდენჯერმე მიმართეს.

2001 წლის აგვისტოს საქართველოს საპატრიარქოსა და ვატიკანის წარმომადგენლების შეხვედრაზე საპატრიარქომ მეორე მხარეს შესთავაზა, რომ სადაცოდ მიჩნეული ტაძრების განხილვა გადადებულიყო ან საერთოდ დღის წესრიგიდან მოეხსნათ, რასაც ვატიკანის წარმომადგენლობა არ დაეთანხმა; სა-

პატრიარქომ არგუმენტად რელიგიის სფეროში სამართლებრივი რეგულაციების არარსებობა დაასახელა.<sup>27</sup>

2001 წელს კათოლიკე ეკლესიამ სასამართლოს გზით სცადა ქუთაისის ღვთისმშობლის ხარების ეკლესიის დაბრუნება. თუმცა, კათოლიკეთა სარჩელი არ დაკმაყოფილდა. როგორც თბილისის საოლქო, ასევე უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ სადავო ეკლესია, რომელიც 1939 წლამდე კათოლიკეთა რელიგიური ღვთისმსახურების ადგილს წარმოადგენდა, დავის მომენტში „მათლმადიდებლური ეკლესია“ იყო. საპატრიარქომ „ღვთისმშობლის ხარების ეკლესია“ საჯარო რეესტრში თავის სახელზე 2003 წლის 6 მარტს, უზენაესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე (2004 წლის 27 აპრილი) ერთი წლით ადრე დაარეგისტრირა. ქუთაისის საქმის შემდეგ კათოლიკე ეკლესიას სხვა ტაძრების დაბრუნება სასამართლოს გზით აღარ უცდია.<sup>28</sup>

სადავო ტაძრების კუთვნილების დადგენისა და სამართლებრივი რეგულაციების შემუშავების მიზნით, წლების განმავლობაში, ფორმალურად, რამდენიმე კომისია შეიქმნა, რომელთაგან არც ერთს არ უმუშავია. 2004 წელს შეიქმნა მართლმადიდებლურ-კათოლიკური კომისია, რომელიც სულ ორჯერ შეიკრიბა და საბოლოოდ ფუნქციონირება შეწყვიტა.<sup>29</sup> საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის #63 დადგენილების თანახმად, პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით უნდა ჩამოყალიბებულიყო „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების

27. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის გორის საკათედრო ტაძრის ისტორიიდან, <http://www.sg-sakdari.ge/sakatedro%20tadzari.php>

28. უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება (N. ბს-275-416-კ-03). სასამართლო გადაწყვეტილების სამართლებრივი ანალიზი წარმოდგენილია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) კვლევაში „რელიგიური დისკრიმინაციისა და კონსტიტუციური სეკულარიზმის კვლევა საქართველოში“, თბილისი, 2014 წელი. კვლევა ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/1r8FJHc>

29. ახალი ხელისუფლება - მველი კათოლიკური ტაძრები, ტაბულა, 23.10.2013, ხელმისაწვდომია: <http://www.tabula.ge/ge/story/62285-axali-xelisufleba-dzveli-katoli-kuri-tadzrebi>

განმხილველი სამთავრობო კომისია”; ამ კომისიის ერთ-ერთი ჯგუფის ფუნქცია სწორედ საკულტო ნაგებობების წარმომავლობის დადგენა უნდა ყოფილიყო. როგორც ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტისთვის (TDI) მთავრობის კანცელარიისა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გამოგზავნილი ოფიციალური წერილებიდან ირკვევა, აღნიშნული კომისია დღემდე არ შექმნილა.<sup>30</sup>

2012 წელს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი, გურამ ოდიშარია, სადავო ქონების შემსწავლელი კიდევ ერთი კომისიის შექმნის ინიციატივით გამოვიდა. თუმცა, ერთი წლის თავზე, 2013 წლის მაისში, მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ, საკითხის სენსიტურობიდან გამომდინარე, აღნიშნული პრობლემის მოგვარება დროს მოითხოვდა. 2014 წელს ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტისთვის (TDI) სამინისტროს მიერ გამოგზავნილი ოფიციალური პასუხის მიხედვით, აღნიშნული კომისია სამინისტროში არ არსებობს.<sup>31</sup>

2013 წლის 11 ნოემბერს მინისტრმა მედიასთან აღნიშნა, რომ ხუთი ე.ნ. „სადავო“ ეკლესია კათოლიკურია<sup>32</sup> და ისინი ისტორიულ მემკვიდრეებს უნდა დაუბრუნდეს. მაგრამ რეალური ნაბიჯები არც ამ განცხადებას მოჰყოლია. კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენლებს აღნიშნული საკითხის განსახილველად მთავრობის მხრიდან არავინ დაკავშირებია.

კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუებში ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დღესდღეობით ზოგიერთი საკულტო ნაგებობის სარგებლობის უფლებით გამოყენებაზეც თანახმა არიან, თუკი მართლმადიდებლებთან ერთად ღვთისმსახურების ჩატარების უფლებას მათაც მისცემენ. რაც შეეხება იმ ქალაქებს, სადაც

30. სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი #14/10899 (26 მარტი/2014); საქართველოს მთავრობის კანცელარია, წერილი # 10868, 31 მარტი/2014

31. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, წერილი #04/11-1272 (17/მარტი/2014 წელი)

32. „გურამ ოდიშარია მიიჩნევს, რომ სადავო ეკლესიები კათოლიკურია“, გივი ავალიანი, ნეტგაზეთი. სტატია ხელმისაწვდომია: <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/25302/>

კათოლიკე მრევლი შედარებით მცირე რაოდენობითაა (მაგ. ბათუმი), კათოლიკეები სახელმწიფოსგან მხოლოდ ტაძრების ისტორიულ მემკვიდრეებად აღიარებას ითხოვენ.

წლების განმავლობაში შეიცვალა კათოლიკური ტაძრების შიდა და გარე იერსახე. კათოლიკე ეკლესის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მართლმადიდებელი სასულიერო პირების ქმედება ტაძრებზე კათოლიკური წარმომავლობის დამადასტურებელი ნიშნების წაშლას ემსახურება.

„თავიდან, 1993-94 წლებში, უდეს ტაძარში კათოლიკეების-თვის გამოყოფილი იყო სალოცავი ადგილი, მერე გაუქმდა. ინტერიერიდან გაიტანეს ჩვენი ჯვარი და კათოლიკური ატრიბუტიკა. ახლა ლოცვის უფლებასაც არ გვაძლევენ, “ - მამა მიხეილ სურმავა.

\*\*\*

უდეს ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი ადიგენის მუნიციპალიტეტში მდებარეობს და იგი 1904-1906 წლებში კათოლიკე ქართველებმა ააშენეს. ეკლესის სამხრეთ და ჩრდილოეთ ფასადზე ჩაყოლებულია ფილები, რომელზეც ნერია, რომ ეკლესია აგებულია ქართველი კათოლიკეების მიერ მუსლიმი თანასოფლელების დახმარებით. 1930-იან წლებში კათოლიკე მღვდელმსახური დააპატიმრეს, ხოლო ტაძარი კოლმეურნეობის საწყობად აქციეს. 1990-იან წლებში სახელმწიფო ტაძარი საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას გადასცა და მას შემდეგ იქ ლოცვა მართლმადიდებლური წესით მიმდინარეობს.<sup>33</sup>

ამჟამად სოფელ უდეში კათოლიკური ეკლესის გვერდით აშენებულია ახალი სამრეკლო, სათავსოები და „პატრი-არქის მოსასვენებელი ადგილი“. საველე სამუშაოების დროს TDI-ის მკვლევართა ჯგუფსა და ადგილობრივ მართლმადიდებელ სასულიერო პირს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

33. „ისტორიულ კათოლიკურ ტაძარს იერსახეს უცვლიან,“ სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი. ხელმისაწვდომია: [http://tolerantoba.ge/index.php?news\\_id=293](http://tolerantoba.ge/index.php?news_id=293)

„მართლმადიდებელი სასულიერო პირი: დიდი მრომა დაგვჭირდა, რომ ეს ტაძარი დაგვესუფთავებინა... გავიტანეთ მწვალებლური ნივთები... ოჯახინები. ახლა, ღვთის მადლით, ნირვა-ლოცვა აღევლინება.

მკვლევარი: ეს ტაძარი ხომ კათოლიკებს უკუთვნოდა, ახლა სოფელში მცხოვრები კათოლიკები რატომ ვეღარ შემოდიან?

მართლმადიდებელი სასულიერო პირი: კათოლიკები სადღა არიან, სულ რამდენიმე მოხუცია დარჩენილი. უგენი „პაპისტები“ არიან.“

2012 წლის ნოემბერს ადგილობრივმა მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა თვითნებურად დაიწყეს ტაძრის გუმბათის სარეკონსტრუქციო სამუშაოები. მართლმადიდებელი წინამდღვრის, მღვდელ ვრიგოლისა და ადგილობრივი ეკლესიის მსახურების განმარტებით, ტაძარში ჭერიდან წვიმის წყალი ჩამოდიოდა, ამიტომ გუმბათის შეკეთება აუცილებელი იყო. თუმცა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან სარემონტო სამუშაოების დასაწყებად საჭირო ნებართვა არავის აუღია. მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა თავი იმით გაიმართლეს, რომ მე-20 საუკუნეში აშენებული საკულტო ნაგეგობა კულტურული ძეგლი ვერ იქნებაო. სინამდვილეში კი უდეს ღვთისმმობლის ტაძარს კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი ჯერ კიდევ 2006 წელს მიენიჭა.<sup>34</sup>

სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის წარმომადგენლებთან საუბარში ტაძრის მღვდელმა განაცხადა, რომ დაგევმილი იყო ეკლესია სოლისებურად გადაეხურათ და მართლმადიდებლური საეკლესიო არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ფორმა მიეცათ, ხოლო ჯვარი „დაემშვენებინათ“. <sup>35</sup>

34. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N 3/133. 2006 წ. 30 მარტი, ქ. თბილისი

35. „ისტორიულ კათოლიკურ ტაძარს იერსახეს უცვლიან,“ სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი. ხელმისაწვდომია:

[http://tolerantoba.ge/index.php?news\\_id=293](http://tolerantoba.ge/index.php?news_id=293)

კათოლიკე მღვდლის, მიხეილ სურმავას განმარტებით, ჯვრის ჩამოლება მიზანმიმართული ნაბიჯი იყო, რადგან მასზე ამოტვიფრული წარწერა: „ჩამოისხა 127 კათოლიკეს შესანირით“, ეკლესიის კათოლიკურ წარმომავლობაზე მიანიშნებდა, სასულიერო პირებს კი ამ კვალის წაშლა სურდათ. ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის შემდეგ საქმეში კულტურის სამინისტრო ჩაერთო. საბოლოოდ, გადაწყდა, რომ გუმბათს ეკლესიური ფორმა ექნებოდა, კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიის არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ელემენტებისა და დეტალების შეზღვებით.

### 2.1.3. ევანგელურ-ლუთერული ეკლესია

ევანგელურ-ლუთერული ეკლესია, სხვა რელიგიური გაერთიანებების მსგავსად, ოცი წელია, ითხოვს საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას. ეკლესიის ეპისკოპოსის, ჰანს იოანიმ კიდევრლენის თქმით, მათ 2010 წელს ოფიციალური წერილით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკამპილს და ნარუდგინეს ჩამორთმეული ქონების ნუსხა, რომლის დაბრუნებასაც ითხოვდნენ, თუმცა პასუხი არ მიუღიათ. ამის შემდეგ ეკლესიამ მიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ასურეთსა და დაბა ბოლნისში არსებული ლუთერული ტაძრების დაბრუნების თაობაზე. წერილზე ეკლესიას კონკრეტული პასუხი არ მიუღია.

სოფელ ასურეთში (ელიზაბეტტალი), სადაც გერმანელი კოლონისტები 1818 წლიდან დასახლდნენ, დღემდე შემორჩენილია მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს მათ მიერ აშენებული ეკლესია. 1941 წელს აქ მცხოვრები გერმანელების უმრავლესობა სტალინის ბრძანებით შუა აზიაში გადაასახლეს და სოფელი დაიცალა. გერმანელების მცირე ნაწილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაბრუნდა. ასურეთის ეკლესია დღეს ნახევრად დანგრეულია, თუმცა მოქმედებს სამლოცველო, რომელსაც მართლმადიდებელი მრევლი იყენებს. რაც შეეხება ბოლნისის

ეკლესიას, მასში სპორტული დარბაზია განთავსებული. ორივე ნაგებობა ამჟამად სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს.

„იქ გააკეთეს პატარა კაპელა [ასურეთში]... მოსახლეობა უვლის. ხატები დადეს, სანთლებს ანთებენ... გვინდოდა, გაგვეყო ეკლესია - მართლმადიდებლებიც შევიდოდნენ და ჩვენც, თუმცა ჯერჯერობით ვერ მოვილაპარაკეთ,“ - პასტორი ირინა სოლევი.

2014 წლის 27 იანვარს მთავრობის მიერ ოთხი კონფესიისთვის საბჭოთა დროს მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, რომელიც ევანგელურ-ლუთერული ეკლესიისთვის ზარალის კომპენსაციას არ ითვალისწინებს, ევანგელურ-ლუთერულმა ეკლესიამ პრემიერ-მინისტრისთვის გაგზავნილ ოფიციალურ წერილში მთავრობას ჩამორთმეული ქონების დაბრუნების თხოვნით მიმართა. პასუხი არც აღნიშნულ წერილზე მიუღიათ.

#### 2.1.4. მუსლიმური თემი

დღესდღეობით მუსლიმური თემი ქვემო ქართლში 18 ისტორიული, უფრო უფრო მეჩეთის, ადგიგენის რაიონში 4, ხოლო აჭარაში 3 მეჩეთის გადაცემას ან უკიდურეს შემთხვევაში, დასუფთავებასა და აღდგენას ითხოვს. მეჩეთების აბსოლუტური უმრავლესობა სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს, ნაწილი კი საერთოდ არ არის რეგისტრირებული.

შიიტ მუსლიმთა ყოფილი შეიხის, ვაგიფ აქბეროვის თქმით, მოლაპარაკებები ქვემო ქართლის მეჩეთების საკუთრების უფლებით გადმოცემაზე წლების განმავლობაში მიმდინარეობს, თუმცა გადმოცემის შემთხვევაში პრობლემას წარმოქმნის მეჩეთების მოვლისა და კომუნალური გადასახადების გადახდის საკითხი.

მუსლიმი მორწმუნებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამი მეჩეთის გადმოცემისა და აღდგენის

მოთხოვნით ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას წლებია მიმართავენ.

სამიდან ერთი ისტორიული მეჩეთი, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მუხაესტატეში მდებარეობდა და ფუნქციონირებდა როგორც პოლიცია, თუმცა 2010 წელს ყოფილი მეჩეთი მთლიანად დაანგრიეს და მის ადგილზე პოლიციის ახალი შენობა ააშენეს.

მეორე მეჩეთი, ქობულეთში აღმაშენებლის გამზირ 100-ში მდებარე შენობა-ნაგებობა (ყოფილი კინოთეატრი „რუსთაველი“), რეგისტრირებულია სახელმწიფო საკუთრებად და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 9 აგვისტოს #1-1/1197 ბრძანებით, შესულია საპრივატიზაციო ქონების ნუსხაში. 2007 წლის 16 ოქტომბერს მუსლიმთა სასულიერო-სამუფლო სამართველომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს მეჩეთის უსასყიდლოდ დაბრუნებისა და რელიგიური დანიშნულებით მისი განახლების თხოვნით მიმართა. წერილზე პასუხი მუსლიმებს არ მიუღიათ.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარაში არსებულ მესამე მეჩეთს რაიმე სამოქალაქო დანიშნულება არ აქვს, მიუხედავად ამისა, მუსლიმთა თემი მის დაბრუნებასაც უშედეგოდ ცდილობს.

მძიმე მდგომარეობაშია სამცხე-ჯავახეთში მდებარე მუსლიმური სალოცავები. აბასთუმანში მე-19 საუკუნის მეჩეთის ნანგრევები მიტოვებულია. მახლობლად რეპატრირებულ მესხთა 12-მდე მუსლიმი ოჯახი ცხოვრობს. ადგილობრივმა ქრისტიანებმა აქ მეჩეთს კარი ჩამოხსნეს და ბოსლად იყენებენ.<sup>36</sup> ანალოგიური მდგომარეობაა ადგიგნის რაიონის სოფელ ფლატეში, სადაც უმოქმედო მეჩეთს ადგილობრივმა მოსახლეებმა ქვაკუთხედები მოანგრიეს. ეს ქვები ზარზმის მონასტრის მღვდლებმა ტაძრის მახლობლად სენაკების ასაგებად გამოიყენეს. მოსახლეობამ

36. „ნახევარმთვარის მოტაცება“, ჟურნალი ტაბულა, 04.02.2011, სტატია ხელმისაწვდომია: <http://www.tabula.ge/ge/story/53728-naxevarmvaris-motacea>

37. „კულტურული მემკვიდრეობა და ვანდალიზმი“, ჟურნალი ლიბერალი, ეკაჭითნავა, თემო ბარძიმაშვილი. სტატია ხელმისაწვდომია: <http://liberali.ge/ge/liberali/articles/100715/>

მეჩეთის დაშლა სწორედ სასულიერო პირების ინიციატივით დაიწყო იმ მოტივით, რომ საკულტო ნაგებობა კულტურულ და ისტორიულ ძეგლს არ წარმოადგენდა.<sup>37</sup> 2009 წელს ზარზმის მონასტერში ფლატედან წალებული ქვები სახალხო დამცველის აპარატიდან ჩასულმა ჯგუფმა აღმოაჩინა. ნიშანდობლივია, რომ ამ ვანდალური ქმედებისთვის პასუხი არავის უგია.

პრობლემას წარმოადგენს ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში მეოცე საუკუნეში აგებული მეჩეთის საკითხი, რომელიც საბჭოთა პერიოდში იძულებით გადასახლებული მესხების აშენებულია. შენობა დიდი ხნის განმავლობაში საწყობად, ბიბლიოთეკად და სოფლის კლუბად გამოიყენებოდა. დღეს იგი ამორტიზებული და უფუნქციოა.<sup>38</sup> 2008 წელს მუსლიმმა მოსახლეობამ ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობას მეჩეთის რესტავრაციის თხოვნით მიმართა. მუნიციპალიტეტი თემს შენობის შეკეთებას დაპირდა, თუმცა სარესტავრაციო სამუშაოები დღემდე არ ჩატარებულა. სამცხე-ჯავახეთის მუფლის, მამუკა ვაშაყმაძის თქმით, თემმა 2014 წლის 30 მაისს მუნიციპალიტეტის გამგეობას ოფიციალური წერილით განმეორებით მიმართა - „მუსლიმები შენობის „სისი სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოსთვის“ საკუთრების უფლებით გადაცემას ითხოვენ. სოფელში ჩასული იყო დასავლეთ საქართველოს მუფლით ჯემალ პაქსაძეც. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე გამგეობას განცხადება არ განუხილავს. მოხეს მეჩეთის მუსლიმებისთვის დაბრუნებას ეწინააღმდეგებიან ადგილობრივი მართლმადიდებლები, რომელთა თქმით, სოფლის ცენტრში მუსლიმური სალოცავის მშენებლობას არ დაუშვებენ.<sup>39</sup>

38. „ნახევარმოგრის მოტაცება“, ეურნალი ტაბულა, 04.02.2011, სტატია ზელმი-საწვდომია: <http://www.tabula.ge/ge/story/53728-naxevarmtvaris-motacea>

39. „რას დაპირდა ჯემალ პაქსაძე ადიგენის მუსლიმურ სოფლებს?“, სამხრეთის კარიბჭე, 31.05.2013, ხელმისაწვდომია <http://sknews.ge/index.php?newsid=3796#.U5l-tpnKSzp4>

## 2.1.5. იუდაური თემი

საბჭოთა დროს ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების საკუთრების უფლებით დაპრუნების საკითხი აქტუალურია საქართველოს იუდაური თემისთვისაც.

მათი მონაცემებით, მოქმედი სინაგოგები მდებარეობს თბილისში, ქუთაისში, ახალციხეში, ონში, გორში, ბათუმსა და ცაგერში.<sup>40</sup> სენებული სინაგოგები თემს გრძელვადიანი იჯარით სარგებლობის უფლებით გადაეცა.

თბილისში ათონელის ქუჩა #10-ში მდებარე შენობა, სადაც 1930 წლამდე სინაგოგა მდებარეობდა, დღეს კი სამეფო უბნის თეატრი მოქმედებს, ხანგრძლივი სასამართლო დავის შემდეგ, 2001 წელს, ებრაელთა რელიგიურ საზოგადოებას ნაწილობრივი თანასაკუთრების უფლებით გადაეცა.<sup>41</sup>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1995 წლის 22 ივნისის დადგენილებით, შენობა საკუთრების უფლებით გადაეცა ებრაელთა რელიგიურ საზოგადოებას. თუმცა, 1988 წლიდან იგი ფლობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემული ჰქონდა სახელმწიფოს ახალგაზრდულ დრამატულ თეატრ-სტუდია „მ.თ.“-ს, რომელმაც, თავის მხრივ, საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე შენობა გადასცა „ჯ.ბ.-ის სახელობის თბილისის ... ინსტიტუტს“.

უზენაესმა სასამართლომ შეაფასა ისტორიული მტკიცებულებები შენობის წარმოშობის თაობაზე და მიიჩნია, რომ სადაც შენობის დაპრუნების მოთხოვნას ფაქტობრივი საფუძველი ჰქონდა და ძალაში დატოვა მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილების ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა სადაც შენობის ყოფილი სამლოცველო დარბაზის გადაცემას ებრაელთა რელიგიური საზოგადოებისთვის, ხოლო დადგენილების ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა შენობის სხვა ნაწილის გადაცემას, ბათილად

40. იუდაური თემის წარმომადგენლები ამბობენ, რომ საქართველოში მდებარე სინაგოგები კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დღემდე სრულად არ არის აღწერილი.

41. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება №3ბ/ად132, 10 აპრილი, 2001

ცნო. თუმცა, როგორც თემის წარმომადგენლები აღნიშნავენ, სასამართლო გადაწყვეტილების მიუხედავად, კონფლიქტის თავიდან არიდების მიზნით, თემზა მთლიანი შენობა თეატრალურ დასს გაურკვეველი ვადით დაუთმო.

იუდაური თემის წარმომადგენლების თქმით, გადაუდებელ სარესტავრაციო სამუშაოებს საჭიროებს ონის, ქუთაისისა და ახალციხეში რაბათის ტერიტორიაზე მდებარე სინაგოგები.

ქ. ახალციხეში მდებარეობს ორი სინაგოგა, რომელსაც მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს.<sup>42</sup> ერთი მათგანი მოქმედია და მას 2012-2013 წლებში ჩაუტარდა სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები. ამჟამად პრობლემურია მეორე სინაგოგის საკითხი, რომელშიც სპორტული დარბაზი იყო განთავსებული. 2012 წელს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მონიტორინგის ჯგუფის ძალისხმევით და იმჟამინდელი გამგებლის მხარდაჭერით სპორტული დარბაზი გაუქმდა და აღარ ფუნქციონირებს. თუმცა შენობა დასუფთავებას და რესტავრაციას საჭიროებს.

ამჟამად სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს ონის სინაგოგაზე. თემის წარმომადგენლების თქმით, 2013 წლის შემოდგომაზე რესტავრაციის პროცესი ხარვეზებით მიმდინარეობდა. კერძოდ, გაბურლეს გუმბათის ქვეშ კედელი და არმატურის დაყენების გასაადვილებლად დიდი რაოდენობით წყლის ჭავლი შეუშვეს, რამაც გუმბათის საყრდენი დააზიანა. ზამთარში სარესტავრაციო სამუშაოები შეჩერებული იყო.

42. საქართველოს კულტურის და მეგლობა დაცვის მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის ბრძანება #3/272

## რეკომენდაციები

### საქართველოს მთავრობას:

საჭიროა, მთავრობამ გაითვალისწინოს საქართველოს სახ-  
ხალხო დამცველის რეკომენდაცია<sup>43</sup> რესტიტუციის საკითხთა  
შემსწავლელი სამთავრობო კომისიის ჩამოყალიბების შესახებ,  
რომელშიც ასევე წარმოდგენილი იქნებიან სახალხო დამ-  
ცველისა და დაინტერესებული რელიგიური გაერთიანებების  
წარმომადგენლები. კომისიამ მოკლე დროში უნდა შეიმუშავოს  
საპფოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების ისტორიული მემ-  
კვიდრეებისთვის დაბრუნების კონკრეტული სამოქმედო გეგმა  
და უზრუნველყოს მისი დროული და ეფექტური იმპლემენტაცია.

### საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს:

- უზრუნველყოს ყველა რელიგიური გაერთიანების საკულ-  
ტო ნაგებობებზე ზრუნვა - შენარჩუნება, რეკონსტრუქცია  
და რესტავრაცია; განსაკუთრებით, რელიგიური უმცი-  
რესობების იმ საკულტო ნაგებობების მოვლა, რომლებიც  
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს და/ან ამჟამად  
უფუნქციო, ე.წ. სადაც ტაძრებს წარმოადგენენ;
- გაატაროს პრევენციული ღონისძიებები, რათა ე.წ. სადაც საკულტო ნაგებობების ინტერიერი და ექსტერიერი თვით-  
ნებურად არ შეიცვალოს და არ დაზიანდეს;
- აღწეროს ყველა რელიგიური გაერთიანების საკულტო  
ნაგებობა, შეიქმნას სრულყოფილი მონაცემთა ბაზა და შე-  
საბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში  
მიეცეთ მათ ძეგლის სტატუსი.

43. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიში

## 2.2. საკულტო და არარელიგიური დანიშნულების ნაგებობების მშენებლობა

**პროგლემა:** რელიგიური გაერთიანებებისთვის ხშირად პრობლემას წარმოადგენს კანონით დადგენილ ვადაში საკულტო და არარელიგიური დანიშნულების ნაგებობების მშენებლობისთვის საჭირო ნებართვის მიღება.

არაერთი რელიგიური გაერთიანება თვითმმართველობის ორგანიზაციან ურთიერთობისას ხელოვნურად შექმნილ ბარიერებს აწყდება. 2012-2014 წლებში აღნიშნული პრობლემის ნინაშე აღმოჩნდნენ: იეჰოვას მონძეთა ქრისტიანული ორგანიზაცია, ლათინ კათოლიკეთა კაკუასის სამოციქულო ადმინისტრაცია და მეშვიდე დღის ქრისტიან ადვენტისტთა ტრანსკავკასიური იუნიონი. ასევე მუსლიმი თემი, ბათუმში ახალი მეჩეთის აგებასთან დაკავშირებით.

თვითმმართელობის ორგანოები ხშირად ხელოვნურ დაბრკოლებებს უქმნიან რელიგიურ გაერთიანებებს, ითვალისწინებენ ან უპირატესობას ანიჭებენ უმრავლესობის ნებას, რაც უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციულ პრაქტიკას წარმოადგენს.

### პროგლემის აღწერა:

#### 2.2.1. თვითმმართველობის ორგანოების შექმნილი სირთულეები

კვლევის ფარგლებში გამოკითხული რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ საკულტო თუ არარელიგიური დანიშნულების კონსტრუქციების მშენებლობისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ნებართვის გაცემას აჭიანურებენ.<sup>44</sup> მაგალითად, იეჰოვას მონძეთა ქრისტიანული ორგანიზაცია ვერ ახერხებს სამეფო დარბაზის მშენებლობას სურამში, ხაშურსა და დედოფლისწყაროში. სა-

44. საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებულ საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობას, მშენებლობის ნებართვის გაცემის, სანებართვო პირობების შესრულებისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციიში მიღებისპროცესს „მშენებლობისნებართვისგაცემსწესსა და სანებართვოპროცების შესახებ“ მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილება არეგულირებს.

მივე შემთხვევაში რელიგიურმა გაერთიანებამ მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია მოამზადა, თუმცა მშენებლობის ნებართვა კანონით დადგენილ ვადაში ვერ მიიღო.

მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოების თვითნებობისა და ვადების გაჭიანურების უმნიშვნელოვანესი გარანტია მოცემულია საქართველოს მთავრობის დადგენილებაში „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სამშენებლო პირობების შესახებ“ (2009 წლის 24 მარტი, დადგენილება #57). აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, თუ ნებართვის თითოეულ სტადიაზე ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილება არ მიიღო დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში, ჩაითვლება, რომ მიღებულია ნებართვის მაძიებელი პირისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება - დამტკიცდა განაცხადით მოთხოვნილი პირობები (მუხლი 45.12), არქიტექტურული პროექტი (მუხლი 52.5) ან გაიცა მშენებლობის ნებართვა (მუხლი 54.7).

მთავრობის დადგენილების მიხედვით, გაჭიანურებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რაც მხარის დაცვისთვის მნიშვნელოვანი მექანიზმია. თუმცა, როდესაც იქნოვას მონმეთა არარეგისტრირებულმა კავშირმა, „ხაშური ჩრდილოეთმა“ აღნიშნული მუხლების საფუძველზე მოითხოვა მშენებლობის ნებართვის გაცემა ხაშურსა და სურამში დაგეგმილი მშენებლობისთვის, ხაშურის რაიონულმა

ამავე დადგენილების 45-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებას მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო იღებს. აღნიშნული დადგენილების მიხედვით, მშენებლების ნებართვის მისაღებად რამდენიმე სტადია გასვლელი, კერძოდ, ქალაქიშენებლობის პრობების დადგენის (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტზე შეიანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიები). თითოეული სტადიისთვის განსაზღვრულია წარმოების ვადა. დადგენილების 52-ე მუხლის მე-4 ნაწილი განმარტავს, რომ ნებართვის გამცემი ვალდებულია, ამ დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში არქიტექტურული პროექტის სქემის შეთანხმების ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს. უარის შემთხვევაში, ნებართვის გამცემი ვალდებულია მაძიებელი დასაბუთებული უარი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს. დადგენილების 45-ე მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით, თუ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, განაცხადით მოთხოვნილი პირობები დამტკიცებულად ჩაითვლება. თუმცა 45-ე მუხლის მე-12 პუნქტთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკა ამ გარანტიას ზოგად დამინისტრაციულ კოდექსთან შეუთავსებლად მიიჩნევს და არ ბოჭავს ამ გარანტიით ნებართვის გამცემ ორგანოებს.

სასამართლომ ჩათვალა, რომ მთავრობის დადგენილების ზე-მოხსენებული დებულებები წინააღმდეგობაში მოდის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 პუნქტთან და რადგან ეს უკანასკნელი უფრო მაღალი იურიდიული ძალის მქონე აქტია, მთავრობის დადგენილება არ მოქმედებს.<sup>45</sup>

რაიონული სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა თბილისის საპელაციო სასამართლომაც<sup>46</sup>. შესაბამისად, სასა-მართლო პრაქტიკამ მთავრობის დადგენილება ძალადაკარგუ-ლად გამოაცხადა, რითაც დაიკარგა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სამშენებლო ნებართვების გაჭიანურების სა-წინააღმდეგო მექანიზმები. მხარეებს ამ შემთხვევაში უფლების დაცვის ერთადერთ მექანიზმად ადმინისტრაციული და სა-სამართლო გასაჩივრება რჩებათ, რაც, თავის მხრივ, ძვირი და ხანგრძლივი პროცესია.

ქალაქ რუსთავში საკულტო ნაგებობის აშენების ნებართვას ვერ იღებს ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციაც. 2013 წლის 21 მაისს ქალაქ რუსთავის საკრებულოს თავმჯდო-მარემ გამოსცა ბრძანება, რომლის საფუძველზეც ეკლესიას სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები დაუმ-ტკიცდა. მშენებლობის მეორე ეტაპზე, 2013 წლის 26 ივლისს, კათოლიკე ეკლესიამ საკრებულოს განცხადებით მიმართა და კანონით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი წარადგინა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო კათოლიკე ეკლე-სიის წარმომადგენლებს ზეპირი შეთანხმების ფარგლებში და-პირდა, რომ პასუხს მალე აცნობებდა, თუმცა რელიგიურ ორგა-ნიზაციას მშენებლობის ნებართვის მეორე ეტაპის დასრულების შესახებ წერილობით პასუხი ექვსი თვის განმავლობაში არ მი-უღია. 2014 წლის თებერვლის ბოლოს ეკლესიამ ქალაქ რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარეს განცხადებით კიდევ ერთხელ მიმართა, თუმცა განცხადებას რეაგირება არც ამჯერად მოჰყოლია.

45. ხაშურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება  
#3-11-2013 (130370413187587), 30 აპრილი, 2013

46. თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გან-ზინება საქმეზე №38/1025-13, 29 ნოემბერი, 2013

## 2.2.2. ადგილობრივი მოსახლეობის ცინააღმდეგობა

მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებაზე ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტიც ახდენს გავლენას. მართლმადიდებელი მრევლისა და სასულიერო პირების ზეწოლით საჯარო პირები უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციულ პოლიტიკას ახორციელებენ.

ზოგიერთ შემთხვევაში მართლმადიდებელი ეკლესის მრევლი ხელმოწერების შეგროვების გზით ცდილობს, რელიგიურ უმცირესობებს ხელი შეუშალოს საკულტო თუ სამოქალაქო დანიშნულების ნაგებობის მშენებლობაში. მაგალითად, 2013 წელს ხაშურში სამეფო დარბაზის მშენებლობის წინააღმდეგ მუნიციპალიტეტის გამგეობაში შევიდა წერილი, რომელსაც 200 მოქალაქე აწერდა ხელს. ხელმომწერები იეპოვას მოწმეთა საკულტო ნაგებობის მშენებლობას ეწინააღმდეგებოდნენ იმ მოტივით, რომ აღნიშული ნაგებობა მახლობლად მდებარე ქრისტიანულ სასაფლაოს შეურაცხებული და.

2013 წლის ზაფხულში თერჯოლაში, ადგილობრივი მოსახლეობისა და მართლმადიდებელი სასულიერო პირების ზეწოლით, მუნიციპალიტეტის საკრებულომ იეპოვას მოწმეებს ქალაქის ცენტრში, ოთხი ძმის ქუჩაზე, ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა შეუჩერა. ერთსართულიანი, მარტივი კატეგორიის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა რელიგიურმა გაერთიანებამ 2014 წლის 19 თებერვალს მოიპოვა. თუმცა მშენებლობის დაწყებიდან ორი კვირის თავზე, 1 ივნისს, მართლმადიდებელმა მოქალაქეებმა ადგილობრივი სასულიერო პირის, დეკანოზ სპირიდონ ცეიფურიშვილის ხელმძღვანელობით მუნიციპალიტეტის გამგეობისგან მშენებლობის შეწყვეტა მოითხოვეს. საპროტესტო აქციაზე უურნალისტებთან საუბარში ერთ-ერთმა მოქალაქემ აღნიშნა: „ეს არ არის სარწმუნოება. ეს არის სექტა... თუ მშენებლობა არ შეწყდება, აშენებულს დავუზგრევთ და საერთოდ გამოვასახლებთ სახლიდან.“<sup>47</sup> იეპოვას მოწმეთა ცნობით, აქციაში მონაწილეობდნენ მე-2 საჯარო

47. „დაპირისპირება თერჯოლაში - მოსახლეობა იეპოვას მოწმეთა დარბაზზე მშენებლობის წინააღმდეგ“, ახალი ამბები, 03.06.2014, ხელმისაწვდომია: <http://topnews.com.ge/index.php?newsid=2567>

სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები, მათ შორის, სკოლის დი-რექტორიც.<sup>48</sup>

საპროტესტო აქციების პერიოდში იეპოვას მოწმეთა მიმართ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დისკრიმი-ნაციულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ. მაგალითად, თერ-ჯოლის გამგებელმა მალხაზ გურგენიძემ მშენებლობის მიმართ ნეგატიური განწყობა საჯაროდ გამოხატა. უურნალისტებთან ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ „სამშენებლო სამუშაოები დარ-ღვევების გამო შეწყდება და ყველაფერი მართლმადიდებლების სასარგებლოდ დასრულდება.“<sup>49</sup> გამგებლის განცხადება მო-ცემულ მომენტში იყო დაუსაბუთებელი და მიკერძოებული, რადგან ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურს არც მშენებლობის ნებართვის გაცემამდე და არც მის შემდეგ დარღვევების შესახებ დასკვნა არ წარმოუდგენია.

აქციების პარალელურად, მშენებარე ობიექტის მეზობლად მცხოვრებმა კახაბერ მაკარიძემ გამგეობას ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა და იეპოვას მოწმეთა სახლის მშენებლობის შეჩერება მოითხოვა. წერილში არ იყო მითითებული წინააღ-მდეგობის რელიგიური მოტივი. განმცხადებლის თქმით, ტერი-ტორია წარმოადგენდა ციცაბო დაღმართს; მცოცავი ნიადა-გის გამო კი იეპოვას მოწმეთა ნაგებობის მშენებლობა სახლის მდგრადობას საფრთხეს უქმნიდა. მაკარიძის განცხადებით, აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მშენებლობა შესა-ბამისი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ჩატარებამდე უნდა შეჩერებულიყო.

2014 წლის 3 ივნისს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებუ-ლოს თავმჯდომარემ მტკიცებულების გარეშე, რომელიც ტერი-ტორიის საინჟინრო-გეოლოგიურ გამოკვლევას უნდა დაფუძნე-ბოდა, იეპოვას მოწმებს მშენებლობის ნებართვა შეუჩერა

48. აღნიშნული ქმედება არღვევს ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-13 მუხლს, რომლის მიხედვითაც, დაუშვებელია საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის მიზნებისთვის გამოყენება.

49. „თერჯოლაში იეპოვას მიმდევრების სამღლოცველოს მშენებლობას ხვალ გამგეობა შეაჩერებს“, 03.06.2014, ხელმისაწვდომია: [http://pia.ge/show\\_news.php?id=15676&lang=geo](http://pia.ge/show_news.php?id=15676&lang=geo)

(ბრძანება #244). ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენ-ლებმა არ განიხილეს იეპოვას მოწმეთა დაკვეთით ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ასაბუთებდა, რომ ტერიტო-რია, სადაც გათვალისწინებული იყო ერთსართულიანი, მარტივი კატეგორიის ნაგებობის მშენებლობა, „იმყოფებოდა დამაკმაყო-ფილებელ პირობებში და არ შეინიშნებოდა უარყოფითი ფიზი-კურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, ჩაქდენა და სხვა.)“.

საკრებულოს თავმჯდომარემ და გამგებელმა გადაწყვეტილების მიღების დროს უგულებელყოფვეს იეპოვას მოწმეთა კანონიერი ინტერესები და უსამართლოდ მიანიჭეს პრივილეგია მართლ-მადიდებელი მრევლის მოთხოვნებს. შესაბამისად, საჯარო პირთა ქმედებები სამართალდარღვევას წარმოადგენს (სამსა-ხურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება/გადამე-ტება; რელიგიური საქმიანობისთვის უკანონოდ ხელის შეშლა) და მათში იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები.

აღნიშნულ კონტექსტში საინტერესოა კახაბერ მაკარიძის პა-სუხი იეპოვას მოწმეთა შეკითხვაზე - „თუკი ყველა ექსპერტი დაასკვნის, რომ მშენებლობა შეიძლება გაგრძელდეს, ექნება თუ არა მას პრეტენზია“, რაზეც იეპოვას მოწმეთა თქმით, მაკარიძემ განაცხადა, რომ იგი მშენებლობის წინააღმდეგი იქნება, რადგან „ის არის ხალხის მხარეს და არ უნდა, იეპოვას მოწმების სახლი მის გვერდით და საერთოდ მის რაიონში აშენდეს.“

უნდა აღინიშნოს, რომ თერჯოლაში მშენებლობის შეჩერების შემდეგ გახშირდა იეპოვას მოწმეთა შეურაცხყოფის, რელიგი-ური ნიშნით დევნისა და მუქარის ფაქტები.

მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემა შეექმნათ მეშ-ვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასი-ური იუნიონის წარმომდგენლეპსაც, როდესაც დაპა მანგლისის სოფელ ალგეთში მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის (საცხოვრებელი სახლი, სპორტული დარბაზი და გათბობის წერტილი) მშენებლობის ნე-ბართვის მისაღებად თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეო-ბას მიმართეს.

წერილის ჩაბარების დროს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური დახმარების სამსახურში განაცხადეს, რომ მოცემულ ტერიტორიაზე ცენტრის მშენებლობისთვის გარკვეული დაბრკოლებები არსებობდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელ-ზე 200-ზე მეტი მოქალაქის მიერ ხელმოწერილი საჩივარი იყო შესული - მანგლისის მოსახლეობა სპორტული ცენტრის მშენებლობას რელიგიური მოტივით ენინააღმდეგებოდა.

ადვენტისტთა რელიგიური გაერთიანების წარმომადგენლების შეფასებით, ხშირად ადგილობრივი მრევლის აგრესია მართლ-მადიდებელი სასულიერო პირების მიერ უმცირესობების მიმართ სიძულვილის ენის გამოყენებით არის გამოწვეული.

სამშენებლო ნებართვის გაცემის პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსახლეობის აზრის გათვალისწინება კონკრეტულ პროექტთან ან მის დანიშნულებასთან დაკავშირებით მოკლებულია რაიმე სამართლებრივ საფუძველს.

მთავრობის #57 დადგენილების 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „დაუშვებელია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ისეთი მოთხოვნების ჩართვა, რაც კანონმდებლობით არ არის დადგენილი.“ კანონმდებლობით არსად არ არის დადგენილი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებაზე უარის თქმა იმ მიზეზით, რომ ადგილობრივი მოსახლეობისთვის პროექტი, მისი დამკვეთი ან მიწის მესაკუთრე მიუღებელია.

მიწის ნაკვეთის გამოყენება მესაკუთრის პრეროგატივაა. სამშენებლო პროცესის რეგულირება და ამ მხრივ მესაკუთრის უფლებებში ჩარევა გამართლებულია საზოგადოების უსაფრთხოებისა და ურბანული განვითარების მიზნებით. თუმცა როდესაც პირს დაუსაბუთებლად, მხოლოდ სხვა მესაკუთრეების რელიგიური შეხედულებების ან ირაციონალური მოსაზრებების გამო, ერთმევა თავისი საკუთრების გამოყენების შესაძლებლობა, მაშინ ამგვარი შემთხვევა საკუთრების ისეთ შეზღუდვას წარმოადგენს, რომელიც არავითარ სასარგებლო მიზანს არ ემსახურება, საკუთრების უფლების აშკარა უგულე-

ბელყოფაა და ისევე, როგორც განსახილველ შემთხვევაში, შეიძლება მხოლოდ უმრავლესობის მხრიდან დისკრიმინაციულ განწყობებს ეფუძნებოდეს.

დაბა მანგლისის მოსახლეობის საჩივარი მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ტრანსკავკასიური იუნიონის მიერ სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის აშენების თაობაზე: „ვითვალისწინებთ რა საქართველოს კანონმდებლობას, კონსტიტუციასა და კონკორდატის მოთხოვნებს პროზელიტიზმის - ახალი რელიგიების თავს მოხვევისა და გავრცელების შეუძლებლობის შესახებ, ასევე საქართველოში არსებულ დაძაბულ პოლიტიკურ-სოციალურ ფონსა და საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებულ დაპირისპირების ფაქტებს რელიგიურ ნიადაგზე, ჩვენ, მოსახლეობა, რომელებიც ტრადიციული რელიგიების წარმომადგენლებივართ, ვცხოვრობთ საქართველოს უძველეს ისტორიულ კუთხეში, სადაც პირველად აშენდა ქრისტიანული ტაძარი, არ დავუშვებთ მშენებლობას და მოვითხოვთ, ადავეთლ იქნას ზემოთ აღნიშნული რელიგიური ჯგუფის მცდელობა, რათა ანტისა და უახლეს მომავალშიც თავიდან ავიცილოთ კონფლიქტები და დავიცვათ ჩვენი კონსტიტუციური უფლებები.“

### 2.2.3. გათუმაში ახალი მეჩეთის მშენებლობა

კვლევის ფარგლებში აჭარის რეგიონში გამოკითხული ქართველი მუსლიმების თანახმად, ქალაქ ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობა მათ ერთ-ერთ მთავარ საჭიროებას წარმოადგენს.

არასამთავრობო ორგანიზაციის „ქართველ მუსლიმთა კავშირის“ წარმომადგენლების თქმით, ახალი მეჩეთის აშენებას თემი 1995 წლიდან ითხოვს, რადგან ბათუმის ორთაჯამეს მეჩეთი, რომელშიც დღეს მუსლიმები ლოცულობენ, მრევლს ვეღარ იტევს. ორთაჯამეს მეჩეთი ბათუმში საბჭოთა პერიოდიდან მოქმედებს. 1990-იანი წლებიდან იგი წარმოადგენს, როგორც საკრებულო მეჩეთს, ასევე 1995 წლიდან სამუფთოს ცენტრალურ

სამლოცველოსაც.<sup>50</sup> ამჟამად ქართველი მუსლიმები მეჩეთის აშენებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებას მთავრობის წარმომადგენლებთან აწარმოებენ.

2012 წლის 8 აპრილს მუფთმა ჯემალ პაქსაძემ ოფიციალური წერილით მიმართა პრემიერ-მინისტრს და ბათუმში მეჩეთის ასაშენებლად მინის ნაკვეთის გამოყოფა სთხოვა. თემა მინის ნაკვეთის გამოყოფის თხოვნით ცენტრალურ ხელისუფლებას 2013 წლის 22 მარტსაც, ხოლო 11 სექტემბერს აჭარის მთავრობას მიმართა. მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან მრავალი დაპირების მიუხედავად, სამლოცველოს მშენებლობა დღემდე არ დაწყებულა. გაურკვეველია მეჩეთის ადგილმდებარეობა და მშენებლობის დაწყების თარიღიც. წლების განმავლობაში ბათუმში ახალი მეჩეთის აშენებაზე ხელისუფლების ნეგატიური ან უკეთეს შემთხვევაში, ორჭოფული პოზიცია მუსლიმთა რელიგიური ნიშნით დიკსრიმინაციის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მაგალითია.

„ჯამეს ასაშენებლად დავიწყეთ ფულის შეგროვება, მე გავიდე ჩემი კუთვნილი „ნივა“ 4,500 ლარად. ვაგროვებთ შემოწირულობას და შემოსულ თანხას აღვრიცხავთ. თუკი სურვილი იქნება, რომ ერთად ავაშენოთ და ამას პრემიერ-მინისტრი დაგვპირდა [ბიძინა ივანიშვილი], წინააღმდეგი არ ვართ. გვინდა, ჩვენი [ქართველების] ფულით ავაშენოთ, რომ ისევ არ დაგვაპრალონ, თურქების აგენტები ხართო,“ - ასლან აბაშიძე, ხულოს რაიონის მუფთი.

## რეკომენდაციები

### ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- აუცილებელია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა დაიცვან რელიგიურ უმცირესობათა უფლებები და საკულტო თუ არარელიგიური დანიშნულების ნაგებო-

50. რესლან ბარამიძე, საქართველოს მუსლიმური თემი და სახელმწიფო პოლიტიკა (1991–2012 წლები), მონოგრაფია, გამომცემლობა „პოროსი XXI“, ბათუმი, 2014

ბების მშენებელობის ნებართვა კანონიერ ვადებში დროულად გასცენ.

- აუცილებელია, პოზიტიურად გადაწყდეს ბათუმის მეჩეთის მშენებლობის საკითხი და ამ კუთხით აღარ დაირღვეს მუსლიმთა კონსტიტუციური უფლებები.

### **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს:**

- სამინისტრომ საქართველოს სახალხო დამცველის, ავტორიტეტული არასამთავრობო, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად უნდა ჩაატაროს საგანმანათლებლო, ახსნა-განმარტებითი ღონისძიებები მუნიციპალიტეტებსა და სხვა რეგიონულ სტრუქტურებში საჯარო მოხელეების ეთიკური სტანდარტების, რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვისა და ტოლერანტული ცნობიერების ამაღლების მიზნით.

### **2.3. ქონების საკუთრების უფლებით გადაცემა/რეგისტრაცია**

**პროგლემა:** რელიგიურ გაერთიანებებს წინააღმდეგობა ექნებათ მათ სარგებლობაში (მფლობელობაში) არსებულ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისას, რადვან, როგორც წესი, რელიგიურ გაერთიანებებთან მიმართებით საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ არსებულ რეგულაციებს სახელმწიფო უწყებები არასწორი ინტერპრეტაციით იყენებენ.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ თანახმად, სახელმწიფო ქონების შემძები შეიძლება იყოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, პირდაპირი მიყიდვისას - საქართველოს სამოციქულო ავტოკუთალური მართლმადიდებელი ეკლესია.<sup>51</sup>

51. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“, №3512-ს, 2010 წლის 21 ივნისი, მუხლი 2, პუნქტი 1

აღნიშნული კანონი მართლმადიდებელ ეკლესიას, სხვა რელიგიური ორგანიზაციებისგან განსხვავებით, აძლევს ექსკლუზიურ უფლებას პირდაპირი მიყიდვის წესით სახელმწიფო ქონების შემძენი იყოს. საპატრიარქოს უფლება აქვს, უსასყიდლოდ მოახდინოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზებაც.

## პროგლემის აღწერა

### 2.3.1. საპატრიარქო რეგულირების საფუძვლით შეზღუდვა

საქართველოს ევანგელიურ-პროტესტანტული ეკლესია ქ. გორში, მოითხოვს, რომ შენობა, სადაც ხსენებული რელიგიური გაერთიანება მსახურობს, საკუთრების უფლებით გადაეცეს. რამდენადაც ეკლესიის ტერიტორია შემოუღობავია, ბოლო დროს გახშირდა თავდასხმის, შეურაცხყოფისა და დისკრიმინაციის ფაქტები. 2013 წელს შენობის მფლობელობაში გადაცემის თხოვნით ეკლესიამ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს მიმართა. საკითხი განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

2014 წლის იანვარში გაირკვა, რომ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ მზად არის, განიხილოს ეკლესიისთვის ობიექტის სარგებლობის და არა საკუთრების უფლებით გადაცემის საკითხი. ევანგელიურ-პროტესტანტული ეკლესიისთვის ქონების საკუთრების უფლებით გადაცემაზე უარის მიზეზად ეკონომიკის სამინისტრომ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი<sup>52</sup> დაასახელა, რომლის თანახმადაც, საჯარო სამართლის იურიდიულ

52. სახელმწიფო ქონების შემძენი შეიძლება იყოს: საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია, აგრეთვე სახელმწიფოს, სხვა სუბიექტის ან სახელმწიფოსა და სხვა სუბიექტის მიერ ერთობლივად დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, საქართველოს ეროვნული ბანკი, ხოლო საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით პირდაპირი მიყიდვისას – ასევე საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია.

პირზე პირდაპირი მიყიდვის წესით სახელმწიფო ქონება ვერ გადაიცემა, გამონაკლისს კი სსიპ-ის სტატუსის მქონე საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს.

სახელმწიფოს მიერ რელიგიური გაერთიანების სტატუსის ამგვარი განმარტება უმცირესობებისადმი დისკრიმინიციულ მიდგომად შეიძლება შეფასდეს, რადგან 2011 წლის 5 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ სამოქალაქო კოდექსში (მუხლი 1509) მიღებული ცვლილებების მიხედვით, ს(ს)იპ-ებად დარეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციებზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი, რითაც რელიგიური გაერთიანებები კერძო სამართლის იურიდიული პირის შესახებ არსებული რეგულაციების სივრცეში რჩებიან. ამგვარად, რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციასთან დაკავშირებით სამოქალაქო კოდექსში არსებული მუხლი, მისი შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს არ უნდა განემარტა იმგვარად, რომ ეგანგელურ-პროტესტანტულ ეკლესიაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის დაწესებული შეზღუდვები გავრცელებულიყო.

საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტულ ეკლესიის წარმომადგენლების თქმით, მათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მნიშვნელოვანია, რადგან ეს სახელმწიფოს მიერ ყველა რელიგიური გაერთიანების თანასწორუფლებიანობის აღიარებს ნიშნავს. გარდა ამისა, აღნიშნული საკითხის მოგვარების ერთ-ერთ გზად შესაძლოა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლში შესაბამისი ცვლილების განხორციელებაც განვიხილოთ, რომლის მიხედვითაც, სსიპ სტატუსის მქონე ყველა რელიგიურ გაერთიანებას მიეცემა მათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრების გადაცემის უფლება.

### 2.3.2. იურიდიული დახმარების საჭიროება

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საკუთრების რეგისტრაციისა და პრივატიზაციის პროცესი უკავშირდება რელიგიური უმცირესობებისთვის კვალიფიციური იურიდიული დახმარების საჭიროებას.

რამდენიმე რელიგიური ორგანიზაცია, სამართლებრივი ხასიათის პრობლემების მოუგვარებლობის გამო, სარგებლობაში არსებულ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას ვერ ახერხებს.

ასე მაგალითად, პრობლემის წინაშე დგას საქართველოს სახარების რჩმენის ეკლესია, რომელსაც ქუთაისში მათ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის პრივატიზება სურს. 1176 კვ.მ ნაკვეთის ნაწილი - 576 კვ.მ, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონებაა, რომლითაც ეკლესია 1998 წლიდან სარგებლობს.

საქართველოში, რელიგიური ნიშნით დევნისა და არსებული დისკრიმინაციული ფონის გამო, ნაკვეთის შეძენისას ეკლესიამ ქონება გერმანიის ქრისტიანული დახმარების მისიის, „ნეემიას“ საქართველოს წარმომადგენლობის სახელზე დაარეგისტრირა. 2007 წელს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ კი რელიგიურმა გაერთიანებამ გადაწყვიტა საცხოვრებელი ფართი და ეზო, სადაც ეკლესია მდებარეობს, საკუთარი ორგანიზაციის სახელზე, კავშირ „განახლებაზე“ გადაეფირმებინა.

ეკლესიის წარმომადგენლების თქმით, ისინი საჯარო რეესტრში დაარსებულენა, რომ ქონებაში მათ არავინ ეცილებოდა და საკუთრებად დარეგისტრირების აუცილებლობაც, აქედან გამოდინარე, არ არსებობდა. მაგრამ, ამასობაში, 2012 წლის 1 იანვარს, მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ქონებაზე საკუთრების აღიარების კანონით დადგენილი ხანდაზმულობის გადა ამოიწურა.<sup>53</sup> დროული იურიდიული კონსულტაციის შემთხ-

53. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების

ვევაში, რელიგიური ორგანიზაცია შესაბამის ვადაში ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას მოახერხებდა. ამჟამად რელიგიური გაერთიანება საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით არის რეგისტრირებული. მათ, ნაკვეთის პრივატიზების მიზნით, თხოვნით მიმართეს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, თუმცა, დიდი ალბათობით, სამართლებრივი სტატუსის გამო (ისევე, როგორც ევანგელიურ-პროტესტანტული ეკლესიის შემთხვევაში), სახარების რწმენის ეკლესია კვლავაც ვერ შეძლებს ამ ქონების საკუთრების უფლებით რეგისტრირებას.<sup>54</sup>

ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებით მსგავსი პრობლემა შეემნა ევანგელიურ ეკლესიას „სიცოცხლის სიტყვასაც“. ორგანიზაციამ იმ ვადაში, რომელშიც ამის საშუალებას კანონი აძლევდა, ვერ მოასწრო თბილისში, სარგებლობაში არსებული სამლოცველო სახლის ირგვლივ, მიწის მცირე ნაკვეთზე საკუთრების უფლება მოეპოვებინა.

საკუთრებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ხასიათის პრობლემის მოსაგვარებლად იურიდიული კონსულტაცია სჭირდება მაღარების რუსულენოვან თემს. ამჟამად სალოცავი, რომელიც თბილისში, დაისის ქ. 99-ში მდებარეობს, სადავო კერძო საკუთრებას წარმოადგენს.

ხშირად რელიგიური უმცირესობებისთვის ქონების რეგისტრაციის პროცესი ჭიანურდება, რადგან მათ საჯარო რეესტრის თანამშრომლები საჭირო ინფორმაციას დროულად არ აწვდიან. მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის სომეხ კათოლიკეთა ორდინარიატი რამდენიმე თვეები დაილობს დაადგინოს, ვის სახელზეა მათ სარგებლობაში არსებული ქონება რეგისტრირებული. რე-

---

შესახებ“ კანონი, მუხლი 74, „აკრძო სამართლის იურიდიული პირის მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების ვადა - 2012 წლის 1 იანვრიდან კერძო სამართლის იურიდიული პირი კარგაც მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ, ასევე თვითნებურად დაკავშირდ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებას. აღნიშნული თარიღის შემდეგ საკუთრების უფლების მოპოვება შესაძლებელია სახელმწიფო ქინების პრივატიზაციისათვის დადგნილი ზოგადი წესის შესაბამისად.“

54. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით რელიგიურ გაერთიანებას ადამიანების უფლებათა სწავლებისა და მოზიტორინგის ცენტრი (EMC) უფასო სამართლებრივ დახმარებას სთავაზობს.

ლიგიური გაერთიანება საქართველოში 17 მოქმედი ეკლესის საკუთრების უფლებით დარეგისტრირებას ითხოვს.

## რეკომენდაცია:

### საქართველოს პარლამენტს:

რამდენადაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე რელიგიურ გაერთიანებებზე არ ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ არსებული კანონმდებლობა, მათ მიმართ კერძო სამართლის იურიდიულ პირთან დაკავშირებული რეგულაციები მოქმედებს. ნორმა, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე საკუთრების პირდაპირი მიყიდვის წესით გადაცემას კრძალავს, საერთოდ არ უნდა ვრცელდებოდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე რელიგიურ გაერთიანებებზე. ორაზროვანი ინტერპრეტაციის შესაძლებლობის გამოსარიცხად საჭიროა, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლში შევიდეს ცვლილება, რომლის მიხედვითაც, პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრების გადაცემის უფლების აკრძალვა არ გავრცელდება ს(ს)იპ სტატუსის მქონე რელიგიურ გაერთიანებებზე.<sup>55</sup>

55. ამგვარი რეკომენდაციით საქართველოს სახალხო დამცველმაც მიმართა საქართველოს პარლამენტს; იხ. სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიში. ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf>

### 3. დისპრიმინაცია საჯარო საგანგმათლებლო დაწასეპულებები

**პროგლემა:** თითქმის ყველა რელიგიური გაერთიანების წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ მოქმედი საკანონმდებლო ნორმების მიუხედავად<sup>56</sup>, საჯარო საგანგმათლებლო დაწესებულებებში რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია მათი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა.

საჯარო სკოლებში ხშირია პროზელიტიზმი, ადმინისტრაციისა და პედაგოგების ინიციატივით მართლმადიდებლურ ეკლესიებში ღვთისმსახურებაზე მოსწავლეების გაყვანა, კოლექტიური ლოცვა, არააკადემიური დანიშნულებით გამოფენილია რელიგიური სიმბოლიკა, მოწყობილია სალოცავი კუთხეები; ადმინისტრაციის მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკად იქცა ქადაგებისა და რიტუალების შესასრულებლად (დალოცვა, კურთხევა, პარაკლისი) სამღვდელო პირების სკოლებში მოწვევა; პედაგოგები და მოსწავლეები რელიგიურ უმცირესობებს დამამცირებლად ეპყრობიან, გამოვლენილია ინდოქტრინაციის შემთხვევები, სცადეს განსხვავებული აღმსარებლობის მოსწავლეთა მართლ-მადიდებლური წესით მონათვლაც.

ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის სახელმძღვანელოებში იმჟიათადაა გამახვილებული ყურადღება ტოლერანტობასა და „განსხვავებულის“ პატივისცემაზე. როგორც წესი, სახელმძღვანელოებში კი არ ასახავენ, არამედ ჩქმალავენ საქართველოში არადომინანტური აღმსარებლობების დიდ ისტორიულ და კულტურულ მნიშვნელობას.

რელიგიური უმცირესობების კანონიერი ინტერესები არ არის გათვალისწინებული სასკოლო კალენდრის შედგენის დროსაც.

56. „ზოგადი განათლების შესახებ“ 2005 წლის 8 აპრილის საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, დაუშვებელია საჯარო სკოლაში სახწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისთვის გამოყენება.

ყოველივე ამასთან ერთად, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი მშობლები, უმეტესნილად, თავს იკავებენ პრობლემის გასაჯაროებისგან, რადგან მიაჩნიათ, რომ წინააღმდეგობის განვევის შემთხვევაში კიდევ უფრო მეტად დამძიმდება მათი შვილების მდგომარეობა. წლების განმავლობაში ეს გარემოება საჯარო სკოლების ტოტალური უკანონო კლერიკალი ზაფიის მნიშვნელოვან მიზეზად იქცა.

**პროგლემის აღწერა.** კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების თქმით, საჯარო სკოლებში ერთ-ერთი პრობლემური საკითხი მართლმადიდებლური წესით კოლექტიური ლოცვის პრაქტიკაა, რომელშიც, ძალაუნებურად, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებიც მონაწილეობენ.

„[გორის მე-12 საჯარო სკოლაში] იყო მასობრივი ზიარების შემთხვევები; ნებაყოფლობით წაიყვანეს ბავშვები ეკლესიაში ზიარებაზე. ამბობენ, ნებაყოფლობითო, მაგრამ ვინც არ მიდის, ის ხომ სტიგმატიზირებულია, “ევანგელიურ-პროტესტანტული ეკლესიის პასტორი შმაგი ჭანკვეტაძე.

\*\*\*

„ერთი წლის წინ ჩემმა ძმისშვილმა თქვა, პარასკევს სკოლაში შარვლით არ უნდა წავიდეო. აღმოჩნდა, რომ პარასკევობით, როცა ჰქონდათ ფიზიულტურის გაკვეთილი, მასნავლებელი სისტემატურად ხსნიდა ამ გაკვეთილს და ბავშვები მიჰყავდა ახლომდებარე ეკლესიაში,“ - ევანგელიურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი რუსუდან გოცირიძე.

რესპონდენტები აცხადებენ, რომ სასწავლო დაწესებულებებში ხშირად გვხვდება ერთგვარი იერარქიული დაყოფა კონფესიური ნიშნით. განსაკუთრებით, აგრესის მსხვერპლი არიან ისტორიულად შედარებით გვიან დამკვიდრებული რელიგიური გაერთიანების წარმომადგენელი მოსწავლეები. პედაგოგები და მოსწავლეები, დამამცირებელი კონოტაციით, ხშირად იყენებენ ეპითეტებს - „სექტანტი“, „იელოველი“. რელიგიურ უმცირესობებს მორის ყველაზე მარგინალიზებული ჯგუფი იეპოვას მოწ-

მეებია, რომლებსაც ხშირად მოიხსენიებენ სიძულვილით და შეურაცხყოფენ, როგორც სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები, ასევე მოსწავლეები.

თუმცა, შეუწყნარებლობა გამოიხატება ე.წ „ტრადიციული“ რელიგიური აღმსარებლობების მისამართითაც. მაგალითად, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლებში ადგილობრივი მართლ-მადიდებელი ქრისტიანები კათოლიკებს ზოგჯერ უარყოფით კონტექსტში, „პაპის ტებად“ მოიხსენიებენ. არაერთი ფაქტია გამოვლენილი ეთნიკურად ქართველი მუსლიმი მოსწავლეები-სადმი პედაგოგებისა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომად-გენლების მხრიდან დამამცირებელი და შეურაცხყოფელი დამოკიდებულებისა, მათ უწოდებენ ხოლმე „თათრებს“, „ურ-ჯულოებს“, „მტრებს“, მოუწოდებენ „მამა-პაპათა სარწმუნოე-ბაში“ დაბრუნებისკენ.

„სექტანტობა სამშობლოს დალატია - ასე უთხრა სკოლის მასწავლებელმა ჩვენი მრევლის შვილს,“ - ევანგელიურ-პროტესტანტული ეკლესიის პასტორი შმაგი ჭანკვეტაძე.

„ჩვენ ვიცოდით [სოფელ თიანეთში] ერთი სილარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მრავალშვილიანი ოჯახის შესახებ. მათი ოჯახის ნევრები ჩვენი ეკლესიის მრევლი არიან. გადავწყვიტეთ, რომ ტელევიზიისთვის გვეთხოვა მა-თზე სიუჟეტი გაკეთებულიყო, რომ ამ ოჯახს შესაბამისი სტრუქტურები დახმარებოდნენ. ამასობაში, გავიგეთ, რომ სკოლის დირექტორმა ბავშვი დაიბარა და უთხრა, სირცხვილია, რომ სექტანტი ხარ, თუ გინდა, რომ გადაცე-მა გაკეთდეს, მართლმადიდებლად უნდა მოინათლოო. სოფლის მცხოვრებლებისგანაც ხშირად ყოფილა ასეთი მიმართვები, აი, გზას რომ აცდით, ამიტომ ხართ გაჭირვე-ბულებით,“ - საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელ-მძღვანელი ლელა ხონელიძე.

„უდის მეორე საშუალო სკოლაში იყო შემთხვევა, როცა ისტორიის გაკვეთილზე მონაზონი ქადაგებდა, რომ კა-თოლიკები მწვალებლები არიან. მშობლებმა უნდა მო-

ნანიონ, თორემ თაობებით დაწყევლილები იქნებითო, “  
- ლათინ კათოლიკეთა კაცკასიის სამოციქულო ადმინის-  
ტრაცია, მამა მიხეილ სურმავა.

TDI-ის მიერ წარმოებული გამოკითხვის შედეგებით, საქარ-  
თველოს საჯარო სკოლების მასწავლებლები, როგორც წესი,  
რელიგიური სიმბოლიკის გამოყენებას ზოგადი განათლების  
შესახებ კანონისა და ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევად  
არ განიხილავენ. მათვის სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური  
სიმბოლიკის საჯაროდ გამოფენა ლეგიტიმურ მიზანს ემსა-  
ხურება.

„რამდენიმე საკლასო ოთახში მოსწავლეებს საკუთარი  
სურვილითა და წებით მოწყობილი აქვთ ხატების კუთხე.  
ვფიქრობ, მცხეთაში ქართველი ბავშვებისთვის ამის  
აკრძალვა გაუმართლებელია,“ - ს(ს)იპ ქალაქ მცხეთის #2  
საჯარო სკოლის დირექტორი ნანა ბოხუა.

„1998 წლიდან, მაშინ, როდესაც სკოლაში ისწავლებოდა  
საგანი რელიგია, 12 კვ. მ ფართობის მქონე ოთახში გა-  
ნუთავსებიათ რელიგიური ხასიათის სიმბოლოები, კერ-  
ძოდ: კარიბჭის ღვთისმშობელის ხატი, უფალი იესო  
ქრისტე, წმინდა გორგო, თამარ მეფის ხატი, მთავარანგე-  
ლოზის, წმინდა ნიკოლოზის და ბზობის ხატი. აღნიშ-  
ნული რელიგიური სიმბოლოების არსებობა ემსახურება  
დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების აღნიშ-  
ვნას, აგრეთვე ისეთი ღონისძიების ჩატარებას, რომელიც  
მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირე-  
ბულებების დამკაიდრებისაკენ,“ - ს(ს)იპ ქალაქ თბილისის  
213-ე საჯარო სკოლის დირექტორი ა. ბურჭულაძე.

„მოსწავლეთა სურვილით საკლასო ოთახებში არის რელი-  
გიური კუთხე, სკოლის ტერიტორიაზე არის ნმ. გაბრი-  
ელის სახელობის ეკლესია,“ - ს(ს)იპ ქალაქ ქუთაისის 11-ე  
საჯარო სკოლა, დირექტორი ნუგ ზარ ჩაკვეტაძე.

„...სკოლის პირველ სართულზე განთავსდა მცირე ზომის  
სამღლოცველო, რომელიც, როგორც სასწავლო რესურსი,  
ხელს უწყობს ესგ-ს საზ. მეცნიერების შედეგებისა და

**სტანდარტების განხორციელებას,“ - ქ. თბილისის 126-ე სკოლის დირექტორი ქეთევან აბულაძე.**

საჯარო სკოლებში, რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაციის მას-შტაბურობისა და სისტემური ხასიათის მიუხედავად, კანონ-დარღვევების იდენტიფიცირებას ართულებს ის ფაქტი, რომ მშობლები, უმეტესწილად, თავს იკავებენ, საჩივრით მიმართონ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და უფლებადამ-ცველ ორგანიზაციებს.<sup>57</sup> მათი აზრით, ეს მდგომარეობას გაარ-თულებს და ბავშვების სტიგმატიზაციას გამოიწვევს.

ვითარების ზუსტ აღწერას ისიც უშლის ხელს, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბა-მისად, მასწავლებლის მიერ ჩადენილ სამართალდარღვევასთან დაკავშირებულ საჩივრებზე სტატისტიკას არ აწარმოებს.

აქედან გამომდინარე, სამინისტრო არ ფლობს მასწავლებლის უკანონო ქმედების გამო დაკისრებული პასუხისმგებლობის შესახებ არანაირ ინფორმაციას.<sup>58</sup> TDI-ის მიერ საქართველოს მასტებით გამოკითხული ორმოცი სკოლიდან მასწავლებლების წინააღმდეგ შესული საჩივრების არსებობას არც ერთი მათგანი არ ადასტურებს.

## **სასწავლო კალენდარში რელიგიური უაცხირესო-ბების ინტერესის გათვალისწინება**

ზოგადი განათლების შესახებ კანონის აშკარა დარღვევის გარდა არსებობს კიდევ ერთი პრობლემა - საგანმანათლებლო დაწესე-ბულებებში სასწავლო კალენდრის შედგენა. ზოგიერთი რესპონ-დენტი აცხადებს, რომ სახელმწიფო გამოცდებისა და სასკოლო ოლიმპიადების დანიშვნისას განათლების სამინისტრო გარკვეუ-

57. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანხმად, მოსწავლეს ან მის მშობელს უფლება აქვთ გაასაჩივრონ მასწავლებლისა და სკოლის უკანონო ქმედებები.

58. TDI-ის მიერ გაგზავნილი წერილი, რეგისტრაციის ნომერი: #120792, 04.03.14. წერილი ვითხოვდით 2010- 2014 წლების მონაცემებს.

ლი რელიგიის მიმდევართა ინტერესს არ ითვალისწინებს. მაგალითად, მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა რელიგიურ ორგანიზაციაში შაბათი დღე უქმედაა გამოცხადებული და ამ დღეს მორნმუნები საერო საქმეებში არ მონაწილეობენ. ეკლესიის პასტორის, ბორის ჭარაიას თქმით, გამოცდები ხშირად სწორედ შაბათ დღეს ემთხვევა. სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს მიერ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის განხული რეკომენდაციების მიუხედავად, გამოცდაზე გამოცხადებლობის საპატიოდ ჩათვლის ან გამოცდის გადატანის შესახებ თხოვნით მიმართვა რელიგიურ ორგანიზაციას ყოველ შემთხვევასთან დაკავშირებით ინდივიდუალურად უწევს.

## რეკომენდაციები

### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს<sup>59</sup>

- საჯარო სკოლებში პროზელიტიზმის, ინდოქტრინაციისა და რელიგიური სიმბოლიკის არააკადემიური დანიშნულებით გამოფენის შემთხვევების გამოვლენის მიზნით, საჭიროა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, სახალხო დამცველისა და დაინტერესებული ავტორიტეტული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, შეიქმნას მონიტორინგისა და რეაგირების სპეციალური ჯგუფი;

59. 2012 წელს სახალხო დამცველთან არსებულმა რელიგიათა საბჭომ წარადგინა რეკომენდაციები, სადაც ნათევამია, რომ „განათლების სამინისტრომ განათლების შესახებ კანონისა და მასწავლებელთა ქვევის კოდექსის საფუძველზე უნდა შეიმუშავოს გაიდლაინები სკოლის დირექტორებისათვის იმის შესახებ, თუ როგორ გახდეს სკოლის გარემო რელიგიური თვალსაზრისით ნეიტრალური.“ ასევე, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები რეკომენდაციას უწევენ ინიციატივას, რომ სკოლის დირექტორის სტანდარტში აისახოს მოთხოვნა სკოლის დირექტორის მიერ მრავალფეროვნების მართვისა და ინტერკულტურული განათლების ცოდნის ფლობის შესახებ. მსაგავი ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე უთითებები რელიგიურ უმცირესობების წარმომადგენლები კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუებშიც.

- მონიტორინგის ჯგუფმა რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევებზე ინფორმაცია უნდა მიაწოდოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს;
- მონიტორინგისა და რეაგირების ჯგუფმა, შესაბამისი ექსპერტების მონაცილეობით, უნდა შეიმუშავოს გზამკვლევი საჯარო სკოლების დირექტორებისა და მასწავლებლებისთვის, სადაც მოცემული იქნება ზოგადი განათლების კანონის მოთხოვნების, საჯარო სკოლაში რელიგიური ნეიტრალურობის დაცვისა და ტოლერანტული გარემოს ხელშეწყობისთვის საჭირო კონკრეტული ინსტრუქციები;
- აღნიშნულმა ჯგუფმა ყოველწლიურად უნდა წარმოადგინოს ანგარიში საჯარო სკოლებში არსებული მდგომარეობის შესახებ;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა შეიმუშავოს სამოქმედო გეგმა საჯარო სკოლებში რელიგიის თავისუფლების დაცვის მიმართულებით აქტიური მუშაობისა და ტოლერანტობის კულტურის დამკვიდრებისთვის; მათ შორის, უზრუნველყოფის ტოლერანტობის კულტურის წამახალისებელი ღონისძიებების - მოსწავლეთა და მასწავლებელთა კონფერენციების, კონკურსების, ვიქტორინების, დისკუსიებისა და ა.შ. გამართვა;
- ს(ს)იპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მასწავლებელთა გადამზადების პროგრამაში უნდა გაძლიერდეს ინტერკონფესიური და ინტერკულტურული კომპონენტი;
- საჭიროა მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტში ტოლერანტობის კუთხით მასწავლებელთა განწყობების შეფასება;
- საჭიროა, დირექტორის სტანდარტში აისახოს მოთხოვნა ინტერკულტურული განათლებისა და ტოლერანტული გარემოს შექმნისთვის საჭირო უნარების ფლობის შესახებ;

- საჭიროა, ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, კულტურის, სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოების რევიზია და მათი საშუალებით მოსწავლეებისთვის ნეიტრალური, დაბალანსებული ინფორმაციის მიწოდება; მათში ტოლერანტული იდეებისა და რელიგიურ-ეთნიკური მრავალფეროვნების ასახვა. ისტორიის, ლიტერატურის, კულტურის, სამოქალაქო განათლების, ხელოვნების სახელმძღვანელოები შეუწყნარებლობის ქადაგების ნაცვლად, უნდა აჩვევდეს განსხვავებულის პატივისცემას და ყურადღებას ამახვილებდეს ტოლერანტობის მნიშვნელობაზე.
- გრიფირების წესში შეტანილი ცვლილების მონიტორინგისთვის, საჭიროა, შეიქმნას საექსპერტო ჯგუფი, რომელიც ითანამშრომლებს სახალხო დამცველთან და დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ჯგუფი შეაფასებს, თუ რამდენად ასახავს სახელმძღვანელოები კულტურულ და კონფესიურ მრავალფეროვნებას და მოამზადებს რეკომენდაციებს სახელმძღვანელოების შემდეგი გამოცემისთვის.

#### 4. სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა

**პოლიტიკა:** რელიგიურ უმცირესობათა ნარმომადგენლების თქმით, ბოლო პერიოდში აშკარად შეიმჩნევა, რომ მთავრობას მათზე კონტროლის მექანიზმის გააძლიერება სურს. ამის გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ ახალი სახელმწიფო სტრუქტურის, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შექმნაც.

რელიგიური გაერთიანებების ნარმომადგენელთა უმრავლესობა აცხადებს, რომ სახელმწიფო მათთან დაკავშირებულ საკითხებს რელიგიური უმცირესობების ფართო სპეცირთან შეუთანხმებლად წყვეტს. ამ მიმართულებით მთავრობის მიერ ბოლო პერიოდში გადადგმული ნაბიჯები რელიგიური გაერთიანებების თავისუფლებაში ჩარევის სურვილად შეიძლება შეფასდეს.

განსაკუთრებით შემაშფოთებელი სახე მიიღო მუსლიმებისადმი საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკამ, რომელიც ამ კუთხით საკუთარ როლს, როგორც ჩანს, უსაფრთხოების მეტად თავისებურ, ექსკლუზიურად გაგებულ კონტექსტში ხედავს და არა ყველა ადამიანისა და კონკრეტულად, მუსლიმების კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტორად.

რესპონდენტების თქმით, სახელმწიფო უნდობლობლად ეკიდება მუსლიმ მოქალაქეებს, რაც გამოიხატება მუსლიმთა სისტემურ დისკრიმინაციასა და მათვის კონკრეტული ბარიერების შექმნაში, მათი უფლებების მასშტაბურ შეღახვასა და მუსლიმური თემის შიდა საქმეებში ჩარევაში.

კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა, რომელსაც პირდაპირი და უაღრესად ნეგატიური გავლენა აქვს უმცირესობების მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკაზე, ხელისუფლების მიკერძოებული დამოკიდებულებაა დომინანტური რელიგიური გაერთიანებისადმი, რაც ხშირად საპატრიარქოს ნებისადმი დაქვემდებარებითა და სეკულარიზმის კონსტიტუციური პრინციპის დარღვევით გამოიხატება.

ხელისუფლება, როგორც წესი, საპატრიიარქოს ამერიკად გამოხატულ ინტერესს მაქსიმალურად შეიზღუდოს რელიგიური უძცირესობების სამოქმედო არეალი, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე უპირატესად განიხილავს.

## პროგლემის აღწერა

### 4.1. რელიგიის საკითხები მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურების ფორმირება

2014 წლის თებერვალში, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით დაფუძნდა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო. აღსანიშნავია, რომ რელიგიის თემაზე მომუშავე უწყება მთავრობამ ჩამოაყალიბა ერთპიროვნულად, რელიგიური გაერთიანებების ფართო სპექტრთან, სახალხო დამცველთან, რელიგიური უძცირესობების უფლებათა დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების გარეშე.<sup>60</sup> არც ერთ საერთაშორისო თუ ადგილობრივ ორგანიზაციას რელიგიის სპეციალური სახელმწიფო უწყების შექმნა არასდროს შემოუთავაზებია.

ამ გადაწყვეტილებას წინ უძლოდა, 2014 წლის ნოემბერში, რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შემსწავლელი უწყებათაშორისი კომისიის შექმნა, რომლის დებულებაც, მისი მიზნებისა და ამოცანების ფორმულირებიდან გამომდინარე, რელიგიის თავისუფლების შეზღუდვისა და სეკულარობის პრინციპის დარღვევის რისკებს შეიცავ-

60. 2014 წლის 30 აპრილს სახალხო დამცველთან არსებულმა რელიგიათა საბჭომ და არსამთავრობო ორგანიზაციებმა მიმართეს მთავრობას, სადაც რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარის დანიშნამდე, სააგენტოს ლეგიტიმურობის თავმჯდომარის კანდიდატურის შერჩევის პროცესში რელიგიური ორგანიზაციების ჩართვას ითხოვდნენ. განცხადება ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://bit.ly/1jmJrnZ>. აღნიშნული განცხადების გავრცელების დღეს პრემიერ-მინისტრმა, სამოქალაქო სექტორთან კონსულტაციის გარეშე, კომისიის თავმჯდომარედ დანიშნა იურისტი ზაზა ვაშაყმაძე, რომელიც 2013 წელს მედიაში გამოვკვენებულ ერთ-ერთ გადაცემში იქოვას მოწმების მიმართ დისკრიმინაციული შინაარსის განცხადებებს „ავრცელებს - გადაცემა კვირიაკე, თემა „რელიგიის თავისუფლება“, სტუმარი ზაზა ვაშაყმაზე, 10.02.2013, გადაცემა ხელმისაწვდომია ბმულზე: [http://www.myvideo.ge/?video\\_id=1925806](http://www.myvideo.ge/?video_id=1925806)

და. კომისიას, საკუთარი მანდატის მიხედვით, უნდა შეესწავლა რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების წყაროები, საგან-მანათლებლო საქმიანობა, საჯარო ღვთისმსახურებისა და საჯა-რო რელიგიური მსვლელობის, აგრეთვე საკუთრების საკითხე-ბი; შემუშავებინა საკულტო და არარელიგიური დანიშნულების კონსტრუქციების მარეგულირებელი ნორმები. კომისიის თავმ-ჯდომარედ დასახელდა სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში.<sup>61</sup> ნიშანდობლივია ისიც, რომ მთავრობის წარმომადგენლების არც ერთ საჯარო განცხადებაში არ ყოფილა მინიშნება იმის შესახებ, რომ სააგენ-ტო საპატრიარქოს დაფინანსების წყაროებისა და საბიუჯეტო თანხების ხარჯვის მიზნობრივის კვლევით დაინტერესდებოდა.

#### 4.2. მუსლიმური თემის შიდა საქმეები ჩარჩვა

ზოგიერთი მუსლიმური გაერთიანების წარმომადგენლის გან-მარტებით, მთავრობა უხეშად ერევა მუსლიმთა შიდა საქმეებში, შს სამინისტროს მეშვეობით აკონტროლებს მათ საქმიანობასა და აწესებს ახალ, არაფორმალურ რეგულაციებს.

2014 წლის 9 იანვარს, „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამ-მართველოს“ დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით, სა-მუფთო ორად, აღმოსავლეთის და დასავლეთის სამუფთოებად გაიყო, ცალკე დარჩა შეიხის ინსტიტუტი. დასავლეთ საქართ-ველოს სუნიტთა მუფთი გახდა ჯემალ პაქსაძე, ხოლო აღმოსავ-ლეთ საქართველოს სუნიტთა ახალი მუფთი კი იასინ ალიევი.

61. ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა (TDI) შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პარატიდან გამოითხოვა კომისიის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. როგორც მოწიდებული დოკუმენტებიდან ირკვევა (წერილი № 153-გ, 20.02.2014), კომისიამ 2013 წლის 13 დეკემბრიდან 2014 წლის 24 იანვრმდე ჩაატარა 5 სხდომა და შეიძულავა საქართველოს მთავრობის დადგენილების 2 პროექტი: „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისთვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგნენტოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“. პირველი საქართველოს მთავრობამ მიიღო 2014 წლის 27 იანვარს, მეორე კი - 2014 წლის 19 თებერვალს.

მუსლიმი თემის წარმომადგენლების თქმით, 2014 წელს ახალ-მა ხელისუფლებამ არათუ გაიმეორა წინა ხელისუფლების დროს დაშვებული შეცდომა და უხეშად ჩაერია მუსლიმთა შიდა საკითხებში, მან ასევე ეთნიკური ნიშნით დაყო საქართველოს მოქალაქე მუსლიმები, ამით მუსლიმ თემში შიდა დაპირის-პირების რისკი გაზარდა და სახელმწიფოსადმი ნდობა შეამცირა.

მთავრობამ თვითნებურად გადააყენა საქართველოს შიტების ძველი ლიდერი, ვაგიფ აქბეროვი (შეიხმა რელიგიურ საბჭოს, ხელისუფლების წარმომადგენლების მითითებით, გადადგომის თხოვნით თავად მიმართა) და დანიშნა ახალი შეიხი რამინ იგი-დოვი, ხოლო საქართველოს სუნიტ მუსლიმებს ისევ არ მისცა მუფთის თავისუფლად არჩევის საშუალება.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული ქართველი მუსლიმების თქმით, ისინი მუფთის არჩევნების გზით დანიშვნას მოითხოვდნენ. მით უმეტეს, რომ ადგილობრივ თემში მუსლიმთა სამმართველოსადმი უკმაყოფილება ბოლო ორ წელიწადში მუსლიმების წინააღმდეგ რელიგიური შეუწყნარებლობისა და ექსტრემიზმის გამოვლინებების შემდეგ გაიზარდა, რადგან მას ხშირად მთავრობისადმი ლოიალობაში ადანაშაულებენ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველ მუსლიმთა კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილე, ტარიელ ნაკაიძე აცხადებს, რომ მათთვის მიუღებელია „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ ამჟამინდელი შემადგენლობით არსებობა, რადგან აღნიშნული ორგანიზაცია არ გამოხატავს მუსლიმთა თემის ინტერესებს და „რელიგიასთან დაუკავშირებელი ადამიანებისგან არის დაკომპლექტებული“.

#### 4.3. საზღვრის გადაკვეთის პროცესი

აჭარაში მცხოვრები მუსლიმების თქმით, მათ საზღვრის გადმოკვეთისას ხშირად ექმნებათ პრობლემები, როდესაც თურქეთიდან ან არაბულენოვანი ქვეყნებიდან საქართველოში ბრუნდებიან. თავსაბურავიან გოგოებს სარფის საბაჟოზე ეჭვის თვალით უყურებენ, უნყობენ დაკითხვას და საზღვარზე დიდ-

ხანს აჩერებენ. ანალოგიურ პრობლემაზე საუბრობენ ლტოლვილი ჩეჩინებიც. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი რ. გ.-ის თქმით, მას ხშირად უწევს ჩეჩინეთში ახლობლების მონახულება, საქართველოში ავტომანქანით დაბრუნებისას საბაჟოზე ყოველთვის დაახლოებით ორ საათს აჩერებენ. გამოკითხული მუსლიმების თქმით, საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლები მათი დაყოვნების კონკრეტულ მიზეზს არ ასახელებენ ხოლმე.

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას ხშირად განიცდიან პანკისის ხეობის მკვიდრი ქისტი და ჩეჩენი მუსლიმები. სოფელ დუისში მცხოვრები იმამ ამირ ხანგოშვილის თქმით, ქისტები, რომელთაც განათლება არაბულ ქვეყნებში აქვთ მიღებული, პანკისის ხეობაში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ პოტენციურ „ტერორისტებად“ აღიქმებიან. ქისტების განმარტებით, აღნიშნული პრობლემა არსებობდა წინა ხელისუფლების დროსაც, თუმცა ახალი ხელისუფლების პირობებში მათ მიმართ უნდობლობა საგრძნობლად გაიზარდა. ამირ ხანგოშვილის თქმით, არაბული სახელმწიფოებიდან რამდენიმე ბიზნესმენს ჰქონდა ინიციატივა, სოფელ დუისში განეხორციელებინა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, თუმცა ხელისუფლებამ მათ ამის საშუალება არ მისცა.

#### **4.4. რელიგიური ლიტერატურის გავრცელებასთან დაკავშირებული პროგლობი**

რელიგიური უმცირესობებისთვის ზოგჯერ პრობლემურია საზღვარზე რელიგიური შინაარსის ლიტერატურის შემოტანაც. აღმოსავლეთ ევროპის სომებს კათოლიკეთა ორდინარიატის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ საეკლესიო კალენდრების განპაჟებისას სირთულეებს აწყდებიან. კალენდრები იქნება სომხეთში და სომხურენოვანია. საბაჟოს თანამშრომლებმა გაერთიანების წარმომადგენებს რამდენჯერმე არ მისცეს საშუალება, რომ ლიტერატურა შემოეტანათ. აღნიშნული პრობლემის გადაჭრაში დასახმარებლად სომებს კათოლიკეთა არქიეპისკოპოსმა რაფაელ მინასიანმა 2013 წლის 24 დეკემ-

ბერს საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს მიმართა. რელიგიურმა გაერთიანებამ წერილზე პასუხი 2014 წლის 19 თებერვალს მიიღო. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, წიგნების, უურნალ-გაზეთებისა და ნოტების მიწოდება გადასახადისგან გათავისუფლებულია, შემოტანილი საქონელი საჭიროებდა საბაჟო პროცედურების გავლას და შესაბამისი დოკუმენტების წარდგენას, რაზეც საქონლის შემომტანები უარს აცხადებდნენ, ამიტომაც, ლიტერატურა უკან გაპრუნდა. საბაჟო დეპარტამენტის წერილში არ არის მითითებული, კონკრეტულად რა სახის დოკუმენტებს ითხოვდნენ საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლები. ეკლესიის წარმომადგენლების თქმით, მათ დღემდე ვერ დაადგინეს, რატომ ექმნებათ პრობლემები ლიტერატურის განბაჟებასთან დაკავშირებით.

## რეკომენდაცია

### საქართველოს მთავრობას:

- სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნის, რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორუფლებისანობის კონსტიტუციური პრინციპების დაცვისა და გადაწყვეტილების მიღებაში დემოკრატიული ჩართულობის აუცილებლობიდან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ შეწყვიტოს რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების „დახურულ რეჟიმში“ მიღება;
- აუცილებელია, სახელმწიფომ გაითვალისწინოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოსა და არა-სამთავრობო ორგანიზაციების პოზიცია სახელმწიფო სააგენტოს მანდატის, მიზნებისა და სტრატეგიის საჯარო განხილვასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, განხილვის პროცესში უზრუნველყოფილი იყოს ყველა რელიგიური ორგანიზაციისა და დაინტერესებული პირების

მონაწილეობა და ეს პროცესი გამჭვირვალედ, შესაბამის აქტორებთან კონსულტაციის გზით წარიმართოს;<sup>62</sup>

- საჭიროების შემთხვევაში, მთავრობამ უნდა გადახედოს უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებს და საქართველოში სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობისა და ტოლერანტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით თანმიმდევრულად შეასრულოს სახალხო დამცველის, სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოსა და რასიზმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) რეკომენდაციები;
- საჭიროა, სამართალდამცავმა ორგანოებმა შეისწავლონ მუსლიმების გადაადგილების შეზღუდვისა და საბაჟო პუნქტებში რელიგიური ლიტერატურის გავრცელებასთან დაკავშირებული პრობლემები და მათზე დროულად მოახდინონ რეაგირება.

62. სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/1lJQMjf>

## 5. რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება

**პროგლობა:** რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების არსებული ფორმა დისკრიმინაციული ხასიათისაა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ საქართველოს ბიუჯეტიდან პირდაპირი, დოგრაციური დაფინანსება გამოუყო საქართველოს საბატრიარქოს გარდა კიდევ ოთხ რელიგიურ გაერთიანებას, მან ვერ გადაჭრა დაფინანსების მანამდე არსებულ დისკრიმინაციულ წესთან დაკავშირებული პრობლემა.

დაფინანსების გარეშე დარჩა სხვა რელიგიური გაერთიანებები, რაც სახელმწიფოს მხრიდან კონფესიების რანჟირების მანკიერ პრაქტიკას წაახალისებს, ხელს შეუწყობს სხვა რელიგიური გაერთიანების კიდევ უფრო მეტ მარგინალიზაციასა და მათდამი დისკრიმინაციული დამოკიდებულების გაძლიერებას.

გარდა ამისა, უაღრესად პრობლემურია თავად დაფინანსების წესი, რადგან ამ ფორმით სახელმწიფომ იგი რელიგიური გაერთიანებების კონტროლისა და მათზე გავლენის მოპოვების მექანიზმად შეიძლება გამოიყენოს.

ასევე ბუნდოვანია რელიგიური გაერთიანებების დოგრაციური დაფინანსების საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზარალის ანაზღაურების აუცილებლობით მოტივირება მაშინ, როდესაც თავად რელიგიური გაერთიანებები ფინანსურ მხარდაჭერაზე მეტად კომუნისტური რეპრესიების გამო მორალურ აღიარებასა და ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების დაბრუნებას მოითხოვენ.

### პროგლობის აღწერა

5.1. რელიგიური გაერთიანებისთვის საპატ-თა პერიოდი მიზანებული მათერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურების გადატოვისას დაკავშირებას და ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების დაბრუნებას მოითხოვენ.

საქართველოს მთავრობამ, 2014 წლის 27 იანვრის დადგენილების თანახმად, მიიღო გადაწყვეტილება, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებულ ის-

ლამურ, იუდეურ, რომაულ-კათოლიკურ და სომხური სამოცი-ქულო აღმსარებლობის მქონე რელიგიურ გაერთიანებებს აუნაზღაუროს საბჭოთა პერიოდში მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანი“.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 თებერვლის #177 დადგენილების მიხედვით, თანხის განაწილებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურად სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო დასახელდა. მთავრობის 2014 წლის 13 მარტის (#437) განკარგულების თანახმად, ოთხი რელიგიური გაერთიანების დასაფინანსებლად საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 3,5 მილიონი ლარი გამოიყოფა.<sup>63</sup> ამავე განკარგულებით, თანხის განაწილების პირობების შემუშავება დაევალა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით. თუმცა, ამ ეტაპზე, რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლების თქმით, მათვის უცნობია, როდის და რა მექანიზმით გადაუნაწილდებათ მთავრობის მიერ გამოყოფილი სუბსიდია.

მთავრობის ინიციტივა - დამატებით ოთხი კონფესიის დაფინანსების შესახებ - რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზის გამო ატარებს უსამართლო და დისკრიმინაციულ ხასიათს:<sup>64</sup>

1. მთავრობამ აღნიშნული გადაწყვეტილება რელიგიური გაერთიანებების ფართო სპექტრთან კონსულტაციის გარეშე და სახალხო დამცველის რეკომენდაციების გვერდის ავლით მიიღო;
2. გაურკვეველია, რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეირჩა მხოლოდ ოთხი კონფესია, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირში იეზიდები, ლუთერელები, სახარების რწმენის ქრისტიანები (ორმოცდაათიანლები), იეჰოვას მოწმეები, კრიშნაიდები და

63. 2014 წლის 27 იანვარს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პატა ზაქარიეშვილმა განაცხადა, რომ რელიგიური ორგანიზაციები მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, ყოველწლიურად 4,5 ლარით დაფინანსდებოდნენ. <http://www.tabula.ge/ge/story/79517-zaqareishvili-religiuri-konfesiebi-daaxloebit-45-million-lars-miigheben>

64. აღნიშნული შეფასება გამოხატავს ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) პოზიციას.

სხვა რელიგიური ჯგუფები ანალოგიურად იდევნებოდნენ. სახელმწიფოს მიერ გამორჩეული ოთხი რელიგიური ჯგუფი აღიქმება როგორც პრივილეგირებული სტატუსის მქონე გაერთიანებები. რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების ამგვარი მოდელი სახელმწიფოს მხრიდან უთანასწორო მოპყრობის გამოვლინებაა. უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის ინიციატივის შესახებ უკმაყოფილებას ზოგიერთი რელიგიური ორგანიზაცია საჯაროდ გამოთქვამს;<sup>65</sup>

3. სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოდელი სამართლებრივად აძსურდულია. რეალურად, მასში ჩამოყალიბებულია ოთხი რელიგიური აღმსარებლობის ყოველწლიური დაფინანსების წესი, რომელსაც, თვისობრივად, ზიანის ანაზღაურებასთან არანაირი კავშირი არ აქვს. მთავრობას არ შეუძლიავებია ობიექტური კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც დადგინდებოდა საბჭოთა დროს დაზარალებული რელიგიური გაერთიანებების ისტორიული და ინსტიტუციური მემკვიდრეები; ასევე გაურკვეველია ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა და ვადა, რომლის განმავლობაშიც რელიგიური გაერთიანებები აღნიშნული პრინციპით უნდა დაფინანსდნენ.

უნდა ითქვას, რომ, ზოგადად, პრობლემურია სახელმწიფოს მიერ რელიგიური გაერთიანებების პირდაპირი დაფინანსების წესი, რომლითაც არ არის წინასწარ განსაზღვრული, თუ რა დანიშნულებით იყენებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ რესურსებს ესა თუ ის რელიგიური ორგანიზაცია.<sup>66</sup> აღნიშნული

65. საქართველოს ეკანგელიურ-ლუთერული ეკლესიის ეპსკოპოსის მიმართვა ეკლესიის ყოველწლიურ მიდებაზე, ხელმისაწვდომია: [http://tolerantoba.ge/index.php?news\\_id=556](http://tolerantoba.ge/index.php?news_id=556)

66. დაფინანსების უფრო დემოკრატიული მოდელების მიხედვით, რელიგიური გაერთიანებები ფინანსდებიან მოქალაქეთა მიერ თავიანთ საგადასახადო ვალდებულებებში შესაბამისი გრაფის შევსებისა და სამემოსავლო გადასახადის მიზნობრივად მიმართვის შედეგად, რითაც მინიმუმამდეა დაყვანილი ხელისუფლების როლი რელიგიური გაერთიანებების დაფინანსებაში და გათვალისწინებულია ყველა გადასახადის გადამდევის ინტერესს, სურვილის შემთხვევაში დააფინანსოს საკუთარი რელიგიური გაერთიანება, სეკულარული თუ სხვა ჯგუფი. აშშ-ში რელიგიური გაერთიანებებისთვის სახელმწიფო უფერალური ბიუჯეტიდან გრანტებსაც გამოყოფს, თუმცა აღნიშნული დაფინანსების მოსაპოვებლად, რელიგიური და სეკულარული ჯგუფები ერთმანეთს კონკურენციას

ინიციატივით, სახელმწიფომ, ძველი უთანასაწორო სამართლებრივი რეჟიმის დეკონსტრუქციის ნაცვლად, ფაქტობრივად, იმავე რეჟიმში მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილება შეიტანა.

## 5.2. საქართველოს საპატრიარქოსთვის მინიჭებული ფინანსური პრივილეგიები


ათ წელზე მეტია, საქართველოს საპატრიარქო სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური პრივილეგიებით სარგებლობს. მის დაქვემდებარებაში შემავალი ეპარქიები და ეკლესია-მონასტრები სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით, 25 მილიონი ლარის გარდა, ყოველწლიურად ფინანსდებიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდანაც, ასევე სახელმწიფო ფონდებიდან და სამინისტროებიდან.<sup>67</sup> 2013 წელს, მთლიანობაში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან საპატრიარქომ 29.220.349.7 ლარის ოდენობის თანხა მიიღო. დაფინანსების ამსახველი დიაგრამა ქვემოთ არის წარმოდგენილი:<sup>68</sup>

უწევენ. მკაფრად განსაზღვრულია დაფინანსების სფეროები და მიზნობრიობა - თანხის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სოციალურ პროექტებში და არა პროფელიტიზმის, რელიგიური სწავლების ან მსახურებისთვის.

67. არასამთავრობო ორგანიზაცია საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს მონაცემებით 2002 წლიდან 2013 წლის ივლისამდე საქართველოს ხელისუფლების მიერ საქართველოს საპატრიარქოსთვის გამოყოფილი თანხა 200 მილიონმდე ლარს შეადგენს. „მოყლე მიმოხილვა საქართველოს საპატრიარქოს დაფინანსების შესახებ“, ხელმისაწვდომა: <http://transparency.ge/blog/mokle-mimokhilva-sakartvelos-sapatriar-kos-dapinansebis-shesakheb?page=1>

68. ვრცლად იხ. ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტისა და ადამიანის უფლებისა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევა რელიგიური გაერთიანებების სახელმწიფო დაფინანსების შესახებ.

## დიაგრამა №1



**წარკვეთი:** ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის (EMC) მიერ ჩატარებული კვლევა საქართველოში რელიგიური გაერთიანებების სახელმწიფო დაფინანსების შესახებ

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის (EMC) მიერ ჩატარებულ კვლევაში საქართველოში რელიგიური გაერთიანებების სახელმწიფო დაფინანსების შესახებ მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მიერ რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების ამსახველი მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოს საპატრი-არქე სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან მიმართებით ასოლუტური პრივილეგიით სარგებლობს. 2013 წელს თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიერ გამოყოფილი ჯამური თანხის 99.2% - 3.8%. 139 ლარი მართლმადიდებელ ეპარქიებსა და ეკლესიებზე გადანაწილდა, დანარჩენი კონფესიებისთვის განეული ფინანსური დახმარება კი, 31.268.16 ლარს, მთლიანი თანხის 0.8%-ს შეადგენს.

მუნიციპალიტეტების 69.5% ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხას სპეციალურად რელიგიური ორგანიზაციების დასახმარებლად

განსაზღვრული ქვეპროგრამებიდან გამოყოფს. საინტერესოა, რომ მუნიციპალიტეტებს შორის საპატრიარქოს დაფინანსების ყველაზე დიდი მოცულობა ფიქსირდება შერეული რელიგიური კომპოზიციის მუნიციპალიტეტებში, ბოლნისსა და მარნეულში, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი არამართლმადიდებელია. ხაზგასასმელია ისიც, რომ მუნიციპალიტეტების გამგეობების მიერ გამოყოფილი თანხა ზოგჯერ ეპარქიებისა და ეკლესია-მონასტრების გარდა, სასულიერო პირების პირად საბანკო ანგარიშებზე ირიცხება. საპატრიარქოს დაფინანსება ასევე გათვალისწინებულია ხუთი თვითმმართველი ქალაქიდან სამი ქალაქის მერიის ბიუჯეტში.

საპატრიარქოს სახელმწიფო დაფინანსების მოდელში განსაკუთრებით პრობლემურია დაფინანსების მიზნობრიობის განსაზღვრის საკითხი. უცნობია, თუ რა მიზნებისთვის იხარჯება მუნიციპალიტეტების მიერ საპატრიარქოსთვის გამოყოფილი სუბსიდიის ნახევარზე მეტი. ზოგჯერ მუნიციპალიტეტების გამგეობებისა და თვითმმართველი ქალაქების მერიებისგან საჯარო ინფორმაციის სახით გამოთხოვილ დოკუმენტებში თანხის გადარიცხვის დანიშნულება მითითებულია. ამ დოკუმენტების მიხედვით, საპატრიარქო მუნიციპალურ დაფინანსებას ძირითადად რელიგიური მიზნებისთვის იყენებს, მაშინ როცა სოციალურ პროექტებს საერთო თანხის მხოლოდ 1% ხმარდება. მიზნობრივი კატეგორიებიდან ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის ეკლესიების აშენება/რესტავრაციასა და დეკორატიულ სამუშაოებზე (19%). საეკლესიო დანიშნულების ნივთების შეძენასა და რელიგიური შინაარსის ღონისძიებებზე საერთო თანხის 8% იხარჯება. საპატრიარქოს პრიორიტეტები თვითმმართველი ქალაქების შემთხვევაშიც არ იცვლება, მერიების მიერ გამოყოფილი თანხის თითქმის 55% იხარჯება ეკლესიების მშენებლობა/რესტავრაცია/კეთილმოწყობაზე. თანხის 44%-ის მიზნობრივი დანიშნულება დოკუმენტებში მითითებული არ არის.

საინტერესოა, რომ მუნიციპალიტეტები და თბილისის გამგეობები თანხის გამოყოფის საფუძვლად კონკრეტული ეკლესიების წარმომადგენელი სასულიერო პირების მიმართვებსა და წერილებს ასახელებენ. აღნიშნული დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ თანხის მოთხოვნის მიზანი, ხშირად

არც სასულიერო პირის წერილშია მითითებული და იგი ყოველ-გვარი დასაბუთების გარეშე ითხოვს, მაგალითად, 25.000 ლარის ოდენობის სუბსიდიას.

ფინანსური დახმარების გარდა, საპატრიარქო მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მერიებისგან სხვა-დასხვა სახის მატერიალურ სიკეთესაც იღებს: მიწის ნაკვე-თებს, სკვერებს, შენობა-ნაგებობებსა და მოძრავ ქონებას. 2013 წელს მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მიერ საპატრიარქოსთვის გადაცემული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ფართობი მთლიანობაში 32.479 კვ.მ-ს შეადგენს, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო და-ნიშნულების მიწის ნაკვეთებისა და მასზე განთავსებული შენობების ფართი 1.584.65 კვ.მ-ია.

რაც შეეხება მოძრავ ქონებას, 2013 წელს მათი ღირებულება მთლიანად შეადგენს 192.742 ლარს (175.042.09 ლარის ღირებულების დეკორატიული სანათები, საბაღე სკამები, ნაგვის ურნები, საყვავილეები და მეორადი სამშენებლო მასალა; 1.500 ლარის ღირებულების საწვავი მასალა; 16.200 ლარის ღირებულების ავტობუსი), ხოლო 2014 წელს - 13.400 ლარს (2 ავტო-მანქანა).

გასათვალისწინებელია უძრავი ქონების გადაცემის ზრდის ტენდენცია: თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიერ საპატრიარქოსთვის 2013 წელს გადაცემული უძრავი ქონების მთლიანი ფართობი (მოიცავს მხოლოდ არასასოფლო და-ნიშნულების მიწის ნაკვეთებსა და სკვერებს კვ.მ-ის დაანგარიშებით) 2009-2012 წლების ჯამურ მაჩვენებელს აღემატება.

სახელმწიფოსა და ეკლესიის ფინანსური ურთიერთობის არ-სებული ფორმა ენინაალმდეგება საქართველოს კონსტიტუ-ციოთ აღიარებულ სეკულარობის პრინციპს და კონკრეტული რელიგიური დოქტრინის მხარდაჭერის სახეს იღებს. დაფინან-სების არსებული წესი მკაფიოდ დისკრიმინაციულ პრაქტიკას წარმოადგენს, რადგან უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს სხვა რელიგიურ გაერთიანებებს, რომლებიც ფინანსური პრივი-ლეგიებითა და იდეოლოგიური მხარდაჭერით არ სარგებლობენ.

ყოველივე ამასთან ერთად, საპატრიარქოსა და ცალკეული ეკლესიებისთვის გადაცემული თანხის განკარგვა ხდება გაუმჭვირვალედ, სახელმწიფო სათანადოდ არ აკონტროლებს ხარჯებს და აქედან გამომდინარე, უცნობია, რამდენად მიზნობრივად იხარჯება გამოყოფილი სახსრები.

## რეკომენდაცია

### საქართველოს მთავრობას:

- რელიგიური გაერთიანებებისთვის ზიანის ანაზღაურებაზე, დაფინანსების ფორმასა და მიზანშეწონილობაზე დაიწყოს კონსულტაციები რელიგიური გაერთიანებების ფართო სპექტრთან, სახალხო დამცველთან და რელიგიის თავისუფლების დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან; კონსულტაციების შედეგად, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობამ გადახედოს უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებს;
- სეკულარობის პრინციპის დაცვის მიზნით, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ შეიმუშავოს საპატრიარქოსა და სხვა რელიგიური გაერთიანებებისთვის გამოყოფილი თანხის განკარგვის გამჭვირვალობისა და ხარჯვის მიზნობრიობის კონტროლის საჭირო მექანიზმები.

## 6. საგადასახადო უთანასწორობა

**პრობლემა:** რელიგიური უმცირესობები, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან შედარებით უთანასწორო მდგომარეობაში იმყოფებიან.<sup>69</sup> 2011 წლიდან საქართველოში ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლის თანახმად რელიგიური საქმიანობა<sup>70</sup> არ წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობას (მე-9 მუხლი), რაც რელიგიური

69. აღნიშნული პრობლემის შესახებ სახალხო დამცველთან არსებულმა რელიგიათა საბჭომ 2012 წელს სპეციალური რეკომენდაციები შემზეავა.

70. საგადასახო კოდექსის მე-11 მუხლი განმარტავს რელიგიურ საქმიანობას:

მუხლი 11. რელიგიური საქმიანობა

1. რელიგიურ საქმიანობად ითვლება დადგენილი წესით რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციის (გაერთიანების) საქმიანობა, რომლის მიზანია აღმარებლობისა და სარწმუნოების გავრცელება, მათ შორის, ისეთი გზით, როგორიცაა: ა) რელიგიური წეს-ჩვეულებების, ცერმონიების, ლოცვების, სხვა საკულტო მოქმედებათა ორგანიზება და ჩატარება; ბ) მორწმუნეთათვის შესაძლებლობის მიცემა, ჰქონდეთ ან გამოიყენონ სამლოცველო შენობები და სარიტუალო ნაგებობები რელიგიურ მოთხოვნათა როგორც ერთობლივად, ისე ინდივიდუალურად და-საკმაყოფილებლად; გ) რელიგიური დელეგაციების, მომლოცველების, სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლების მიღებისა და გამგზავრების ორგანიზება, ეროვნული და საერთაშორისო რელიგიური თათბირების, ურილობების, სემინარების ორგანიზება, ამ ღონისძიების ჩატარების პრიორები მათი მონაწილეობის სასტუმროებით (სხვა საცხოვრებლიო), ტრანსპორტით, კვებითა და კულტურული მომსახურებით უზრუნველყოფა; დ) მონასტრების, სამონასტრო ეკლესიების, სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების შენახვა, ამ სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა და მსმენელთა სწავლება, საქველმოქმედო ორგანიზაციების (საავადყოფოები, თავმემკვიდრები, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლები) შენახვა, აგრეთვე კანონიკური წესებით განპირობებული სხვა ანალიგიური საწესდებო საქმიანობა.

2. რელიგიურ საქმიანობას უთანაბრდება იმ რელიგიური ორგანიზაციების (გაერთიანებების) საწარმოთა საქმიანობა, რომლებიც გამოსცემენ რელიგიურ (საღვთისმსახურო) ლიტერატურას ან აწარმოებენ რელიგიური დანიშნულების საგენებს; ამ ორგანიზაციების (გაერთიანებების) ან მათი საწარმოების საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია რელიგიური (საღვთისმსახურო) ლიტერატურის ან რელიგიური დანიშნულების საგნების რეალიზაციასთან (გავრცელებასთან); აგრეთვე ასეთი საქმიანობით მიღებული ფულადი სახსრების გამოყენება რელიგიური საქმიანობის განსახორციელებლად.

საგადასახადო კოდექსის მუხლი 33. რელიგიური ორგანიზაცია - რელიგიურ ორგანიზაციად ითვლება ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია რელიგიური საქმიანობის განსახორციელებლად და ასეთად რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგნილი წესით.

ორგანიზაციებისთვის გარკვეული შედავათების დაწესებას გულისხმობს. თუმცა, საგადასახადო რეფიმი დისკრიმინაციულია რელიგიურ უძინესობათა გაერთიანებებისთვის, რადგან საგადასახადო კოდექსი რამდენიმე შემთხვევაში განსხვავებული წესით მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოს დაბეგვრას ითვალისწინებს.<sup>71</sup>

**პროგლემის აღწერა:** კვლევის პროცესში გამოკითხული რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები საჭიროებებს შორის გამოყოფენ თანასწორი საგადასახადო პირობების შექმნასა და გარკვეულ შედავათებს. ასეთ შემთხვევაში, რელიგიურ ორგანიზაციებს მნიშვნელოვნად შეუმცირდებოდათ დანახარჯები და ამავდროულად თავიანთ საქმიანობაში სოციალური და საქველმოქმედო მსახურების კომპონენტის გაძლიერებას შეძლებდნენ.

**მოგების გადასახადი:** საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით (მუხლი 99, „დ“ ქვეპუნქტი), მოგების გადასახადით დაბეგვრისგან გათავისუფლებულია „საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, ხატების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციით მიღებული მოგება.“

აღნიშნული ნორმა ორი სახის ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა: 1) საპატრიარქო გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან თუ ის ანარმოებს ხსენებული ნორმით გათვალისწინებულ რელიგიური დანიშნულების ნივთებს. კანონის ამგვარი განმარტების შემთხვევაში, ამ ჩანაწერის არსებობა აზრს მოკლებულია, რადგან რელიგიური ორგანიზაციის მიერ რელიგიური დანიშნულების პროდუქციის გაყიდვით მიღებული მოგება ისედაც გათავისუფლებულია ამავე კოდექსის მე-11 (რელიგიური საქმიანობა) და 96-ე მუხლების საფუძველზე. 2) მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულია სხვა საწარმოს მიერ დამზადებული, ზემოთ ხსენებული რელიგიური დანიშნულების ნივთების რეალიზაციით მიღებული მოგება, თუ ეს ნივთები გამოყენებულია საქართველოს საპატრიარქოს მიერ. ამ

71. იხ. სახალხო დამცველის ანგარიში, 2011

შემთხვევაში, ის საპატრიოტიზმის მინვდინა, არ დაიბეგრებიან მოგების 15%-იანი განაკვეთით.

დაგატებითი ღირებულების გადასახადისგან (დღგ) გათავისუფლებულია (ჩატვლის უფლების გარეშე) საქართველოს საპატრიარქოს მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საღვთისმსახურო საგნების მიწოდება<sup>72</sup>, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ რელიგიური მიზნით (მუხლი 168). ასევე ჩატვლის უფლების გარეშე დღგ-საგან გათავისუფლებულია საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია და მოხატვა (მუხლი 168).

აღნიშნული მუხლის მიხედვით, თუ საპატრიარქო სხვა პირს რელიგიური დანიშნულების მქონე უძრავი ნივთის სარემონტო სამუშაოებს უკვეთავს, ეს უკანასკნელი დღგ-ს არ იხდის. ხოლო თუ იმავე მომსახურებას აღნიშნულ პირს სხვა რელიგიური ორგანიზაცია უკვეთავს, იგი ვალდებულია გადაიხადოს დამატებითი ღირებულების გადასახადი. აქედან გამომდინარე, საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრის მშენებლობა, მოხატვა და რესტავრაცია შესაძლებელია 18%-ით იაფი ღირდეს.

**მინის გადასახადი:** საქართველოს საგადასახადო კოდექსი არ შეიცავს ჩანაწერს საპატრიარქოს მიერ არაეკონომიკური დანიშნულებით გამოიყენებული მინის გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ. თუმცა, ეს პრივილეგია მას მინიჭებული აქვს უფრო მაღალი ძალის მქონე ნორმატიული აქტით, კონსტიტუციური შეთანხმებით საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის (მუხლი 6). საპატრიარქოსგან განსხვავებით, სხვა რელიგიური ორგანიზაციები მსგავს შემთხვევაში მინის გადასახადს იხდიან.

72. საქონლის მიწოდებად ითვლება პირის მიერ სხვა პირისათვის საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა სასყიდლით (მათ შორის, საქონლის რეალიზაცია, გაცვლა, ხელფასის ან ნატურალური ფორმით ანაზღაურება) ან უსასყიდლოდ.

## რეკომენდაცია

### საქართველოს პარლამენტს:

საჭიროა, საქართველოს პარლამენტმა იზრუნოს რელიგური გაერთიანებებისთვის უთანასწორო საგადასახადო რეჟიმის აღმოფხვრაზე, ამისთვის აუცილებელია:

- ყველა რელიგიური ორგანიზაცია, მართლმადიდებელი ეკლესიის მსგავსად, თანაბრად დაიბეგროს.

## 7. რელიგიური ორგანიზაციების პომუნალური გადასახადები

**პრობლემა:** საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციების დიდი ნაწილი ბენეფიციარებს სთავაზობს სხვადასხვა დანიშნულების საქველმოქმედო მომსახურებას - დღის ცენტრები, ბავშვთა და მოხუცთა თავშესაფრები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გაერთიანებები არ ენევიან სამენარმეო საქმიანობას, ისინი ელექტროენერგიისა და ნებლის გადასახადებს კომერციული ორგანიზაციისთვის დადგენილი ტარიფის მიხედვით იხდიან.

საქართველოში „ხსნის არმიის“ ნარმომადგენლების თქმით, საგადასახადო შეღავათები მათ საქველმოქმედო სამსახურის გაფართოებაში დაეხმარება.

„ჩვენ გვაქვს პროექტი „სამრეცხაო“. ხალხს ვისაც უჭირთ, განსაკუთრებით ხანძიშესულებს, ვისაც მომვლელი არ ჰყავს, მოაქვთ თავიანთი სარეცხი. ვყიდულობთ სარეცხ ფხვნილს. ჩვენს მანქანებში რეცხავენ. ამასობაში ყავას დალუვენ, ნამცხვარს შეჭამენ და თან ერთობიან. მაგრამ წყალში ვიხდით ისეთი ტარიფით, როგორც რესტორანი... კარგი იქნება კომუნალური შეღავათები გვქონდეს. რაც უფრო მეტი თავისუფალი თანხა გვექნება, მით უფრო მეტი სიკეთის გაკეთებას შევძლებთ, - „ხსნის არმიის“ რეგიონული ოფიცერი ირმა ნებიერიძე.

\*\*\*

ევანგელიურ-ბაპტისტურ ეკლესიას საქართველოში აქვს დღის ცენტრი სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის, სადაც სკოლის შემდეგ 15-მდე ბავშვი სადილობს და სკოლის გაკვეთილებს ამზადებს. ასევე აქვთ თავშესაფარი ქუჩის ბავშვებისთვის, სადაც ბავშვები სადილობებ და სწავლობენ წერა-კითხვას.

„საგადასახადო შეღავათები საშუალებას მოგვცემდა, რომ ყოველი თეთრი ისევ ამ პავშვების დასახმარებლად გამოგვეყენებინა,“ – მთავარეპისკოპოსი ილია ოსეფაშვილი.

საქართველოს საპატრიარქოსა და აზერბაიჯანის ნავთობკომპანია „სოკარს“ შორის 2013 წლის 19 ოქტომბერს გაფორმდა მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც, საქართველოში არსებულ ყველა რელიგიური კონფესიის ობიექტებს „სოკარის“ მიერ მიწოდებული ბუნებრივი აირი ერთ წლის განმავლობაში უფასოდ უნდა მიეღო.<sup>73</sup> კომპანია „სოკარმა“ ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტს აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ მიაწოდა. გამოკითხული რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ჯერჯერობით ზუსტად არ იციან, აუნაზღაურდებათ თუ არა სრულად ბუნებრივი აირის ხარჯები.<sup>74</sup> იეჰოვას ქრისტიანული ორგანიზაციის წარმომადგენელს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ განუცხადეს, რომ მათი რელიგიური გაერთიანება საპატრიარქოს თანხმობით შედგენილ სიაში არ არის და შესაბამისად, ბუნებრივ აირს უფასოდ ვერ მიიღებს.

სხვა კომუნალურ გადასახადებზე შესაბამისი რესურსის მომწოდებელი კომპანიების მიერ შეღავათები არც ერთი რელიგიური ორგანიზაციისთვის გათვალისწინებული არ არის, მათ შორის არც საქართველოს საპატრიარქოსთვის. თუმცა, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, მართლმადიდებელ ეკლესიებს კომუნალური გადასახადების ძირითად ნაწილს სახელმწიფო უფარავს. მაგ. 2013 წელს საპატრიარქოსთვის მუნიციპალიტეტების გამგეობების მიერ გამოყოფილი თანხის (2.198.336 ლარი) 7% სწორედ კომუნალური ხარჯების გადასახდელად არის გამოყოფილი.<sup>75</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტების მიერ საპატრიარქოსთვის გადარიცხული თანხის მხოლოდ 1% არის განკუთ-

73. <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/24597>

74. იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მკვლევარებთან საუბარში აღნიშნეს, რომ მათ შესაბამისი უწყებებიდან ვერ მოიპოვეს ინფორმაცია, თუ როგორ შეიძლება ისარგებლონ აღნიშნული შეღავათებით.

75. ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტისა და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევა რელიგიური გაერთიანებების სახელმწიფო დაფინანსების შესახებ.

გნული სოციალური მსახურებისა და საქველმოქმედო საქმიანობისთვის.

## რეკომენდაცია

### საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარავების ეროვნულ კომისიას<sup>76</sup>

- სასურველია, კომისიამ გაითვალისწინოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები კომუნალურ გადასახადებთან დაავშირებით შეღავათების დაწესების თაობაზე და იმ რელიგიური ორგანიზაციებისთვის, რომლებიც საქველმოქმედო საქმიანობას ეწევიან, დააწესოს კომერციული ორგანიზაციებისთვის გათვალისწინებული ტარიფისგან განსხვავებული ტარიფი.

76. სახალხო დამცველთან არსებულმა რელიგიათა საბჭომ 2012 წელს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარავების ეროვნულ კომისიას მიმართა რეკომენდაციით, რელიგიური გაერთიანებებისა და მათ დაქვემდებარებაშია არსებულისაკველმოქმედო ორგანიზაციებისთვის კომერციული ორგანიზაციებისგან განსხვავებული წყლის ტარიფის დაწესების შესახებ.

## 8. საჯარო სივრცის შეზღუდვა

**პროგლობა:** კვლევის პროცესში ჩაწერილი ინტერვიუების ანალიზი და ბოლო დროს განვითარებული მოვლენები გვიჩვენებს, რომ საქართველოში მუდმივად იზღუდება რელიგიური უმცირესობების კონსტიტუციური უფლება საჯარო სივრცეში გააცხადონ თავიანთი რნბენა, გაავრცელონ რელიგია და შეარულონ რელიგიური რიტუალები.

დამკვიდრებული პრაქტიკით, ერთი შეხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ რელიგიურ უმცირესობებს აქვთ „არსებობის“ უფლება, თუმცა, ისინი არ უნდა ჩინდებოდნენ საჯარო სივრცეში, რომელიც ერთმნიშვნელოვნად უმრავლესობის „საკუთრებად“ აღიქმება, რადგან ამით რელიგიური უმრავლესობის იდეოლოგიურ პარადიგმას უპირისპირდებიან, რომელშიც ქართველობა და მართლმადიდებლობა გაიგივებულია ერთმანეთთან.

ხელისუფლების ნარმომადგენლები, რომლებისთვისაც მნიშვნელოვანია დომინანტი რელიგიური ჯგუფის მხრიდან ლეგიტიმიცია, ვერ ახერხებენ, დაიცვან რელიგიური უმცირესობების ფუნდამენტური უფლებები და უზრუნველყონ ყველა მოქალაქის მიერ საერთო საჯაროს სივრცით სარგებლობა.

**პროგლობის აღწერა:** მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ საჯარო სივრცის მონოპოლიზების მცდელობას ადასტურებს თბილისში 2014 წლის ივნისში „იმედის საერთაშორისო ფესტივალთან“ დაკავშირებით განვითარებული მოვლენები. ღონისძიება, რომელშიც ადგილობრივი და საერთაშორისო ქრისტიანულ-ევანგელიური გაერთიანებები და მრავალი სხვა სტუმარი იღებდა მონაწილეობას, სპორტის სასახლეში 6-8 ივნისს უნდა გამართულიყო. თუმცა, საბოლოოდ, ფესტივალი ეკლესიის გარეთ, საჯარო სივრცეში ვერ ჩატარდა.

ფესტივალისთვის მზადების პროცესში, ორგანიზატორებს - საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიის წარმომადგენლებს, უამრავი დაპრკოლება შეხვდათ, მათ შორის ქალაქში სარეკლამო ბანერებისა და დროშების განთავსების თვალსაზრისით. მაგალითად, ფესტივალის გამართვამდე რამდენიმე

დღით ადრე სარეკლამო კომპანია „აუთდორ.ჯიმ“, შეთანხმების მიუხედავად, ჩამოხსნა გარე რეკლამის დიდი ნაწილი.

მნიშვნელოვანია, რომ ღონისძიებამდე ერთი კვირით ადრე საქართველოს საპატრიარქო ფესტივალის ჩატარების საკითხს გამოიხმაურა. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ მართლმადიდებელი ეკლესია ემიჯნება „ორმოცდათათანელთა რელიგიური მიმდინარეობის მიერ მოწყობილ ღონისძიებას“ და მასთან „არა-ნაირი კავშირი“ არ აქვს.<sup>77</sup> არსად თქმულა, რომ საპატრიარქო მხარს უჭერს სახარების ქადაგებას და პატივს სცემს განსხვავებული რელიგიური გაერთიანებების უფლებას, საჯარო სიკრცეში გააცხადონ თავიანთი რწმენა.

შეიძლება ითქვას, რომ საპატრიარქოს ორაზროვანმა განცხადებამ, ფუნდამენტალისტურ ჯგუფებში რელიგიური უმცირესობების მიმართ არსებული აგრესიული განწყობები გააძლიერა. ექსტრემისტული ქმედებების მონაწილე პირებმა მართლმადიდებელ მრევლს ღონისძიების ჩაშლისკენ მოუწოდეს და ფესტივალზე დასწრების მსურველებს დაემუქრნენ, რომ სპორტის სასახლეში მიმსვლელ მოქალაქეებს სირცხვილის კორდონს მოუწყობდნენ.<sup>78</sup>

საბოლოოდ, ღონისძიების სპორტის სასახლეში გამართვა, ფესტივალის გახსნამდე 3 დღით ადრე ერთ-ერთი ფლიგელის სახურავზე გაჩერილი ხანძრის გამო ჩაიმალა. როგორც შსს-ს წარმომადგენლებმა მედიას განუცხადეს, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოიხიბა სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სხვისი ნივთის დაზიანებისთვის პასუხისმგებლებას ითვალისწინებს.

ამავე დროს, ორგანიზატორებს ხანძრის მიზეზის დასადგენად დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარებაზე უარი უთხრეს.

77. „საპატრიარქო: თბილისში დაგეგმილ „იმედის ფესტივალთან“ კავშირი არ გვაქვს“, ტაბულა. 30.05.2014. სტატია ხელმისაწვდომია: <http://www.tabula.ge/ge/story/83833-sapatriarqo-tbilissi-dagegmi-imedis-festivaltan-kavshiri-ar-gvaqvs>

78. „გიორგი გაბედავი: ევანგელისტური ფესტივალის გამართვას ხელს შევუშლი“, მაკა მჭავარიანი, „ნეტგაზეთი“, 02.06.2014. სტატია ხელმისაწვდომია: <http://netgazeiti.ge/GE/105/News/32114/>

სახარების რწმენის ეკლესიის წარმომადგენლებს აღტერნატიულ საჯარო ადგილებში სივრცე არც ერთმა ორგანიზაციამ არ დაუთმო (ლოკომოტივის სტადიონი, დინამო, ცირკი და აშ.). საბოლოოდ, სამდღიანი ფესტივალი ეკლესიის ეზოში მონინააღმდეგთა აქციების ფონზე ჩატარდა. უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, რომლის მანდატშიც, წესით, რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებულ ქმედებებზე რეაგირება უნდა შედიოდეს, აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით არავითარი განცხადება არ გაუვრცელებია. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ინფორმირებული იყო ფესტივალის ჩაშლისკენ მიმართული ფაქტების თაობაზე, მას ფესტივალის მხარდაჭერის მიზნით ეფექტური ღონისძიებები არ განუხორციელებია.

საჯარო სივრცეში რელიგიური შინაარსის ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებით, საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიას ადრეც შექმნია დაპრკოლებები.<sup>79</sup>

რელიგიური უმცირესობებისთვის საჯარო სივრცის შეზღუდვას ჰქონდა ადგილი 2013 წლის 4 დეკემბერს ხანუქას დღესასწაულზე მოხდარი ინციდენტის დროსაც, როდესაც რელიგიური უმრავლესობის წარმომადგენლებმა ჩამოხიეს სადღესასწაულო ბილბორდები და მონაწილეებს არ მისცეს ღონისძიების მშვიდობიან გარემოში ჩატარების საშუალება. იმავე საღამოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდლებისა და მრევლის ჯგუფმა საპროტესტო აქცია გამართა ისრაელის საელჩოსთანაც. ერთ-ერთმა

79. მაგალითად, 2013 წელს ეკლესია ფილარმონიის საკონცერტო დაბაზში რელიგიური ღონისძიების ჩატარებას აპირებდა; ხელმძღვანელობასთან ხელშეკრულება გაფორმდა და თანხის წაწილიც წინასწარ გადაიხადეს. თუმცა, ღონისძიების ჩატარებამდე ცოტა ხნით ადრე ადმინისტრაციამ ეკლესიას აცნობა, რომ დათქმულ დღეს დარბაზში ჯგუფ „შინის“ კონცერტი იმართებოდა. რელიგიური გაერთიანების წარმომადგენლების თქმით, არაოფიციალურად, უარის მიზეზი ის იყო, რომ „სექტისთვის“ შენობის დათმობა არ სურდათ“. როგორც მოგვანებით გაირკვა, დანიშნულ დღეს, კონცერტი არ ჩატარებულა. რელიგიური გაერთიანების საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელის ლელა ხონელიძის თქმით, მსგავსი შემთხვევა მოხდა ქუთაისის ოპერის თეატრშიც, სადაც ეკლესიას რელიგიური ღონისძიების ჩასატარებლად დაბაზის დაქირავების თანხა უკან დაუბრუნეს. დირექტორმა ეკლესიას მისწერა ვრცელი წერილი, სადაც ასწილი იყო ოპერის დანიშნულება და მისი ფუნქციური შეუსაბამობა რელიგიური ღონისძიებების გამართვასთან.

სასულიერო პირმა მედიასთან საუბარში აღნიშნა: „ვერასოდეს მივიღებთ იმას, რომ ჩვენს ქუჩებში ასევე ღიად იქადაგებოდეს ჩვენი ღმერთის შეურაცხყოფა.“<sup>80</sup>

ანალოგიური პრობლემა წარმოიშვა მუსლიმთა თემის წინაშე სოფ. ნიგვზიანში, წინწყაროსა და სამთანყაროში. ყველა ამ რეგიონში კონფლიქტის დროს ქრისტიანები უთითებდნენ, რომ მუსლიმებს შეძლოთ ელოცათ პრივატულად, საკუთარ სახლებში, მაგრამ საჯარო სივრცის დაკავებას ისინი ვერ შეძლებდნენ.<sup>81</sup> სოფელ ჭელას მეჩეთის მინარეთის დემონტაჟი კი რელიგიის თავისუფლების შეზღუდვისა და მუსლიმთა უფლებების დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო შემთხვევა იყო.

არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები საქართველოში პლურალისტური სივრცის საჭიროებაზე საუბრობენ. მათი თქმით, საჯარო სივრცის ინდოქტრინაციის გამო, მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენა შემდგომში კერძო პირების, ორგანიზაციების, სახელმწიფო სტრუქტურებისა და მათი წარმომადგენლების მიკერძოებულ დამოკიდებულებაზე აისახება. პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის შემთხვევები ვლინდება როგორც ინტერპერსონალურ, ასევე ინსტიტუციურ დონეზე, რაც, საბოლოოდ, ხელს უშლის უმცირესობის წარმომადგენელთა რელიგიურ და სოციალურ საქმიანობას.

---

80. „ინტერპრესნიუსის“ სტატია, 05.12.2013.

<http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/262306-israelis-saelchosthan-sasuliero-pirebma-mrevlthan-erthat-aqcia-gamarthes.html?ar=A>

81. „სეკულარიზმის კრიზისი და ლიალობა დომინანტი ჯგუფის მიმართ. სახელმწიფოს როლი 2012-2013 წლებში საქართველოში გამოვლენილი რელიგიური კონფლიქტების მოგვარებში“, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), თბილისი, 2013

## რეკომენდაცია

### საქართველოს მთავრობას:

- განხვავებული კონფესიების ცენტრალური, დიდი რელი-გიური დღესასწაულები აღიარებული იყოს სახელმწიფო დღესასწაულებად;
- სხვადასხვა კონფესიას მათი დღესასწაულები მიულოცონ არა მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურებმა, არამედ ადგი-ლობრივი თვითმმართველობის სტრუქტურების ხელმძღვანელებმაც.

## 9. მართლადიდებელი სასულიერო პირების მიერ გამოვლენილი შეუწყისებლობა

**პროგლემა:** კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მართლმადიდებელი მრევლის აგრესის მიზეზი ხშირად სასულიერო პირების მიერ უმცირესობებისადმი სიძულვილის ქადაგება და სტერეოტიპული განწყობების კულტივაციაა, რაც რელიგიური და არარელიგიური დანიშნულების ნაგებობების მშენებლობის, საქველმოქმედო პროექტებისა და საგანმანათლებლო საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებში ვლინდება.

**პროგლემის აღწერა:** ადიგენის რაიონის სოფელ არალში მცხოვრები კათოლიკები ჩივიან, რომ მართლმადიდებელი სასულიერო პირები მათ მიმართ ხშირად იყენებენ დამამცირებელ ეპითეტებს, ქადაგებენ, რომ კათოლიკები მწვალებლები არიან და მართლმადიდებელი აღმსარებლობის მოსწავლეებს ურჩევენ, კათოლიკური საქველმოქმედო ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ ინგლისური ენისა და კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე არ იარონ.

„აქ არიგებდნენ ადრე ბროშურებს, რომ ჩვენ პედოფილები ვართ, რომ არ უნდა გაუშვან ბავშვები ჩვენს ბანაკებში. ქადაგებენ ჩვენს მრევლში, რომ არასწორად აღვნიშნავთ შობას. ყოფილა შემთხვევები, როცა რაღაც სოციალური პროექტი გვაქვს, გვეკითხებიან, აი მეუფე თეოდორესგან [იგულისხმება ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქიის მიტრობოლიტი] აიღე კურთხევა?“ - მამა მიხეილ სურმავა, სოფელი არალი, ამიერკავკასიის ლათინური ნე-სის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაცია.

2010 წელს სოფელ არალის კათოლიკური ეკლესიის მღვდელს, მიხეილ სურმავას ადგილობრივი საბავშვო ბალის ადმინისტრაციასთანაც შეექმნა პრობლემა. საქველმოქმედო ფონდ „კარიტასის“ წარმომადგენლებს სურდათ, საბავშვო ბალის მოსწავლეებისთვის საშობაო საჩუქრები დაერიგებინათ, რაზეც სურმავას თქმით, ბალის ადმინისტრაციამ, მართლმადიდებელი

სასულიერო პირების ზეგავლენით, უარი განაცხადა. ორგანიზაცია იძულებული გახდა, ბალში შეეწყვიტა კონკრეტული სოციალური პროექტების განხორციელება - საპირფარეშოების განახლება, ბავშვებისთვის საშობაო და სააღდგომო საჩუქრების გაცემა, ბავშვთა ოთახის ინვენტარით აღჭურვა და აშ.

საქველმოქმედო და სოციალურ მსახურებაში მართლმადიდებელი სასულიერო პირების მიერ ინდოქტრინაციის გამო, პრობლემები არა ერთხელ შექმნია საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციას „ხსნის არმიას“. ორგანიზაციას საქართველოში რვა კორპუსი აქვს (ლაგოდეხი, რუსთავი, თბილისი, ბათუმი) და სხვადასხვა შინაარსის სოციალურ და საქველმოქმედო პროექტს ახორციელებს. რეგიონალური ოფიციალის, ირმა ნებიერიძის თქმით, მართლმადიდებელი სასულიერო პირების მითითების გამო, ხშირად ბენეფიციარები სოციალური დახმარების მიღებაზე უარს ამბობენ.

„ქუთაისში გვინდოდა გავვეხსნა ჩვენი ცენტრი, მაგრამ არ მიგვიღეს. მართლმადიდებელი მდვდლები იყვნენ ნინააღმდეგი. ახალი ცენტრი თუ შენდება, აკონტროლებენ. ვიღაც ხომ უნდა მოვიდეს, რომ დაეხმარო, [იგულისხმება სოციალური სერვისის ბენეფიციარები] იქ უსაზღვრავენ, რომ თუ მიხვალ, ცუდი რაღაც მოხდება... ერთი წელი ვიყავით ქუთაისში, მოვიდა ხალხი, ძალიან მოსწონდათ. მაგრამ მერე მირეკავდნენ, რომ აი, მამაომ მოსვლა ამიჯრძალა. ამ მხრივ ქუთაისი ძალიან ჩაკეტილია. ეთნიკურად შერეულ მოსახლეობასთან უფრო ადვილია მუშაობა... ლაგოდებში იყო კიდევ ასეთი შემთხვევა, რომ მართლმადიდებელი მდვდლები ჩვენს ბენეფიციარებს ეუბნებოდნენ, პროტესტანტების ცენტრებში არ მიხვიდეთ, თორემ სიკვდილის მერე წესს არ აგივებთო, – „ხსნის არმიას“ რეგიონალური ოფიციერი ირმა ნებიერიძე.

მართლმადიდებელი სასულიერო პირების მხრიდან განსაკუთრებული აგრესია იგრძნობა იეჰოვას მოწმეებისადმი. 2013 წელს იეჰოვას მოწმეების მიმართ ჩადენილი 46 სამართალდარღვევიდან სამ შემთხვევაში მართლმადიდებელი სასულიერო პირები მონაწილეობდნენ (თბილისი, კასპი, წყალტუბო).

2013 წლის 13 აგვისტოს, თბილისში ღვთისმსახურებისას, იეპოვას მონმედიების ლ. მ. და ნ.ს.-ის მტკიცებით, სასულიერო პირმა, „მამა თომამ“ მათ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და სახეში გაარტყა. საქმეზე დაინტყო გამოძიება და ბრალდებულის ვინაობა დადგინდა. ამჟამად საქმეს საქალაქო სასამართლო განიხილავს.

მეორე ინციდენტი კასპში 6 ოქტომბერს მოხდა. მართლმადიდებელმა სასულიერო პირმა ი. ხ.-მა იეპოვას ორ მონმეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. საქმე აღიძრა სისხლის სამართლის 156-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების არსებობის საფუძველზე.

მესამედ, 11 დეკემბერს, წყალტუბოში იეპოვას მონმედმა ლ.მ.-მ და ს. ბ.-მ ღვთიმსახურებისას შემთხვევით კარზე დაუკაჯუნეს მართლმადიდებელ სასულიერო პირს, მ.მ-ს. როდესაც სასულიერო პირმა გაიგო, რომ სტუმრები იეპოვას მონმედი იყვნენ, დაინტყო ყვირილი, ლანძღვა და დახია მათი ლიტერატურა. დაზარალებულებმა გამოიძახეს პოლიცია. მ.მ-ს ჩამოართვეს ხელნერილი, იმ პირობით, რომ მომავალში ივი იეპოვას მონმედის რელიგიურ მსახურებას ხელს არ შეუშლიდა. თუმცა, ამ ინციდენტის შემდეგ სასულიერო პირმა შეურაცხყოფა მიაყენა იეპოვას კიდევ ერთ მონმეს. იეპოვას მონმეთა იურისტების თქმით, ამ ინციდენტის შემდეგ იმავე სასულიერო პირმა ქუჩაში გააჩერა იეპოვას ერთ-ერთი მონმე, ნაართვა მას ჩანთა და წიხლი დაარტყა. თუმცა, დაზარალებულმა არ ისურვა აღნიშნული ფაქტის შესახებ სამართალდამცავებისთვის ეცნობებინა.

მართლმადიდებელი სასულიერო პირების მხრიდან შეუწყნარებლობაზე საუბრობს საქართველოში ასირიულ-ქალდეური კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელი ბენიამინ ბეთიადეგარი. ეკლესიის შენობა თბილისში, ქავთარაძის ქუჩაზე მდებარეობს. ეკლესიის გახსნამ 2009 წელს მართლმადიდებელი მრევლის

პროტესტი გამოიწვია.<sup>82</sup> გახსნის დღეს მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრები და სასულიერო პირები პლაკატებით - „ვგმობთ ვატიკანის აგრესიას!“ - კათოლიკე სასულიერო პირებს შენობაში შესვლის საშუალებას არ აძლევდნენ.

ბენიამინ ბეთიადეგარის თქმით, მართლმადიდებელი მრევლის წევრები დღემდე დადიან ბიბლიით ხელში და ეკლესიის დანგრევისთვის ლოცულობენ. თავიდან ეკლესიისთვის მაღალი გალავნის აშენებას არ აპირებდნენ, მაგრამ, საბოლოოდ, სამი მეტრის სიმაღლის გალავნით შემოსაზღვრეს, რომ ტერიტორია აგრესიული მოწინააღმდეგებისგან დაეცვათ.

## რეკომენდაცია

### საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

- გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს რელიგიის ნიადაგზე შეუწყნარებლობა და დისკრიმინაცია, დაუშვებელია, შს სამინისტრო მოერიდოს კანონის საფუძველზე რეაგირებას თუ სასულიერო პირის მიერ ჩადენილი ქმედება დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

82. ტელეკომპანია რუსთავი 2 -ის სიუჟეტი, ხელმისაწვდომია ბმულზე: [http://www.myvideo.ge/?video\\_id=642981](http://www.myvideo.ge/?video_id=642981)

## კვლევის მთავარი აქცენტები

- რელიგიური შეზღუდვების მიმართ რელიგიური ნიშნით დევნის, მათზე ფიზიკური და სიტყვიერი ძალადობის, რელიგიური წესის აღსრულებისთვის უკანონოდ ხელისშესლის ფაქტების რაოდენობა. რელიგიური სიძულვილით განპირობებული ქმედებების ზრდა უმცირესობების მიმართ სახელმწიფოს არასწორი პოლიტიკის შედეგია. საგამოძიებო სტრუქტურები ერიდებიან გამოძიების წარმართვას შესაბამისი მუხლებით, რომლებიც სისხლის სამართლის დანაშაულისთვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. სამართალდამრღვევების, მათ შორის, მართლმადიდებელი სასულიერო პირებისა და საჯარო პირების დაუსჯელობა კი რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას ახალისებს.

- საპატიო დროს ჩამორთებული ქონების რესტიტუცია

ხუთი რელიგიური გაერთიანება: სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის ეპარქია საქართველოში, ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია, მუსლიმთა თემი, ევანგელიურ-ლუთერული ეკლესია და იუდაური თემი 20 წელზე მეტია ვერ იბრუნებს საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეულ ქონებას. ამასთან ერთად, სახელმწიფო ვერ ან არ იჩენს სათანადო ყურადღებას მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული ძეგლების მიმართ, რომელთა დიდ ნაწილს იერსახე მიზანმიმართულად ეცვლება ან დანგრევის პირასაა.

- საკულტო და არარელიგიური დანიშნულების ნაგებობების მშენებლობა

რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს სისტემატურად ექმნებათ პრობლემები საკულტო და არარელიგიური დანიშნულების ნაგებობების ასაშენებლად საჭირო ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით. ნებართვის გამცემი შესაბამისი

უწყებების მხრიდან ხშირია გაჭიანურების, დაუსაბუთებელად უარის თქმის ან მშენებლობის ნებართვის შეჩერების შემთხვევები. რელიგური გაერთიანებების მიერ საკუთარ მიწაზე მშენებლობის ნებართვის მიღების განცხადებას, ხშირად რელიგიური უმრავლესობის წევრები მართლმადიდებელი სასულიერო პირების მოწოდებით უპირისპირდებიან და მშენებლობის საწინააღმდეგო ხელმოწერებს აგროვებენ. თვითმმართველობის ორგანოები ითვალისწინებენ „უმრავლესობის ნებას“ და შედეგად, რელიგიური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციულ პრაქტიკას ახორციელებენ.

#### - ქონების საკუთრების უფლებით გადაცემა/ რეგისტრაცია

რელიგიურ გაერთიანებებს ბარიერები ექმნებათ მათ სარგებლობაში (მფლობელობაში) არსებულ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისას, რადგან, როგორც წესი, რელიგიურ გაერთიანებებთან მიმართებით საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ არსებულ რეგულაციებს შესაბამისი უწყებები შეცდომით იყენებენ.

#### - დისკრიმინაცია საჯარო საგანვანათლებლო დაწესებულებებში

საჯარო სკოლებში არსებული არასეკულარული გარემო, რელიგიური ნეიტრალიტეტის დარღვევის, ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის მუდმივი პრაქტიკა ახალგაზრდებში რელიგიური უმცირესობების მიმართ სტერეოტიპული განწყობებისა და არატოლერანტული იდეების გავრცელების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. აუცილებელია, სახელმწიფომ საჯარო სკოლებში რელიგიის თავისუფლების დაცვის მიმართულებით აქტიური მუშაობისა და ტოლერანტობის კულტურის დამკვიდრებისთვის შეიმუშავოს სამოქმედო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პროზელიტიზმის, ინდოქტრინაციისა და რელიგიური სიმბოლიკის არააკადემიური დანიშნულებით გამოფენის შემთხვევების გამოვლენის მიზნით, მონიტორინგისა და სპეციალური ჯგუფის შექმნა, სასწავლო სახელმძღვანელოების რევიზია, მასწავლებლებისა და დირექტორების გადამზადება, სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტში ტოლერანტობის კუთ-

ხით მასწავლებელთა განწყობების შეფასება, სახელმძღვანელო-თა გრიფირების წესში არასტერეოტიპული და მრავალმხრივი აზროვნების განვითარებისთვის საჭირო შინაარსობრივი კრი-ტერიუმების დაკმაყოფილება.

### - სახელმიწოდებლის რელიგიური პოლიტიკა

ბოლო ორი წლის განმავლობაში ხელისუფლება რელიგიური უმცირესობების მიმართ კონტროლზე დაფუძნებულ ინტერვენციულ პოლიტიკას ახორციელებს - ერევა მუსლიმთა შიდა საქმეებში, ექსკულუზიურად აფუძნებს რელიგიის საკითხებზე მომუშავე საჯარო სტრუქტურებს, რომელთა შექმნისა და მანდატის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად, რელიგიურ უმცირესობებთან, რელიგიის თავისუფლების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებსა და სახალხო დამცველთან კონსულტაციის გარეშე იღებს.

ბოლო პერიოდში ისლამოფონიური განწყობების მომძლავრების ფონზე, ასევე გახშირდა ქართველი და ქისტი მუსლიმების საზღვარზე დაუსაბუთებლად დაყოვნებისა და ჩხრეკის შემთხვევები.

### - რელიგიური მრგბანიზაციების დაცირკანება

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ საქართველოს ბიუჯეტიდან პირდაპირი, დოტაციური დაფინანსება გამოიყო საქართველოს საპატრიარქოს გარდა კიდევ ოთხ რელიგიურ გაერთიანებას, მან ვერ გადაჭრა დაფინანსების მანამდე არსებულ დისკრიმინაციულ წესთან დაკავშირებული პრობლემა. მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ინიციატივას, თვისობრივად, ზიანის ანაზღაურებასთან კავშირი არ აქვს, რადგან მთავრობამ გაურკვეველი კრიტერიუმების მიხედვით შეარჩია მხოლოდ ოთხი გაერთიანება მაშინ, როცა საბჭოთა რეჟიმის დროს მატერიალური და მორალური ზიანი სხვა რელიგიურ გაერთიანებებსაც მიადგა. ზოგადად, პრობლემურია სახელმწიფოს მიერ რელიგიური გაერთიანებების პირდაპირი დაფინანსების წესი, რომლითაც არ არის წინასწარ განსაზღვრული, თუ რა დანიშნულებით იყენებს საქართველოს საპატრიარქო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხას.

## - საგადასახადო უთანასწორობა

საქართველოში არსებული რელიგიური უმცირესობები, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს საპატრიარქოსთან მიმართებით უთანასწორო მდგომარეობაში იმყოფებიან.

## - კომუნალური გადასახადები

რელიგიური ორგანიზაციები ელექტროენერგიისა და ნელის გადასახადებს კომერციული ორგანიზაციისთვის დადგენილი ტარიფის მიხედვით იხდიან მაშინ, როცა საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული ეკლესიების კომუნალური ხარჯები ხშირად მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიდან იფარება.

## - საჯარო სივრცის შეზღუდვა

ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები (მუსლიმებისთვის ლოცვის უფლების ხელყოფა, ინციდენტი ხანუქას დღესასწაულზე, „იმედის საერთაშორისო ფესტივალის“ ჩაშლის მცდელობები, იეჰოვას მოწმეების მიერ საკულტო ნაგებობის აშენებისთვის ხელის შეშლა) გვიჩვენებს, რომ ხელისუფლება საპატრიარქოს და მასთან აფილირებული ექსტრემისტული ჯგუფების მიერ საჯარო სივრცეების ინდოქტრინაციის ვერც ერთ მცდელობას ეფექტურად ვერ გაუმკლავდა. გამუდმებით იზღუდება რელიგიური უმცირესობების ფუნდამენტური უფლება საჯარო სივრცეში გააცხადონ თავიანთი რწმენა, გაავრცელონ რელიგია და შეასრულონ რელიგიური რიტუალები.

## - სასულიერო პირების მიერ გამოვლენილი შეუცხარებლობა

როგორც ინტერვიუების, ასევე საჯარო განცხადებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მართლმადიდებელ მრევლს, განსხვავებული რელიგიური მრნამსის მქონე მოქალაქეებისთვის რელიგიური თავისუფლების შეზღუდვისკენ ხშირად სასულიერო პირები მოუწოდებენ. ზოგჯერ სასულიერო პირები რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებულ სამართალდარღვევებშიც მონაწილეობენ. ასეთ შემთხვევებში, აუცილებელია, სამართალდამცავმა ორგანოებმა სასულიერო პირების მიერ ჩადენილ ქმედებებზე ადეკვატური რეაგირება მოახდინონ.

## დანართი

კველევის ფარგლებში გამოკითხული რელიგიური გაერთიანებების ჩამონათვალი<sup>83</sup>

### 1. აღმოსავლეთ ევროპის სოებს პათოლიკოთა როდინების

სამართლებრივი სტატუსი: 2011 წლიდან რეგისტრირებულია, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)

მრევლის რაოდენობა: 30 000

გეოგრაფიული განაწილება: თბილისი, სამცხე ჯავახეთი: ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა.

ვებ-გვერდი: <http://www.armeniancatholic.org/>

ინტერვიუ: მამა მიხეილ ხაჭკალიანი (თბილისი)

მამა პოლოსი (ახალციხე)

მრევლის ერთი წარმომადგენელი

### 2. ბაჰაის საზოგადოება საქართველოში

სამართლებრივი სტატუსი: 1998 წლიდან რეგისტრირებულია, როგორც არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ააიპ)

მრევლის რაოდენობა: 300-მდე

გეოგრაფიული განაწილება: თბილისი, ბათუმი, რუსთავი.

ვებ-გვერდი: [www.bahai.ge](http://www.bahai.ge)

ინტერვიუ: რაიან როპანი, ეროვნული ოფისის ხელმძღვანელი

83. რელიგიური გაერთიანებების მრევლის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ეყრდნობა 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერისა და რელიგიური ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ მონაცემებს

### 3. დუანგორების თამა

სამართლებრივი სტატუსი: არ არის რეგისტრირებული  
მიმდევრების რაოდენობა: 500-მდე  
გეოგრაფიული განაწილება: ჯავახეთი  
ინტერვიუ: ალა ბეჭენცევა, მკვლევარი

### 4. ევანგელური ეპლენი „შრგევი საცუძველი“

სამართლებრივი სტატუსი: არარეგისტრირებული  
მრევლის რაოდენობა: 25-მდე  
გეოგრაფიული განაწილება: ბათუმი  
ინტერვიუ: ნინო შათირიშვილი, ხელმძღვანელი  
ეპლენის 2 წევრი

### 5. ევანგელურ-ბაჟისტისათური ეპლენი „მაღლი“

სამართლებრივი სტატუსი: 2000 წლიდან რეგისტრირებულია, რო-  
გორც არასამერარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ა(ა)იპ)  
მრევლის რაოდენობა: 80  
გეოგრაფიული განაწილება: თბილისი, ბათუმი  
ინტერვიუ: მერაბ ორაგველიძე, ხელმძღვანელი

### 6. ეზიდთა სასულიერო პრეპა საქართველოში

სამართლებრივი სტატუსი: 2011 წლიდან რეგისტრირებულია, რო-  
გორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ).  
მრევლის რაოდენობა: 20,000  
გეოგრაფიული განაწილება: თბილისი, წნორი, ყვარელი.  
ინტერვიუ: დიმიტრი ფირპარი, თემის ლიდერი

## 7. თბილისის საინტოლოგიური ეპლესია

სამართლებრივი სტატუსი: არასამეწარმეო (არაკომერციული) იუ-  
რიდიული პირი (ააიპ)

წევრების რაოდენობა: 3

გეოგრაფიული განაწილება: თბილისი

ვებ-გვერდი: <http://www.scientology.org/>

ინტერვიუ: მარინე კალანდია, აღმასრულებელი დირექტორი

## 8. ივჰოვას მოცვეთა ძრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში

სამართლებრივი სტატუსი: 2008 წლიდან რეგისტრირებულია, რო-  
გორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. ასევე,  
2003 წლიდან საქართველოში რეგისტრირებულია პენსილვანიის  
აშშ საგუშავო კოშკის, ბიბლიის და ტრაქტატების საზოგადოების  
ფილიალი.

მრევლის რაოდენობა: 20,000

გეოგრაფიული განაწილება: საქართველოს მასშტაბით აქვთ 75  
სამეფო დარბაზი.

ვებგვერდი: <http://www.jw.org/en/>

ინტერვიუ: მანუჩარ ციმინტია - ორგანიზაციის იურისტი  
თამაზ ხუციშვილი - წარმომადგენელი

## 9. პავპასის მუსლიმთა სამართველო

სამართლებრივი სტატუსი: საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
(სსიპ)

ინტერვიუ: აივაზ მარდანოვი, სუნიტ მუსლიმთა ლიდერი

## 10. პრიმას ცენტრის რეგისტრის საერთაშორისო საზოგადოება - ველური კულტურის ცენტრი

სამართლებრივი სტატუსი: 2006 წლიდან რეგისტრირებულია, რო-  
გორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ა(ა)იპ)

მრევლის რაოდენობა: 200-მდე

გეოგრაფიული განაწილება: თბილისი

ინტერვიუ: ანთიმოზ ნაცვლიშვილი, პრეზიდენტი  
დავით თუთხერიძე, წარმომადგენელი

## 11. ლათინ კათოლიკოთა პავპასის სამოციქულო აღმინისტრაცია

სამართლებრივი სტატუსი: 2011 წლიდან რეგისტრირებულია, რო-  
გორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)

მრევლის რაოდენობა: 34,727

გეოგრაფიული განაწილება: ეკლესიები: თბილისი, ახალციხე, ვალე,  
არალი, უდე, ვარგავი, ჭიათურა, ახალშენი, ოზურგეთი, ბათუმი,  
რუსთავი, ხიზაბავრა (კახეთი)

სამლოცველოები: ივლიტა, გორი, ახალხიზა, ბორჯომი, ქუთაისი,  
შრომა, მთისძირი (კახეთი), სანავარდო (კახეთი).

ვებგვერდი: <http://www.catholicchurch.ge/>

ინტერვიუ: მამა გაბრიელე ბრაგანტინი, ეპისკოპალური ვიკარი  
გიორგი ცხომელიძე, კურის წევრი, მრჩველი,  
მამა აკაკი ჭელიძე, კანცელარიის გამგე,  
მამა მიხეილ სურმავა (წმ.იოსების ეკლესია, სოფ. არალი)  
მამა პაატა ქომოშვილი (სოფელი ვალე)

## 12. მალაპნები

სამართლებრივი სტატუსი: არ არის რეგისტრირებული

გეოგრაფიული განაწილება: ძირითადად გვხვდებიან თბილისა და  
კახეთის სოფელ ილიანმინდაში (უილიანვკა);

თბილისში ამჟამად ოთხი სახლია, სადაც მაღაკნები იკრიბებიან: სა-  
ბურთალოს, დიდუბის, ნავთლუღისა და ლრმალელის.

მრევლის რაოდენობა: 130-მდე

ინტერვიუ: თეოდორე ნეუდახინი

### 13. მართლებადიდებელი ეკლესია საქართველოში

სამართლებრივი სტატუსი: არ არის რეგისტრირებული

მრევლის რაოდენობა: 400-მდე

გეოგრაფიული განაწილება: თბილისი, ქუთაისი, გურია

ინტერვიუ: გელასი აროშვილი, წინამძღვარი

### 14. მეგობართა საზოგადოება პვაკერები

სამართლებრივი სტატუსი: 2012 წლიდან ორგანიზაცია რეგისტრირებულია, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)

წევრების რაოდენობა: 12

გეოგრაფიული განაწილება: თბილისი

ვებ-გვერდი: <http://www.quakerinfo.org/index>

ინტერვიუ: მიხეილ ელიზბარაშვილი

### 15. მეგვიდე დღის ძრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიების ტრანსპარანტური იუნიონი

სამართლებრივი სტატუსი: 2009 წლიდან რეგისტრირებულია, როგორც არასამერარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

მრევლის რაოდენობა: 500

გეოგრაფიული განაწილება: ქართლი; კახეთი; იმერეთი; აჭარა; ყველაზე დიდი რაოდენობა თბილისშია.

ვებ-გვერდი: <http://adventist.ru/en>

ინტერვიუ: ალექსანდრ შვარცი, იუნიონის ხელმძღვანელი

ბორის ჭარაია, პასტორი, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რელიგიური თავისუფლების განცოდილების ხელმძღვანელი

გრიგოლ წამალაშვილი, პასტორი

## 16. მსოფლიო მშვიდობის ფედერაცია

სამართლებრივი სტატუსი: 2008 წლიდან დარეგისტრირებულია, როგორც არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

წევრების რაოდენობა: 11

გეოგრაფიული განაწილება: თბილისი

ვებ-გვერდი: <http://www.upf.org/chapters/list/GE>

ინტერვიუ: ვიტალი მაქსიმოვი

## 17. სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამართველო

სამართლებრივი სტატუსი: 2011 წლიდან რეგისტრირებულია, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)

ვებ-გვერდი: <http://www.amag.ge/>

ინტერვიუ: დასავლეთ საქართველოს მუფტი ჯემალ პაქსაძე

ხულოს რაიონის მუფტი ასლან აბაშიძე

ყოფილი შეიხი ვაგიფ აქბეროვი

## 18. ქართველ მუსლიმთა კავშირი

სამართლებრივი სტატუსი: 2008 წლიდან რეგისტრირებულია, როგორც არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ა(ა)იპ)

ვებ-გვერდი: <http://www.islam.ge/>

ინტერვიუ: ტარიელ ნაკაიძე, თავმჯდომარის მოადგილე

მრევლის ოთხი წევრი (ბათუმი)

## 19. სოფელ დუშის მუსლიმი თეხი

ინტერვიუ: იმამი ამირ ხანგოშვილი,

ადგილობრივი მუსლიმი ომარ ხანგოშვილი

ე.წ. „ტრადიციული ისლამის“ მიმდევრები: სოფ. დუშის სუფისტური მეჩეთის იმამი ომარ ალდამოვი

20. პროტესტანტული ეპლესიების გაერთიანება  
„გედეონი“

„გედეონი“ წარმოადგენს პროტესტანტული ეკლესიების წევრების მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციას.

სამართლებრივი სტატუსი: არასამეწარმეო (არაკომერციული) იუ-  
რიდიული პირი (ა(ა)იპ)

წევრების რაოდენობა: 150-მდე

გეოგრაფიული განაწილება: ქუთაისი, ბათუმი

ინტერვიუ: გენადი მალაყმაძე, გაერთიანების წევრი

21. საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია  
სსის არმია-ს წარმომადგენლობა საქართველოში

სამართლებრივი სტატუსი: 2003 წლიდან რეგისტრირებულია, რო-  
გორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ა(ა)იპ)  
წევრების რაოდენობა: 600-მდე

გეოგრაფიული განაწილება: ორგანიზაციის რვა კორპუსი აქვს  
საქართველოში (თბილისი, რუსთავი, ლაგოდეხი, ბათუმი)

ინტერვიუ: ბესიკ ნებიერიძე, ხსნის არმიის რეგიონალური ოფიცერი  
ირმა ნებიერიძე, ხსნის არმიის რეგიონალური ოფიცერი

22. საქართველოს ევანგელისტური ეპლესი

სამართლებრივი სტატუსი: 2006 წლიდან რეგისტრირებულია, რო-  
გორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ა(ა)იპ)  
მრევლის რაოდენობა: 150-მდე.

გეოგრაფიული განაწილება: თბილისი

ინტერვიუ: ზაალ ტყეშელაშვილი, პასტორი

23. საქართველოს ევანგელურ-პაპტისტური ეპლესი

სამართლებრივი სტატუსი: 2012 წლიდან რეგისტრირებულია, რო-  
გორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)

მრევლის რაოდენობა: 5000

გეოგრაფიული განაწილება: თბილისი, ქართლის რეგიონი (ხაშურის, ფცის, ბორჯომის, კასპის, მეტეხის, ახალციხის ეკლესიები), დასავლეთის მხარე (ბათუმი, ფოთი, ზუგდიდი, ოზურგეთი, საჩხერე და ქუთაისი), კახეთის რეგიონი (ლაგოდეხი, ოშიო, (ახმეტის რაიონი), ახალსოფელი, თელავი, წნორი, დედოფლისწყარო)

ვებ-გვერდი: <http://www.ebcgeorgia.org/>

ინტერვიუ: ეპისკოპოსი რუსულან გოცირიძე

#### 24. საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია

სამართლებრივი სტატუსი: 2011 რეგისტრირებულია, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)

მრევლის რაოდენობა: 800-მდე

გეოგრაფიული განაწილება: თბილისის, რუსთავის, ბოლნისის, გარდაბნის, ბორჯომის მუნიციპალიტეტები, სოფელი ელიზაბეტ-ტალი (ასურეთი)

ვებ-გვერდი: <http://elkg.ge/>

ინტერვიუ: ეპისკოპოსი პანს იოახიმ კიდერლენი  
პასტორი ირინა სოლეი

#### 25. საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია

სამართლებრივი სტატუსი: 2012 წლიდან რეგისტრირებულია, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)

მრევლის რაოდენობა: 1000-მდე

გეოგრაფიული განაწილება: თბილისი, ქ. რუსთავი, ქ. გორი, ქ. ხაშური და ქ. ქარელი; აღნიშნული ქალაქების მიმდებარე სოფლები. ეკლესიის ადმინისტრაციული ცენტრი მდებარეობს გორში.

ვებ-გვერდი: <http://www.protestant.ge/>

ინტერვიუ: პასტორი შმაგი ჭანკვეტაძე

**26. საქართველოს ევანგელიურ-პროტესტანტული  
ეკლესია „ღვთის ერი“**

სამართლებრივი სტატუსი: საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)

მრევლის რაოდენობა: 70-მდე

გეოგრაფიული განაწილება: თბილისი, გარდაბანი, მარნეული.

ინტერვიუ: სელვიო ოგანესიანი (პასტორი)

**27. საქართველოს მთავარი რაპირატი**

სამართლებრივი სტატუსი: 2013 წლიდან რეგისტრირებულია, როგორც არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

მრევლის რაოდენობა: 3,541 (0,1%)

ინტერვიუ: მთავარი რაპინი ავიშაი ბათაშვილი

მთავარი რაპინის თანაშემწენა (დიმა) თაფლიაშვილი

**28. საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია**

სამართლებრივი სტატუსი: 2013 წლიდან რეგისტრირებულია, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ).

მრევლის რაოდენობა: 10,000-მდე

გეოგრაფიული განაწილება: თბილისი, ოზურგეთი, ფოთი, სენაკი, ზუგდიდი, გორი, ზესტაფონი, სამტრედია, ქუთაისი და აშ. საქართველოს მასშტაბით სულ 120 ეკლესია

ვებ-გვერდი: [www.qristiani.ge](http://www.qristiani.ge)

ინტერვიუ: ლელა ხონელიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი

სპარტაკ ჭანკვეტაძე, ქუთაისის ეკლესიის პასტორი  
მრევლის ოთხი წევრი

## 29. საქართველოს სიცოცხლის სიფყვის ეპლეშა

სამართლებრივი სტატუსი: არასამენარმეო (არაკომერციული) იუ-  
რიდიული პირი (ა(ა)იპ)

გეოგრაფიული განაწილება: ქარელი, თბილისი, გორი, ბათუმი,  
ქობულეთი, სართიჭალა, ზუგდიდი, ორსანტია,

მრევლის რაოდენობა: 1000

ინტერვიუ: პასტორი მამუკა ჯებისაშვილი

## 30. საქართველოში ასირიულ-ქალღეური კათოლიკო თემი

სამართლებრივი სტატუსი: 2011 წლიდან რეგისტრირებულია, რო-  
გორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ).

მრევლის რაოდენობა: აქტიური - 350-მდე, პასიური (დღესასწაუ-  
ლებს ესწრებიან) - 2000-მდე.

გეოგრაფიული განაწილება: თბილისი

ინტერვიუ: ხელმძღვანელი ბენიამინ ბეთიადეგარი

## 31. სომხეთი სამოციქულო მართლებიდებელი ფინანსი ეპლეშის საქართველოს ეპარქია

სამართლებრივი სტატუსი: 2012 წლიდან რეგისტრირებულია, რო-  
გორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ).

მრევლის რაოდენობა: 171,139

გეოგრაფიული განაწილება: თბილისი, ქ. ბათუმი, ახალციხის, ახ-  
ალქალაქის, აპინძის, ბორჯომის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალ-  
კის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები

ვებგვერდი: <http://armenianchurch.ge>

ინტერვიუ: არქიმანდრიტი ბაბგენ სალბიანი - საქართველოს  
სომხეთი ეპარქიის სამცხე-ჯავახეთის რეგიონის  
საერთო ეპარქიალური ვიკარიუსი

მღვდელი ნარეკ ღუშჩიანი- თბილისის კათედრალური  
სურბ გევორგ ეკლესიის მოძღვარი

მღვდელი ტათევ მანუკიანი - მოძღვარი, საქართველოს  
სომეხთა ეპარქია სამცხე-ჯავახეთში

ლევონ ისახანიანი - იურიდიულ საკითხთა, სახელმწი-  
ფოსთან ურთიერთობისა და ინტერრელიგიური თანამ-  
შრომლობის განყოფილების ხელმძღვანელი

### 32. უფალი ჩატანიას მისია

სამართლებრივი სტატუსი: 2013 წლიდან რეგისტრირებულია, რო-  
გორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)

გეოგრაფიული განაწილება: თბილისი

მრევლის რაოდენობა: 20-მდე

ინტერვიუ: ალექსანდრე შულლაძე, ვახტანგ შერვაშიძე

### 33. წილი სამეცნიერო სამუშაოების მიზანი

სამართლებრივი სტატუსი: 2012 წლიდან რეგისტრირებულია, რო-  
გორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)

მრევლის რაოდენობა: 300

გეოგრაფიული განაწილება: ბათუმი, ქობულეთი, ფოთი

ვებგვერდი: <http://www.stecclesia.org/>

ინტერვიუ: ვარლამ რამიშვილი, პასტორი, ეკლესიის წინამძღვარი  
მრევლის ოთხი წევრი